

თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

III კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს



თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

III კლასი, მასწავლებლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი – ლეილა მარუაშვილი

ლიტერატურული რედაქტორები: თეა ბარამაშვილი, თამარ ნინიკაშვილი

ხმის რეჟისორი – ნინო წითლაური

არანაწილობა და აკომპანემენტი – ნინო ჯულაყიძე

სოლისტები: ნინო თავაძე, ანასტასია ჯულაყიძე

მხატვრები: ქეთევან თოდაძე, კონსტანტინე ამირეჯიბი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მარიამ პოლტახინტი, ელენე ვარამაშვილი

ყდის მხატვარი – ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2023

© გამომცემლობა „პალიტრა L“, 2023

© ნინო ქუმსიშვილი, თამარ თევდორაშვილი, რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე, 2023

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-35-723-7

პირველი გამოცემა – 2023



შპს „გამომცემლობა პალიტრა L“

იოსებბიძის ქუჩა №49,

თბილისი, 0103

ტელ.: (+995 32) 2 38 38 71

(+995 32) 2 19 60 53

ელ-ფოსტა: book@palitra.ge



შპს „გამომცემლობა კლიო“

ალმაშენებლის გამზ., №181,

თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

ელ-ფოსტა: book@klio.ge; www.klio.ge

kliopublishing@gmail.com

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
თემა 1: ქალაქის/სოფლის ხმები	
1. სად თამაშობენ ბავშვები?	17
2. ქალაქი და სოფელი.....	19
3. ჭიჭე ტურა	21
4. აკვანი	23
5-6. დიდ ქალაქში.....	25
7. საიდან ისმის ხმა?	28
8. ისპაჰანსა და ვენაში.....	30
9. ლაიფციგში	33
10. მწერების კონცერტი.....	35
11. მომღერალი საათი.....	36
12-13. ზამთარი თბილისში	38
14-15. ძველი თბილისი.....	40
16-17. საშობაო სამზადისი.....	43
18-19. ლაპლანდია.....	46
20. დათოვლილი ტყე.....	49
21. გასართობი კუთხე/ატრაქციონები	51
22-23. გასართობი კუთხე.....	53
თემა 2: მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში	
24-25. გასეირნება	56
26-27. ნაბიჯები	59
28-29. ინტერვალები.....	61
30. ნაბიჯები/ინტერვალები	63
31. სუსხიანი დილის ქალაქი.....	65
32-33. ამოიცანით მარშრუტი	67
34. ამოიცანი შენობა	69
35. მოლში	71
36-37. ბგერათა რიგი/გამა	73
38. რონდო	76
39-40. გასეირნება ლონდონში	78
41-42. გასეირნება პარიზში, ესპანეთსა და შვედეთში	82
43. კანონი	86
44. შავლეგო.....	88
45-46. რწყილი და ჭიანჭველა	89
47-48-49. გასეირნება სოფელსა და ქალაქში.....	92
თემა 3: ჩემი ცხოვრების ერთი დღე	
50. დილა არის ცა ლაჟვარდი.....	95
51. საბავშვო სიმფონია	98
52-53. სკოლის შემდეგ	100
54. დღის ყველაზე კარგი ეპიზოდი	103
55-56. დღის განრიგი	105
57. დაუვინყარი დღეები.....	109
58. ხალისიანი მუსიკალური ფრაგმენტი	111
59. დილა	112
60-61. ერთი დღე	113
ლექსიკონი.....	115
გამოყენებული ლიტერატურა.....	122

წინასიტყვაობა

მუსიკის სახელმძღვანელო **მესამეკლასელთათვის** მასწავლებლის დამხმარე რესურსია საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმართვისთვის.

მუსიკის საგნის სტანდარტის მიხედვით, სახელმძღვანელო მოიცავს გაკვეთილების სცენარებს, რომლებიც განერილია სამი თემის მიხედვით:

1. ქალაქის/სოფლის ხმები
2. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში
3. ჩემი ცხოვრების ერთი დღე

მასწავლებლის წიგნს თან ახლავს თითოეული გაკვეთილის სცენარისთვის განკუთვნილი ელექტრონული რესურსი – აუდიო და ვიდეომასალა.

სახელმძღვანელო შესაძლებლობას იძლევა, მუსიკის აღქმისა და შინაარსის ამოცნობის ჩვევები და უნარები ეტაპობრივად განავითაროს მოსწავლეებში.

სახელმძღვანელო ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს. მოსმენილი ფრაგმენტების ვიზუალურ რიგთან, გამოსახულებასთან, ნაცნობ ემოციებსა და განცდებთან დაკავშირება ავითარებს მოსწავლეთა წარმოსახვისა და მუსიკალური სახეების ამოცნობის უნარს. ასეთ მაგალითებს მრავლად ვხვდებით საგაკვეთილო აქტივობებში.

სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებების მნიშვნელობას მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს და შესაბამის დროს გამოიყენებს კიდევ.

სახელმძღვანელოში მოცემული სწავლების მეთოდები თავიდან აგვაცილებს მოსწავლეებისთვის რაიმეს დაზუთხვის ან დაზეპირების შეთავაზებას.

თითოეულ თემას ახლავს კომპლექსური დავალებები, რომლებსაც წინ უძღვის საეტაპო აქტივობები.

საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურად და მიზანმიმართულად უკავშირდება კომპლექსურ დავალებებს.

კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე.

საზოგადოდ, I-IV კლასების სერია ირჩევს გაღრმავებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივ და მრავალმხრივ მიწოდებას. სწავლების პროცესში ინფორმაციული მარცვალი ჩადებულია პირველივე სასწავლო წლის მასალაში, მომდევნო კლასებში კი იგი ღვივდება, ვითარდება და მდიდრდება.

საწყის ეტაპზე ბავშვები იწყებენ ინტონაციების, მოტივების, შემდეგ კი ფრაზების, მუსიკალური წინადადებებისა და თემების ამოცნობას, შესაბამის სახეებთან დაკავშირებას. საბოლოოდ, ეს აქტივობები მოსწავლეებს განუვითარებს მუსიკის მოსმენის, აღქმის, სხვადასხვა მუსიკალური ჟანრისა და ფორმის გააზრების უნარებს; ასევე მუსიკასთან საკუთარი დამოკიდებულების, მასზე მსჯელობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების დამყარებას.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ქართველ ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ბავშვები იღებენ განათლებას. I-IV კლასების მუსიკის სახელმძღვანელოების სერია ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის მნიშვნელობის წარმოჩენას და ამდენად, თემებში შესაბამისად მიწოდებულია ინფორმაცია, რომლის მიზანი მოსწავლის ცნობიერების ამაღლება და განვითარებაა. ეს ინფორმაცია კი ეფუძნება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს.

■■■ მიზნები და ამოცანები

სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური დამოკიდებულებები; გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრულად ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების

დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც უნდა გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების დროს.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში, სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში, შშმ) მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში საგნისა და სპეცმასწავლებლის დახმარებით. წინასწარ შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას სწავლის პროცესში.

■ ■ ■ **კომპლექსური დავალება.** არის შემოქმედებითი პროდუქტი (მაგალითად, ფრაგმენტის გამოსახულებასთან დაკავშირება, მოსმენილი კოლაჟის შესახებ მსჯელობა და სხვა), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, თუ როგორ შეუძლია მუსიკალურ ინტონაციაში, მოტივში, თემაში, ფრაზაში, ფრაგმენტში, ნაწარმოებში ემოციებისა და განწყობის ამოცნობა).

ამასთან, კომპლექსური დავალება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს შესწავლილ საკითხებზე და გაიაზროს იგი.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყება ხდება პირველივე გაკვეთილებიდან.

I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს მასწავლებელთან, თუ რა ფორმით მოხდება შესრულებული დავალების წარდგენა.

II ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსური დავალების შესრულებაზე.

- ეცნობიან და განიხილავენ დავალებასთან დაკავშირებულ რესურსებს
- ხორციელებს შესაბამისი აქტივობები
- მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ კომენტარებს

იმისთვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსური დავალების შესრულება, მასწავლებელმა ყურადღებით უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების პირობა, რომელშიც დაზუსტებულია, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ევალება მათ.

ამასთან, მასწავლებელმა უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეს ატყობინებს, თუ რა უნდა გაითვალისწინოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და შემოქმედებითი პროდუქტის აგებისას. მეორე მხრივ, სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება თითოეულის ნამუშევარიც.

სახელმძღვანელოში მაგალითისთვის მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების მატრიცის ნიმუში.

■ ■ ■ **სოლოტაქსონომია (განმავითარებელი/სიტყვიერი შეფასება)**

აბსტრაქტული დონე. მოსწავლე ადგენს კანონზომიერებებს გამოყენებულ ტრადიციულ მუსიკალურ ხერხებსა და სამყაროს ხმებს შორის, რომელთა მეშვეობით შეიქმნა გარკვეული მუსიკალური მხატვრული სახე. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ასეთ მუსიკას მე შხაპუნა წვიმის დროს მოვუსმენდი, ძალიან მღელვარე მუსიკაა, მეც ასეთ მღელვარებას ვგრძნობ ხოლმე).

საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., ზამთრის პეიზაჟი). გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ირჩევს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს (მაგ., ზამთრის ტყის ხმები და მსგავსი მახასიათებლების მქონე მუსიკალური ფრაგმენტები), გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს (მაგ., დილა ტბაზე).

მიმართებითი დონე. მოსწავლე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს სამყაროს ხმებსა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ შხა-

პუნა წვიმას; ეს მუსიკა ჰგავს შხაპუნა წვიმას იმიტომ, რომ უფრო ხმამაღალი მუსიკაა, სიხარულს გადმოსცემს, რომელიც შხაპუნა წვიმის დროს გიჩნდება).

მულტისტრუქტურული დონე. მოსწავლე ამოიცნობს ხმის, ხმაურის, ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს, მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ბოხი ხმაა, ვიდრე ჩვეულებრივი წვიმის დროს. ეს მუსიკა შხაპუნა წვიმას ჰგავს იმიტომ, რომ სწრაფი რიტმია).

უნისტრუქტურული დონე. მოსწავლე ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან ტრადიციული მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ., შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ შხაპუნა წვიმის დროს არის ასეთი ხმა; ეს მუსიკა იმიტომ ჰგავს წვიმას, რომ ამ მუსიკაზე წვიმა მახსენდება და ა.შ.).

პრესტრუქტურული დონე. მოსწავლე ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს და ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.

■ ■ ■ განმავითარებელი შეფასება III კლასის კომპლექსური დავალებისთვის!

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
პრესტრუქტურული დონე: ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს, ვერ ამოიცნობს ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს გარე სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.	მოსწავლემ ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნო მუსიკის ემოციური მუხტი, ვერცერთი ნიშნით ვერ დაუკავშირა სამყაროს რაიმე მოვლენას, საგანს.	გირჩევ მოინდომო და მეტად ჩაერთო აქტივობებზე მუშაობის პროცესში, გაიაზრო, რა საკითხებზე მსჯელობას ეთმობა ჩვენი გაკვეთილები, რომ მომავალში უკეთ შეასრულო დავალების პირობა.
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
უნისტრუქტურული დონე: ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან ტრადიციული მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ გარე სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მაგ: ამ ფრაგმენტს ძლიერი ხმა აქვს, ასეთ მუსიკას მე სეირნობის დროს მოვუსმენდი.	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის მხოლოდ ცალკეული მახასიათებელი, ისიც გაუცნობიერებლად, დაუკავშირა გარე სამყაროს მხოლოდ ერთ მოვლენას, მხატვრულ სახეს, საგანს, ვერ ახსნა თავისი არჩევანი და შესაბამისად, ვერ გამოიყენა ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, რომ გაიგე დავალების პირობა. შენს ნაშრომში ჩანს, რომ არ გიჭირს მუსიკის საკუთარ წარმოდგენებთან დაკავშირება, თუმცა შენეულ ახსნას, თუ რატომ შეგექმნა ეს წარმოდგენა, დამაჯერებლობა აკლია. მიაქციე ყურადღება იმას, თუ რომელმა მუსიკალურმა ხერხებმა შეგექმნა ეს შეგრძნებები და წარმოდგენები.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მულტიტრუქტურული დონე: ამოიცნობს ხმის, ხმაურის, ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს. (მოსმენილი ორი ფრაგმენტიდან პირველი უფრო ნათელია, მაღალ რეგისტრში ჟღერს, ვიდრე მეორე, პირველი ფრაგმენტი მახსენებს ბედნიერ დღეებს, იმიტომ რომ სწრაფი ტემპი აქვს, ვიდრე მეორე ფრაგმენტს).	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის რამდენიმე მახასიათებელი, შეეცადა დაეკავშირებინა სხვადასხვა მოვლენასთან, მხატვრულ სახესთან, საგანთან, მაგრამ ვერ ახსნა, რა მიმართებები და კავშირებია კონკრეტულ მოვლენას, მხატვრულ სახესა და მუსიკის მახასიათებლებს შორის. ვერ გაიაზრა მუსიკალური გზავნილისა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირი. მუსიკის მახასიათებლებზე მსჯელობისას ვერ გამოიყენა სათანადო ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, შენ მშვენივრად გაიგე პირობა. შეძელი არა მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მიამსგავსე გარე სამყაროს სახეებთან დაკავშირება), არამედ შეეცადე აგეხსნა, თუ რატომ შეგექმნა ასეთი წარმოდგენები. თუმცა ახსნისას მუსიკის მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირების დროს ჩანს უზუსტობები. როგორც ჩანს, შენ გჭირდება უფრო მეტი დაფიქრება ამ მახასიათებლების მნიშვნელობაზე, გაკვეთილის მსვლელობისას დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები და დაფიქრდე, რა კავშირია მუსიკის მახასიათებლებსა და მუსიკაში გადმოცემულ კონკრეტულ მოვლენას, შინაარსს შორის.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მიმართებითი დონე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს გარე სამყაროს ხმებსა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ გარე სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს ფრაგმენტი უფრო ხმამაღალია, ვიდრე მეორე, იმიტომ ნათელ დღეებს მაგონებს).	მოსწავლემ განასხვავა გარე სამყაროს ხმები და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლები, დაუკავშირა კონკრეტულ მოვლენას, სახეს, საგანს. იმსჯელა მუსიკის ემოციურ მუხტზე, გამოიყენა შესაბამისი ტერმინოლოგია, გაიაზრა ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.	შენ ძალიან კარგად შეასრულე დავალება, კარგად გაიაზრე მუსიკალური ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების მნიშვნელობა საკითხის შესწავლის პროცესში. შენს ნაშრომში კარგად ჩანს მუსიკის მახასიათებლებისა და გარე სამყაროს მოვლენებს შორის დანახული ურთიერთკავშირები, თუმცა, ვისურვებდი, რომ მეტად ჩანდეს ამა თუ იმ საკითხში განზოგადებული მსჯელობის უნარი.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
აბსტრაქტული დონე: ტრადიციული მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ. (მაგ. ჩემს წარმოსახვაში ეს ხმები სეირნობისთვის საუკეთესო დღეს უკავშირდება, იმიტომ, რომ სასიამოვნო, თბილი, გამჭვირვალე ტემბრი აქვს); ამ ფრაგმენტს მხიარული, ნათელი და გამჭვირვალე ჟღერადობა აქვს, ამ მუსიკის მოსმენისას ისეთივე ამაღლებული განწყობა მეუფლება, ისეთივე სიხარულს განვიცდი, როგორიც საუკეთესო დღეების დროს მექონია.	მოსწავლის მსჯელობა იყო არგუმენტირებული – თუ როგორ იქმნება ტრადიციული მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახე, მოვლენა, საგანი. ის მსჯელობისას მივიდა განზოგადებამდე და ჩამოაყალიბა გარკვეული კანონზომიერებები. კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას წარმოაჩინა საკუთარი ინტერპრეტაცია – თავად აირჩია ხმები, მუსიკალური ფრაგმენტები, გააანალიზა მუსიკის მახასიათებლები და გადმოგვცა საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებით.	შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას და ნამდვილად იმსახურებ უმაღლეს შეფასებას. შენი მსჯელობა იყო არგუმენტირებული, იძლეოდა საკითხის განზოგადების შესაძლებლობას, ამდენად, შენი ხედვა, ინტერპრეტაცია არის ძალიან საინტერესო.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული საგაკვეთილო სცენარები აგებულია

სწავლა-სწავლების ხუთ პრინციპზე.

I – **აქტიური სწავლა:** მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმული შემოქმედებით პროცესებში: აქტიურად უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც დასმულია მათი წინარე ცოდნის გათვალისწინებით და კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპით ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობას იძლევა.

II – **წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირება:** ახალი მასალა მოსწავლეებს მიეწოდებათ თანდათანობით, ეტაპობრივად სათანადო დამუშავების გზით, რათა მივიყვანოთ ისინი ახალ ცოდნამდე.

III – **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:** სამიზნე ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეთა ცნობიერებაში შემოდის მუსიკალური მახასიათებლების განხილვის გზით.

IV – **სწავლის სწავლა:** მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიეწოდებათ ზუსტად გაწერილი მითითებები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა და როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ.

V – **სწავლა-სწავლება მოიცავს ცოდნის სამ კატეგორიას (დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს):**

- დეკლარირებული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?
- პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?
- პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

■ ■ ■ ცნება მუსიკა

ქვეცნებები:

ბგერის თვისებები

ბგერის სიძლიერე – ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო

ბგერის გრძლიობა – დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები

ბგერის სიმაღლე – მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრის ბგერები

ბგერის ტემპრი – უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო

რიტმი – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო

ტემპი – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი

მეტრი – ძლიერი და სუსტი დრო

მელოდია

მელოდიის სახეობა – მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, სევდიანი, მელოდია ნახტომებით

მელოდიის ხასიათი – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი და ა.შ.

მელოდიაში ინტონაციები – ხმაბაძვითი ინტონაციები

ჰარმონია – კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია;

ფორმა – კომპოზიცია

ჟანრი – სიმღერა

ინსტრუმენტული პიესები

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეული საკითხები:

- მუსიკით აღწერა
- მუსიკით განწყობის შექმნა
- მუსიკით თხრობა
- მუსიკით ემოციის გადმოცემა

თემა: ქალაქის/სოფლის ხმები	
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გამოყენება ქალაქის/სოფლის კუთხის აღსაწერად; ქალაქთან/სოფელთან დაკავშირებული განწყობის გადმოსაცემად; • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ქალაქის/სოფლის კუთხეები აღიწერება; ქალაქთან/სოფელთან დაკავშირებული განწყობა გადმოიცემა.	
თემა: გასეირნება ქალაქში/სოფელში	
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • მუსიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება ქალაქში/სოფელში გასეირნების შესახებ ამბის გადმოსაცემად. • მუსიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ქალაქში/სოფელში გასეირნების შესახებ ამბავი გადმოიცემა	
თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე	
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გამოყენება ცხოვრების ერთი დღის (განრიგის, მიღებული ემოციების, განწყობის) აღსაწერად; • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ცხოვრების ერთი დღე (განრიგის, მიღებული ემოციების, განწყობის) აღიწერება.	
შედეგის ინდექსი	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს. დანყ. 1	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს. დანყ. 2	ხმის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარე სამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება;
მუს. დანყ. 3	გარე სამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის გასააზრებლად;

მუს. დანყ. 4	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ.: პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად;
მუს. დანყ. 5	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;
მუს. დანყ. 6	მუსიკალური ელემენტების (მაგ. ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.

თემა	კომპლექსური დავალება
თემა 1. ქალაქის/სოფლის ხმები	შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებითა და ატრაქციონების ფოტოებით შეადგინეთ მარშრუტი ქალაქის გასართობ კუთხეში. შეადგინეთ მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც ასახავს გასართობ კუთხეში გართობის დასაწყისს, გაგრძელებასა და დასასრულს. საკითხი: მუსიკით განწყობის შექმნა
თემა 2. გასეირნება ქალაქში/სოფელში	მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს. დააკვირდით გამოსახულებას და დაადგინეთ, სად მოგზაურობს ბიჭუნა. კოლაჟის თანამიმდევრობით დანომრეთ ფოტოები. მოსმენილი კოლაჟის მიხედვით გამოიგონეთ რაიმე ამბავი. საკითხი: მუსიკით აღწერა
თემა 3. ჩემი ცხოვრების ერთი დღე	დააკვირდით არეულად დალაგებულ სურათებს, დანომრეთ და დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით. მოიფიქრეთ სახელი დღის თითოეული მონაკვეთისთვის. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ფრაგმენტების ანბანური და სურათების ციფრობრივი აღნიშვნა მიუსადაგეთ ერთმანეთს და შეავსეთ ცხრილი, შემდეგ დაწერეთ პატარა ამბავი და წარუდგინეთ თანაკლასელებს. საკითხი: მუსიკით თხრობა
თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე მთავარი საკითხი: მსმენელზე ზემოქმედებისთვის ხმის/ხმაურის ყველა თვისების გამოყენება.	

კომპლექსური დავალების პირობა მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს. დააკვირდით გამოსახულებას და დაადგინეთ, სად მოგზაურობს ბიჭუნა. კოლაჟის თანამიმდევრობით დანომრეთ ფოტოები. მოსმენილი კოლაჟის მიხედვით გამოიგონეთ რაიმე ამბავი. საკითხი: მუსიკით აღწერა. ნაბიჯი 1. მოუსმინე მუსიკალურ კოლაჟს*, და ამის მიხედვით არეულად დალაგებული ფოტოები დანომრე შესაბამისი თანამიმდევრობით. მოცემული მუსიკალური კოლაჟისა და სურათების მიხედვით დაადგინე, რომელი ადგილის დათვალიერება გადანიჭვითა ბიჭუნამ თავდაპირველად. ნაბიჯი 2. განმეორებით მოუსმინეთ კოლაჟს. ნაბიჯი 3. განმეორებით მოუსმინეთ კოლაჟს. ყური დაუგდეთ ბიჭუნას მუსიკალურ დახასიათებას და ქვემოთ მოცემული პორტრეტებიდან ერთ-ერთი შეუსაბამეთ მის ხასიათს. ნაბიჯი 4. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ კოლაჟს... ნაბიჯი 5. მოუსმინეთ ფრაგმენტებს და შეუსაბამეთ სურათებს. ნაბიჯი 6. მოუსმინეთ კოლაჟს, რომელიც შედგენილია თქვენთვის ნაცნობი მუსიკალური ფრაგმენტებით.	გრძელვადიანი მიზნები:
დააკვირდით არეულად დალაგებულ სურათებს, დანომრეთ და დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით. მოიფიქრეთ სახელწოდება, როგორ სახელს დაარქმევდით ასეთ დღეს? მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ფრაგმენტების ანბანური და სურათების ციფრობრივი აღნიშვნა მიუსადაგეთ ერთმანეთს და შეავსეთ ცხრილი, შემდეგ დაწერეთ პატარა ამბავი და წარუდგინეთ თანაკლასელებს. საკითხი: მუსიკით აღწერა ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: - როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით სხვადასხვა განწყობის ამოცნობა? - როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით რაიმე მოქმედების დამახასიათებელი განწყობის გადმოცემა? - როგორ უნდა შეირჩეს მუსიკალური თანხლება, რომელიც გარკვეულ მოქმედებას რაიმე განწყობას შეუქმნის?	სამიზნე ცნება: მუსიკა შედეგი: მუს.დანყ.(I). 2.4. 5. ქვეცნებები: ბგერის სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო) ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები) ბგერის სიმაღლე (მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი) ბგერის ტემპი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, ნკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო) სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: - მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის თავში განწყობას, შინაარსს და ინვესტს ჩვენში გარკვეულ განცდას; - ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; - მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.



I ეტაპი. კომპლექსური დავალების ფორმა II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი

- **ნაბიჯი 1.** რა თანამიმდევრობით დაალაგებდით დილის ხმებს? ჩანერეთ ხმის ნომერი სა-
თანადო უჯრაში.

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
კომპლექსური დავალები- სთვის განკუთვნილი ვიზუალური მასალა იხ. მოსწავლის რვეულში ვიზუალური მასალა	აქტივობა 1 მოსწავლისათვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა. აქტივობა 2 გაიხსენეთ ერთი დღე, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ. რას დაარქმევდით იმ დღეს? ბედნიერი დღე, სიურპრიზებით დაწყებული დღე, ყველაზე მეგობრული დღე თუ სხვას მოიფიქრებთ? დააკვირდით სურათებს და აღწერეთ, შემდეგ კი ხაზებით დაუკავშირეთ მოცემულ სიტყვებს. აქტივობა 3 მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ სურათებს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც გაჟღერდა ჩანაწერი. სწორი ნუმერაცია ჩანერეთ ცარიელ უჯრებში.	• როგორ ამოიცანით ის ფრაგმენტი, რომელიც ექსკურსიაზე გატარებულ დღეს მოგაგონებდათ? • რამ მიიქცია თქვენი ყურადღება, მოძრავმა რიტმმა, სწრაფმა ტემპმა თუ მოქნილმა და ხალისიანმა მელოდიამ? • რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ყველაზე ენერგიულად? • რომელ დღეს დაუკავშირეთ მშვიდი მელოდია? • რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ყველაზე სწრაფ ტემპში? • რომელი ფრაგმენტი მოგეწონათ? ახსენით, რატომ?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი

- ნაბიჯი 1. რა თანამიმდევრობით დაალაგებდით დილის ხმებს? ჩანერეთ ხმის ნომერი სათანადო უჯრაში.

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
რესურსი 1. ცხრილი №1  რესურსი 2. ცხრილი №2 		- რა დაგეხმარათ ნომრის შერჩევაში, რიტმი თუ მელოდია? - როგორ ფიქრობთ, ეს მელოდია მხიარულია თუ მონყენილი? - დღის რა მონაკვეთს დაუკავშირებდით თქვენ მიერ შემოხაზულ მუსიკალურ ფრაგმენტს, დილას, შუადღეს თუ საღამოს? - დააკვირდით ცხრილებს. რომელ ცხრილსა და რომელ უჯრაში ჩანერდით ამ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს?

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები														
დააკვირდით არეულად და- ლაგებულ სურათებს, დანომ- რეთ და დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით. მოიფიქრეთ სახელწოდება, როგორ სახელს დაარქმევდით ასეთ დღეს? მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ფრაგმენტების ანბანური და სურათების ცი- ფრობრივი აღნიშვნა მიუსადა- გეთ ერთმანეთს და შეავსეთ ცხრილი, შემდეგ დანერეთ პა- ტარა ამბავი და წარუდგინეთ თანაკლასელებს. რესურსი <table><tr><th>სურათების ხომურა</th><th>ფრაგმენტის ხომურა</th></tr><tr><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td></tr></table>	სურათების ხომურა	ფრაგმენტის ხომურა														- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეარჩიეთ და რატომ? - მუსიკის რომელმა ელემენტმა მიიქცია თქვენი ყურადღება, რო- მელიც დაგეხმარათ ფრაგმენტის შერჩევაში? - რა განწყობის მიხედვით შეარჩიეთ ეს ფრაგმენტი? - თქვენი ცხოვრების როგორი დღე აღწერეთ? ერთი ჩვეულებრივი ყოფითი დღე თუ განსხვავებული? იქნებ რაიმე დღესასწაული?
სურათების ხომურა	ფრაგმენტის ხომურა															

**კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:
სამიზნე ცნება — მუსიკა საკითხი — მუსიკით განწყობის შექმნა**

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სამუშაო პროცესი:
აბსტრაქტული დონე ტრადიციული მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ. ასეთ მუსიკას დილით მოვუსმენდი, ვინაიდან საკრავების გამჭვირვალე ნათელი ტემბრი, ფრაგმენტის კეთილხმოვანი ჟღერადობა ჩემთვის სასურველ მზიან დილას მომაგონებს. ეს მუსიკა ისევე მავსებს ენერგიით და მაფხიზლებს, როგორც დილით მზის სხივები). მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებს, მუსიკალურ ფრაგმენტებში ამოიცნობს მხატვრულ სახეს. ხმებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს მიუსადაგებს ვიზუალურ გამოსახულებას, მუსიკალურ კოლაჟს შეთავაზებულ ვერბალურ ტექსტს შეუსაბამებს. ამოიცნობს მუსიკალური ფრაგმენტის განწყობას და ავლებს პარალელს საკუთარ განცდებსა და ემოციებთან.	• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ მიუსადაგე გარკვეული მუსიკალური ფრაგმენტები კონკრეტულ ცხოველს? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
მიმართებითი დონე პოულობს განსხვავებებს და მსგავსებებს გარე სამყაროს ხმებსა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ.: ამ ფრაგმენტს ძლიერი ჟღერადობა აქვს, მოვუსმენდი დილით, ვინაიდან ენერგიულია).	
მულტისტრუქტურული დონე ამოიცნობს ხმის, ხმაურის, ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს მუსიკა ძალიან სწრაფია და დილას ჰგავს).	
უნიტრუქტურული დონე ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან ტრადიციული მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ გარე სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ., ამ მუსიკაზე დილა მახსენდება).	
პრესტრუქტურული დონე ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს და ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს გარე სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.	

სიტყვის კონა

ეს თქვენი სიტყვების კონაა. როდესაც მუსიკის შესახებ ისაუბრებთ, ხშირად მოგვაკითხეთ და გაიხსენეთ რა თვისებები აქვთ ხმა-ბგერებს და რა მახასიათებლები აქვთ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

- **ბგერის სიმაღლე** შეიძლება იყოს წვრილი – მაღალი, ბოხი – დაბალი ან საშუალო.
- **ბგერას** შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა **ტემპი**: რბილი, მჭახე, ხავერდოვანი, წკრიალა, დახშული, მოგუდული, ყრუ, მუქი, მყვირალა, თბილი.
- **ბგერა** შეიძლება **ჟღერდეს** ხანგრძლივად ან მოკლედ.
- **ბგერა** შეიძლება იყოს ძლიერი – ფორტე, პიანო – ჩუმი ჟღერადობისა.

მუსიკის მახასიათებლები

- **რიტმი**: მდორე, ცოცხალი, მკვეთრი, განმეორებადი, არაგანმეორებადი.
- **მელოდიის სახეობა**: აღმავალი, დაღმავალი, ნახტომებით, მღერადი, არამღერადი.
- **მელოდიის ხასიათი**: სევდიანი, მხიარული, საცეკვაო, მშვიდი, დაძაბული.
- **ტემპი**: სწრაფი, ნელი, საშუალო, აჩქარებით, შენელებით.
- **ფორმა**: დასაწყისი, შუა ეპიზოდი, დასასრული.
- **ჰარმონია**: კეთილხმოვანი – სასიამოვნო, არაკეთილხმოვანი – უსიამოვნო.

პირობითი ნიშნები



მოუსმინე ვიდეოს და მუსიკალურ ფრაგმენტებს



ჩანერე დავალება



დახატე ნახატი

III კლასი

თემა 1: ქალაქის/სოფლის ხმები

თემის ძირითადი მიზანია, ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების მეშვეობით გარე სამყაროს გაცნობით მოსწავლის გრძნობად-ემოციური და შემოქმედებითი თვალსაზრისის გაფართოება. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით, საგანთაშორისი კავშირით ცოდნის ინტეგრირებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას შეძლებს;
- მელოდიის მოტივის, ინტონაციის, რიტმის, ტემპის, ტემბრის, გრძლიობის როლს განსაზღვრავს და ტერმინებს მოკლედ განმარტავს;
- თემატური ილუსტრაციების, ქალაქისა და სოფლის ხმების, სხვადასხვა ხმის ამსახველი მუსიკალური ნაწარმოებების ერთობლიობაში მოაზრებით ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს, ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმას შეძლებს;
- მუსიკალურ ნაწარმოებებში ქალაქის/სოფლის გარემოსთვის დამახასიათებელი ინტონაციებით, სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლს განსაზღვრავს;
- ქალაქის/სოფლის ამსახველ ხმებს, ილუსტრაციებსა და მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებებში ქალაქის/სოფლის ინტონაციებს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში აღიქვამს და ემოციურ განწყობილებას გადმოსცემს;
- გათამაშების დროს ხმით მიბაძვით, სიმბოლოებითა და ილუსტრაციებით სხვადასხვა ხმას ამოიცნობს;
- ხმოვან გზავნილებს შესაბამისი სიმბოლოებით ჩაწერს;
- სახელმძღვანელოში განთავსებულ ილუსტრაციებს ასათვისებელ მასალასთან დააკავშირებს;
- განწყობილების, ემოციის გადმოსაცემად ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებს გამოიყენებს;
- ნათლად გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს.

1. სად თამაშობაზე გავხვები?

აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: დასრულდა საზაფხულო არდადეგები. კვლავ სკოლას დაუბრუნდით. ალბათ საინტერესო თავგადასავალიც გადაგხდათ. მოდი, ვისაუბროთ თქვენს შთაბეჭდილებებზე.

- სად იმოგზაურეთ?
- როგორ ერთობოდათ?
- როგორ ისვენებდით?
- რა თამაშებს თამაშობდით?

ახლა კი მოუსმინეთ ჩანაწერს და ამოიცანით, თუ რა გარემოში ისმის ეს ხმები? დააკვირდით სურათებს და დააკავშირეთ მოსმენილთან. ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაგმენტის ნომერი.

☐☐☐

აქტივობა 2

მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს და უპასუხეთ კითხვებს:



ო. თაქთაქიშვილი.
სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის, I ნაწ.



ო. თაქთაქიშვილი.
სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის, III ნაწ.

მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელს მიუსადაგებდით პირველ გრაფაში მოქცეულ სიტყვებს და რომელს – მეორე გრაფაში მოქცეულ სიტყვებს?

1. მშვიდი, ნათელი, გამჭვირვალე
შეიძლება შევადაროთ დილის სცენას სოფლად, ბუნების გამოვლიდებს, ჩიტების გადაძახილს.

2. ხალისიანი, მოძრავი, ჰეროვანი, მსუბუქი
შეიძლება შევადაროთ დაჭერობანას თამაშს სოფლად.



მიმართეთ მოსწავლეებს: თქვენ ყველას საკუთარი სახელი და გვარი გაქვთ. მუსიკალურ ნაწარმოებების შემქმნელს – კომპოზიტორსაც თავისი სახელი და გვარი აქვს. მუსიკალური ფრაგმენტები, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ დანერა ქართველმა კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა. მოდი, ვნახოთ ვიდეოჩანანერი.

ეს ნაწარმოები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია.

- დაასახელეთ, რომელი საკრავი ან საკრავები ამოიცანით?
- აქედან რომელი საკრავი ასრულებს მელოდიას?
- რომელი საკრავი უწევს თანხლებას/აკომპანემენტს?

აქტივობა 3

განმეორებით მოუსმინეთ ჩანაწერს, ფრაგმენტს ო. თაქთაქიშვილის სონატიდან.

დააკვირდით კონტურებს და გააფერადეთ ის კონტური, რომელიც შინაარსობრივად შესაძლებელია დავაკავშიროთ მუსიკასთან. გადახაზეთ, რომელიც არ უკავშირდება მოსმენილ ფრაგმენტს.



2. ქალაქი და სოფელი

აქტივობა 1

აღბათ გაგიგონიათ, რომ ყველა ქალაქს თავისი რიტმი აქვს. ის გამოიჩენს მრავალფეროვანი ხმით, ასევე შეგინიშნავთ თვალწარმტაცი ადგილები, მოფუსფუსე ხალხი, თვალისმომჭრელი შენობა-ნაგებობები, მაღაზიის ვიტრინები, მაღალსართულიანი სახლები, გადაჭედული გზები... გსმენიათ ადამიანების სიცილის, საუბრის, ნელი თუ სწრაფი ნაბიჯების ხმები, რომელსაც გაბმული მანქანების სიგნალი უერთდება.

დააკვირდით სურათს და აღწერეთ:



- დიდი ქალაქია თუ პატარა?
- რომელმა დეტალებმა მიიქცია თქვენი ყურადღება?
- როგორი რიტმი ექნება სურათზე ასახულ ქალაქს, მოძრავი თუ მდორე?
- უპასუხეთ კითხვებს:
- გიყვართ ქალაქში გასეირნება?
- ადგენთ თუ არა წინასწარ ქალაქში გასეირნების მარშრუტს?
- აკვირდებით თუ არა შენობა-ნაგებობებს?
- როგორ ხმებს გაიგონებდით დიდ ქალაქში?
- განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან დიდი ქალაქის ხმები პატარა ქალაქის ხმებისგან?

მოუსმინეთ და ამოიცანით დიდი და პატარა ქალაქისთვის დამახასიათებელი ხმები, შემდეგ დანომრეთ სურათები.



აქტივობა 2

მოდით, გადავინაცვლოთ სოფელში. მაღალი შენობების გარემოსა და ხმაურიან ქუჩას რომ მოსწყდებით, საოცარ სიჩუმესა და სიმშვიდეში აღმოჩნდებით. აქ ბუნების მრავალფეროვან ხმებს გაიგონებთ. რა ჯობს სუფთა ჰაერზე გასეირნებას? ულამაზესი გარემო, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს თქვენ თვალწინ ლამაზი პეიზაჟები იშლება; მშვენიერი ყვავილებით სავსე მდელო,

ჩიტების ჭიკჭიკით ავსებული ბაღები, დათოვლილი მთები თუ ფერად-ფერადი ფოთლებით მოფენილი გზები...



დააკვირდით და აღწერეთ სურათი:

- რა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის?
- რომელ გარემოში გესმით მრავალფეროვანი ხმები?
- რატომ არის სოფელში სიმშვიდე? სინყნარე?
- რომელ გარემოში ისურვებდით ყოფნას?


მოუსმინეთ ჩანაწერს და დაასახელეთ ის ხმები, რომლებიც გესმით.

- დღის რომელი მონაკვეთია აღწერილი ხმებით: დილა, შუადღე თუ საღამო?



აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს: რვეულში დახატულია „ასოციაციური რუკა“, რომლის წრეში წერია: ხმები სოფლად. მოუსმინეთ ხმებს, რომლებიც ახასიათებს სოფლის გარემოს; ამოიცანით ისინი და შეავსეთ ასოციაციური რუკა.



მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს და ერთ-ერთი მიუსადაგეთ სოფლის გარემოს.



ჯ. გერშვინი. „ამერიკელი პარიზში“



ო. თაქთაქიშვილი. სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის

3. ჭიჭე ტურა

აქტივობა 1

დააკვირდით გამოსახულებას. მოუსმინეთ ჩანაწერს, სადაც დაბალი და მაღალი ხმა ისმის. თქვენი აზრით, რომელ ხმაში ისმის განმეორებადი რიტმი?



დაიმახსოვრეთ, მუსიკოსებმა ერთი და იმავე რიტმის დაჟინებულ გამეორებას **რიტმული ოსტინატო** დაარქვეს.

აქტივობა 2

დააკვირდით სურათს და აღწერეთ:

- სად ხდება მოქმედება, ქალაქსა თუ სოფელში?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რა მოქმედებაა გადმოცემული პერსონაჟების დიალოგში, საყვედურის თუ შექების?

მოუსმინეთ მეგრული სიმღერის „ჭიჭე ტურას“ ჩანაწერს. ამოიცანით:

- სად ჟღერს რიტმული ოსტინატო, ჩონგურის თანხლებასა თუ მომღერალთა ხმებში?
- როგორია სიმღერა, სახუმარო/ცოცხალი თუ რაიმე საგმირო ამბის გადმომცემი?



მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, განუმარტეთ ბავშვებს: მეგრულ სიმღერაში „ჭიჭე ტურა“ პატარა ტურას ნიშნავს. ცოლმა ქმარს ეზოში ტურის შემოპარვის სცენა დაუდგა. ისედაც ბუზლუნა ქმარი საყვედურით ავსებს ცოლს, საქათმის კარი ღია დაგრჩა და კიდევ იცინიო.

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ კომპოზიციას, გაშიფრეთ ხმები და უპასუხეთ კითხვებს:


- წელიწადის რა დროა: ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი?
- მოქმედება ქალაქში ხდება თუ სოფლად?
- მოსმენილი კომპოზიციიდან გამომდინარე, გამოიგონეთ რაიმე ამბავი და უამბეთ კლასელებს.
- იმსჯელეთ, რისი ხმა მოგაგონებთ რიტმულ ოსტინატოს?



4. აკვანო

აქტივობა 1

მიუთითეთ ბავშვებს რვეულში გამოსახულ რიტმულ საგარჯიშოზე, უჩვენეთ რამდენჯერმე და სთხოვეთ გაიმეორეონ.



აქტივობა 2

სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ ნახატებს. აღწერონ და უპასუხონ კითხვებს:


რა არის აკვანი? ის ორივე სურათზეა გამოსახული?

- როგორ ფიქრობთ, სად ხდება მოქმედება?
- რა მოქმედებებია ასახული პირველ სურათზე და რა მეორეზე?
- ახლა მოუსმინეთ ორ ჩანანერს, გაშიფრეთ და სურათებთან დააკავშირეთ.
- როგორ ფიქრობთ, მოცემულ სურათებში არის პერსონაჟი, რომლის ხმა საერთოდ არ ისმის ჩანანერში?



აქტივობა 3

რიგრიგობით მოასმენინეთ ორი ვერბალური ტექსტის (აუდიოჩანანერი) შინაარსი:



მიმართეთ ბავშვებს:

ჩვენ მოვისმინეთ ორი განსხვავებული შინაარსის სიტყვიერი (ვერბალური) ტექსტი.

- დახედეთ სათაურებს და დანომრეთ, რომელი მოვისმინეთ პირველად და რომელი მეორედ?

„გიდელი“

„ძილისპირული ნანა“

შემდეგ მოასმენინეთ გურული სიმღერების, „ა გიდელისა“ და „ძილისპირული ნანას“ ჩანაწერები.

ჰკითხეთ ბავშვებს:

რომელ სიმღერას შეიძლება ერქვას „ა გიდელი“ და რომელს „ძილისპირული ნანა“? შესაბამისი სახელწოდება ჩაწერეთ ცარიელ უჯრაში.



ნაიკითხეთ მუსიკის მახასიათებლები და დაადგინეთ, რომელი სიმღერაა აღწერილი: „ა გიდელი“ თუ „ნანა“.

მუსიკის მახასიათებლები

ტემბრი / თბილი

ტემპი / ნელი

მელოდია / მღერადი

აქტივობა 1



- დააკვირდით ქალაქის სხვადასხვა კუთხეს და გამოთქვით ვარაუდი, რა ადგილებია?
- თქვენი აზრით, რა ხმები შეიძლება გავიგონოთ ფოტოებზე წარმოდგენილ სკვერებში?
- რა ნიშნით ამოიცანით ქალაქის ესა თუ ის კუთხე?
- რა ხმები იქნება დამახასიათებელი ქალაქის ამა თუ იმ კუთხისთვის?
- დააკვირდით სურათის დეტალებს და მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება ამ დეტალების გახმოვანება?
- როგორ ტემპს უკავშირდება სურათებზე ასახული გარემო?

აქტივობა 2

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ სურათებს.



ჯ. გერშვინი. „რაფსოდია ბლუზის ტონებში“



ფ. მენდელსონი. „გაზაფხულის სიმღერა“



კ. დებიუსი. „არაბესკები“

- როგორ ამოიცანით მუსიკით ქალაქის ესა თუ ის კუთხე?
- რომელ ფრაგმენტს ამსგავსებთ მშვიდ და ლივლივა ბგერებს?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მელოდია ყველაზე მკვეთრად?
- რომელ ფრაგმენტში ისმის რიტმული ოსტინატო?

აქტივობა 3

გავიაროთ ქალაქის ქუჩებში და ყური მივუგდოთ იქაურ ხმებს, ვესტუმროთ ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩას, სადაც ბევრი ავტომობილი მოძრაობს. ალბათ შეამჩნევდით, რომ მანქანებს უჭირთ მოძრაობა, იქ ყოველთვის დიდი საცობია, ამიტომ ისმის სხვადასხვა ხმაზე გამბული სიგნალები.

- დაჰკვირვებხართ, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებას განსხვავებული სიგნალი აქვს?
- შეგიძლიათ ამოიცნოთ ეს ხმები?

მოუსმინეთ სატრანსპორტო საშუალებების სხვადასხვა სიგნალს.

მიუწერეთ უჯრაში სიგნალის რიგითი ნომერი.







აქტივობა 4

მოუსმინეთ ორ ბგერას, შეადარეთ ერთმანეთს და განსაზღვრეთ, რომელია უფრო მაღალი? განმეორებით მოსმენისას ეს ბგერები განასახიერეთ ჟესტებით და უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ გამოიყენეთ ეს ჟესტი ბოხი ხმის გამოსახატავად?
- რატომ გამოიყენეთ ეს ჟესტი წვრილი ხმის გამოსახატავად?



აქტივობა 5

მოუსმინეთ მსუბუქი ავტომობილის სხვადასხვა სიმაღლის სიგნალის თანამიმდევრობის სამ აუდიოფაილს. მოსმენილი ხმების შესაბამისი ნახატი ხაზებით დააკავშირეთ აუდიოფრაგმენტის ნომერთან.



ინფორმაცია მასწავლებელს:

აუდიომასალა მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ თანამიმდევრულად, გარკვეული პაუზების დაცვით. მოსწავლე ჯერ მოისმენს პირველ ფრაგმენტს და მას სათანადო სურათის ხმის ნომერთან აკავშირებს, შემდეგ მეორე ფრაგმენტს მოასმენინებთ და ა.შ. მოსწავლემ ეს დავალება უნდა შეასრულოს დამატებითი დამხმარე კითხვების გარეშე. სასურველია იმუშაონ უბრალო გრაფიკის ფანქრით, ვინაიდან სამივე ფრაგმენტის მოსმენის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს აზრი და შეასწორონ დავალება, რისთვისაც დასჭირდებათ საშუალების გამოყენებაც.

გამოიყენეთ ჟესტები და გაახმოვანეთ თითოეული გამოსახულება.



- გამოიცანით, რამდენი სხვადასხვა სიმალლის ბგერა ჟღერდა?
- რა თანამიმდევრობით გაჟღერდა ეს ბგერები?
- რომელ საკრავს მიუსადაგებდით ამ ხმებს?

აქტივობა 6

მოდით, განვასხვაოთ ზუსტი სიმალლის ბგერები ხმაურიანი ბგერებისგან. ზუსტი სიმალლის ბგერები ის ბგერებია, რომელთა გამღერება შეგვიძლია. ზუსტი სიმალლის ბგერებისგან აიგება მელოდია და სხვადასხვა მუსიკის ნიმუშები.

მოუსმინეთ ხმებს და დაადგინეთ, რომელი მიეკუთვნება ზუსტი სიმალლის ბგერას და რომელი ხმაურს, რომელსაც არ გააჩნია ზუსტი სიმალლე. ზუსტი სიმალლის ბგერის სიმბოლოდ წარმოდგენილია ნოტის გრაფიკული აღნიშვნა, ხოლო ხმაურისთვის – ხმის სიხშირის განმსაზღვრელი ნიშანი. მოსმენის დროს ხმების რიგითი ნომერი დააკავშირეთ ამ სიმბოლოებთან.



7. საიდან ისმის ხმა?

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ცხოვრობს. ისინი ჩვენი მეგობრები, მეზობლები და ნათესავები არიან. ამდენად, მრავალფეროვანია ჩვენ ირგვლივ არსებული გარემო, კულტურა, შენობა-ნაგებობები. მაგალითად, ჩვენი მუსლიმი მეგობრების სალოცავია მეჩეთი, ხოლო ებრაელთა სალოცავი სინაგოგაა. მორწმუნე მართლმადიდებლები კვირაობით ტაძარში მიდიან. მოქალაქეების ნაწილს კი თავისუფალი დროის გატარება პარკებსა და სკვერებში, ან ქალაგარეთ ურჩევნიათ.

მოდი, ერთად დავაკვირდეთ სურათებს და ვიმსჯელოთ, როგორი გარემოა აღწერილი მათზე, მშვიდი თუ ხმაურიანი?

- რა ხმები შეიძლება ისმოდეს?
- აქ ადამიანები ისვენებენ, სეირნობენ თუ საქმიანად მიიჩქარიან?
- მოვუსმინოთ ჩანაწერებს და განვსაზღვროთ: თითოეული ფრაგმენტი ნახატის რომელ დეტალს უკავშირდება?



მანქანის საყვირისა და ქუჩის ხმები



შადრევნის ხმა



ხმა მეჩეთის მინარეთიდან



ჩიტების გალობა



ეკლესიის ზარის ხმა

ბგერის მასხასიათებლები	მანქანის საყვირისა და ქუჩის ხმები	შადრევნის ხმა	ხმა მეჩეთის მინარეთიდან	ჩიტების გალობა	ეკლესიის ზარის ხმა
ტემბრი	- დახშული - მჟღერი	- მკვეთრი - რბილი	- მოგუდული - მჟღერი	- უხეში - რბილი	- წკრილა - ხავერდოვანი

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ხმა ისმის გრძლად?
- რომელი ხმა ჟღერდა მაღალ რეგისტრში?



ახლა კი, მოასმენინეთ ფრაგმენტი ო. რესპიკის „რომის ფიჭვებიდან“ და ჰკითხეთ, როგორ იცვლება ფრაგმენტში ჟღერადობის სიძლიერე: ჩუმიდან ხმამაღლისკენ თუ პირიქით. როგორ იცვლება ფრაგმენტში ბგერების სიმაღლე: ბოხი-დაბალი ბგერებიდან, წვრილი-მაღალი ბგერებისკენ თუ პირიქით. როგორია ფრაგმენტის ტემბრი: კაშკაშა ბრჭყვიალა თუ ყრუ, მოგუდული. შემდეგ სთხოვეთ იპოვონ მეორე სურათში დეტალი, რომელსაც ეს ფრაგმენტი შეიძლება დაუკავშირონ.

აქტივობა 2

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

მოუსმინეთ უკრაინული წარმოშობის ამერიკელი კომპოზიტორის, ნიკოლაი კაპუსტინის ნაწარმოებს „საკონცერტო ეტიუდი“ და იმსჯელეთ:

- ხმაურიან ქუჩას მოგაგონებთ თუ მშვიდ გარემოს?

წაიკითხეთ წინადადებები. შემოხაზეთ ის, რომელიც მუსიკის შესაბამისია.

- ბავშვები პარკში ისვენებენ.
- ყველა სადღაც მიიჩქარის.
- მზიანი დილაა, წყაროსთან ჩიტები ჟღურტულებენ.
- მანქანები დგანან, მძღოლები შუქნიშანს აკვირდებიან, მწვანე შუქის ანთებას ელოდებიან.
- ქვეითები გადადიან ზებრაზე.

შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს:

- ამ ნაწარმოების მოსმენისას როგორი ტემპი და როგორი რეგისტრი იქცევს ყურადღებას?
- რომელი საკრავით არის შესრულებული?




8. ისპაჰანსა და ჰენაში

რეზიკა: აღმოაჩინე სხვადასხვა ქალაქის ხმა

აქტივობა 1

დააკვირდით სურათს და შეასრულეთ რიტმული სავარჯიშო.



აქტივობა 2

დროა ჩვენი წიგნის გმირების ამბები გავიხსენოთ და მათთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში ვიმოგზაუროთ.

შემოდგომით ანამ, ნანიკომ და თომამ ბევრი ადგილი მოინახულეს. ირანში, ქალაქ ისპაჰანში იმ მეჩეთის ახლოს ცხოვრობდნენ (მეჩეთი მუსლიმთა სალოცავია), რომლის სამლოცველო კოშკიდან – მინარეთიდან დღეში ხუთჯერ ისმოდა მლოცველთა სალოცავად მოწოდების ხმა.

სამ დღეში ავსტრიაში გაფრინდნენ, რათა ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შტრაუსისა და სხვა კომპოზიტორების სახელებთან დაკავშირებული ქალაქი ვენა ენახათ.

ვენაში წმინდა სტეფანეს ტაძართან მეეტლეები იდგნენ და ღია ეტლში შებმული ცხენებით ხალხს ქალაქში გასეირნებას სთავაზობდნენ. ბავშვები ხალხისით ჩახტნენ ეტლში და მოიარეს ქალაქი. ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტზე შტრაუსის ვალსები მოისმინეს. შემდეგ ისევ ეკლესიასთან დაბრუნდნენ. იქიდან მუსიკის ხმა მოისმოდა.

პატარებმა სთხოვეს ბებიას, რომელიც მთელი მოგზაურობის განმავლობაში მათთან ერთად იყო, შევიდეთ და მოვუსმინოთ, ვინ მღერისო. ბებია დათანხმდა და ბავშვებს შეახსენა:

– გახსოვთ, მუსიკის მასწავლებლის თხოვნით, ავსტრიელი კომპოზიტორის, იოზეფ ჰაიდნის სიმფონია „საათი“ რომ მოვისმინეთ? ჰაიდნი სწორედ ამ ტაძრის გუნდში გალობდა. ჰაიდნი და მოცარტი წერდნენ ნაწარმოებებს, რომლებიც წირვის დროს სრულდებოდა, – ბებიამ საუბარი დაასრულა და ყველანი ერთად შევიდნენ ტაძარში.

მღეროდა გუნდი, უკრავდა ორკესტრი. ისმოდა მოცარტის მუსიკა. ნანიკომ ბებიას გადაუჩურჩულა:

– ბებო, ახლაც წირვაა?

ბებოამ ანიშნა, მუსიკოსები დაკვრას რომ დაასრულებენ, მერე გიპასუხებო. ცოტა ხანში მუსიკა შეწყდა და ტაშის ხმაც გაისმა... ბებოა ნანიკოს მიუბრუნდა:

– არა, ეს არ იყო წირვა, ჩვენ კონცერტს ვუსმენდით. ევროპის ტაძრებში ხშირად იმართება კონცერტები, სრულდება მოცარტის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის მუსიკა.



ი. ჰაიდნი ვ. ა. მოცარტი ლ. ვ. ბეთჰოვენი

სალამოს მოგზაურებმა ვენის ქუჩებში იხეციალეს, სადაც იოჰან შტრაუსის ვალსები ისმოდა.

აქტივობა 3

ძვირფასო კოლეგებო, შეწყვიტეთ თხრობა და მიმართეთ მოსწავლეებს ასე:

დააკვირდით ფოტოებს, მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს და ამოიცანით:

- რომელ ჩანაწერში რომელი ქალაქის ხმაა ასახული?
- რომელ ჩანაწერს რომელ ფოტოსთან დააკავშირებთ?

ჩვენი გმირების მოგზაურობა რომ გაიხსენოთ, ადვილად დაადგენთ, რომელ აუდიოჩანაწერში ისმის ხმები ისპაჰანის ლურჯი მეჩეთიდან და რომელში – ხმები ვენის ქუჩებიდან.



მოსამენინეთ კომპოზიცია „ანა, თომა და ნანიკო მოგზაურობენ“

(კომპოზიციაში ჟღერს შემდეგი ხმა/ბგერები და მუსიკალური ფრაგმენტები: ხმა მინარეთიდან, ცხენების ფლოქვების ხმა, ქუჩის ხმაური, შადრევნის ხმა, ფრაგმენტი ი. შტრაუსის ვალსიდან, ფრაგმენტი ვ. ა. მოცარტის მოკლე მესიდან) და მიმართეთ:

მოუსმინეთ ჩანაწერს, გაშიფრეთ და დაადგინეთ:

- სად არიან და რას საქმიანობენ თომა, ნანიკო, ანა და ბებია?



კომპოზიცია „ანა, თომა და ნანიკო მოგზაურობენ“

დააკვირდით წმინდა სტეფანეს ტაძარს. მოუსმინეთ იოზეფ ჰაიდნის სიმფონიას „საათი“ და იპოვეთ ნაგებობაზე დეტალი, რომელიც შინაარსობრივად შეიძლება დაუკავშიროთ მოსმენილ ფრაგმენტს.



9. ლაიფციგში


რუბრიკა: აღმოაჩინე სხვადასხვა ქალაქის ხმა

აქტივობა 1

განაგრძეთ ამბის თხრობა:

სამოგზაუროდ წასული ნანიკო, ანა, თომა და ბებია გერმანიის ქალაქ ლაიფციგს ესტუმრნენ.

აქ წმინდა თომას ეკლესიაც მოინახულეს. თომა გაოცებული შეჰყურებდა ტაძარს, რომელიც მისი სახელობის იყო. ტაძრიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ბებიამ უთხრა ბავშვებს, ტაძარში ჩემი საყვარელი კომპოზიტორის, იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებები სრულდება და დავესწროთო. თომას ძალიან უნდოდა ტაძრის დათვალიერება, ნანიკო და ანაც არ იყვნენ წინააღმდეგი და ყველანი ბახის საორგანო მუსიკის კონცერტზე აღმოჩნდნენ.



წმ. თომას ტაძარი ი. ს. ბახი

ბავშვების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახეს, რომ მუსიკოსი მარტო ხელებით კი არ უკრავდა, არამედ ფეხებსაც იყენებდა ხოლმე.

ნანიკოს კარგად ახსოვდა, რომ კონცერტის დროს ლაპარაკი და ჩურჩული არ შეიძლება, მაგრამ დაბალ ხმაზე მაინც ჰკითხა ბებიას:

– რას ჩასჩერებია ეს კაცი დაკვრის დროს, რა ფურცლებია?

– ეს ნოტებია, სპეციალური ნიშნებით ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი, რომლითაც მუსიკოსები არკვევენ, რა დაწერა კომპოზიტორმა.

ძვირფასო კოლეგებო, შეწყვიტეთ თხრობა და უჩვენეთ ბავშვებს ვიდეოფრაგმენტი. მიუთითეთ ნოტებსა და ნაწარმოების შესრულების დროს ხელებისა და ფეხების ჩართულობაზე. შეახსენეთ, რომ ეს ორგანია, საკრავებს შორის ყველაზე დიდი. მასზე შესაძლებელია როგორც დაბალი და საშუალო, ისე მაღალი რეგისტრის ბგერების გამოცემა.

მას შემდეგ, რაც მოისმენენ ვიდეოფრაგმენტს, ჰკითხეთ:

- როგორ შენობას შეიძლება შევადაროთ ასეთი მუსიკა, ძველებურს თუ თანამედროვეს?
- დიდს, მდიდრულს, ჩუქურთმებიანს თუ სოფლის პატარა ქოხს?



აქტივობა 2

საინტერესო მოგზაურობაც დასრულდა.

ანა თავის სამშობლოში დარჩა. ნანიკო და თომა კი ბებიასთან ერთად საქართველოში ჩამოფრინდნენ. ბავშვებს აეროპორტში დედ-მამა ელოდა. იქ ბევრი სივრცეა: ჩამომსვლელების დასახვედრი დარბაზი, მაღაზიები, კაფეები და სხვ. მოუსმინეთ ჩანაწერს და დაადგინეთ:

- სად, რომელ სივრცეში უცდიან მშობლები ნანიკოს, თომასა და ბებიას?



კომპოზიციაში „კაფე“ ხმა/ბგერებთან ერთად გამოყენებულია ფრაგმენტი ნ. კაპუსტინის საფორტეპიანო ვარიაციებიდან.

- რის მიხედვით დაადგინეთ სწორი პასუხი?
- ხმა/ბგერებმა მიგანიშნათ გარემოს შესახებ? ჩამოთვალეთ რა ხმა/ბგერები გესმოდათ?
- ხმა/ბგერებთან ერთად მუსიკალური ფრაგმენტიც ჟღერდა?
- როგორ დაახასიათებთ ამ ფრაგმენტს: განგაწყოთ დასვენებისთვის, თუ განგაწყოთ ენერგიული ქმედებისთვის?

კომპოზიციაში „კაფე“ ხმა/ბგერებთან ერთად გამოყენებულია ფრაგმენტი ნ. კაპუსტინის საფორტეპიანო ვარიაციებიდან.

10. მწერების კონცერტი


აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ სიმბოლური ნიშნებით გამოხატულ მუსიკალურ ნაწარმოებს!

- რა განწყობა შეგიქმნათ მოსმენილმა ფრაგმენტმა?
- სად წარმოიდგინეთ თავი, ქალაქში თუ სოფელში?
- რა ხმას დაუკავშირებდით მელოდიის დასაწყისს, ჩიტების საამურ გალობას თუ მანქანების გაბმულ სიგნალს?

მოცემული ნიმუში ჩახატეთ რვეულში. შეეცადეთ გაჰყვით მელოდიის მოძრაობას.



აქტივობა 2

სოფელში უამრავი მწერია: ბუზი, ფუტკარი, ბზიკი, კალია, ჭრიჭინა, ნემსიყლაპია, ციციანთელა, ჭიამაია, პეპელა... მწერების უმრავლესობა ღამით ჭრიჭინებს, ზუზუნებს, ბზუის. ზოგი დღისითაც არ ჩერდება.

ზოგიერთ მუსიკალურ ნაწარმოებში კომპოზიტორები ჰბადებენ მწერების ხმას. სიმღერებში ხმაბაძვითი სიტყვებით ამოვიცნობთ ამა თუ იმ მწერს.

მოუსმინეთ ორ ჩანაწერს, გაარკვიეთ, რა ხმები და ხმაბაძვითი სიტყვები გესმით? შემოხაზეთ შესაბამისი სურათი.



გაიხსენეთ და დაიმახსოვრეთ! **იმიტაცია** მიბაძვას ნიშნავს.




ნ. რიმსკი-კორსაკოვი

ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტი ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „ზღაპარი მეფე სალთანზე“. რა ხმა-ბაძვითი ინტონაცია ისმის? რას ბაძავს მუსიკა? როგორია ფრაგმენტის ტემპი: სწრაფი თუ ნელი? როგორია მელოდიის ხასიათი: დაძაბული თუ მშვიდი? რა შეიძლება ერქვას ამ ფრაგმენტს: „კელას გაფრენა“ თუ „ოქროს ციყვი“.

11. მომღერალი საათი

აქტივობა 1

მიუთითეთ ბავშვებს რვეულში გამოსახულ რიტმულ სავარჯიშოზე, უჩვენეთ რამდენჯერმე და სთხოვეთ გაიმეორონ.



მუსიკაში ბგერებს თავიანთ ჟღერადობის დრო აქვთ, რასაც მუსიკოსებმა გრძლიობა დავარქვით.

დააკვირდით მაგალითს, სადაც სხვადასხვა გრძლიობებია მოცემული, გაუფერადებელი გრძლიობები უფრო ხანგრძლივად ჟღერს, ვიდრე გაუფერადებული. „ქუდიანი“ და „კუდიანი“ გრძლიობები მოკლეა.

- თქვენი აზრით, რომელია აქედან „კუდიანი“ და რომელი „ქუდიანი“?

აქტივობა 2

ყველა დიდი ქალაქის ცენტრში საათი ჩამოჰკრავს ზარს და მღერის.

ორი საათი შესრულდა და საათმაც ლამაზი სიმღერა გააბა... რა არის საათი? საათი არის მოწყობილობა, რომელიც დროს ზომავს. საათი მოჩანს ღირსშესანიშნავი შენობების, ბანკების, სახლების თავზე. იგი მოსახლეობას სიმღერის მელოდით აცნობებს დროს. ყველა ქალაქს სხვადასხვა მელოდია აქვს შერჩეული. წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა იმ ქალაქში, სადაც ყველა საათი ერთდროულად გაჩერდებოდა... ქალაქში მხოლოდ მანქანების ხმაურიღა დარჩებოდა. დილის ქალაქს აღარ გააღვიძებდა მელოდიური მუსიკა...



სთხოვეთ ბავშვებს, ჩანანერის მოსმენის შემდეგ დააკვირდნენ სურათებს და უპასუხონ კითხვებს:

- საიდან ისმის საათების ხმა: პარკიდან, მაღაზიიდან, ოთახიდან თუ მაღალი შენობიდან?

- როგორი ხმა აქვს მალვიძარას: ძლიერი-ხმამაღალი, სუსტი-ჩუმი, მკვეთრი, რბილი, მაღალი თუ დაბალი, გრძელი თუ მოკლე?
- როგორი ხმა აქვს მაჯის საათს: დახშული-მოგუდული თუ წკრიალა-მჟღერი, ხმამაღალი თუ ჩუმი, მაღალი თუ დაბალი, გრძელი თუ მოკლე?
- როგორი რიტმი აქვს მაჯის საათს და როგორი მალვიძარას: თანაბარი თუ ათანაბრო?
- რატომ მღერის საათი?
- მოისმინეთ კომპოზიტორ იოზეფ ჰაიდნის საორკესტრო ნაწარმოები „საათი“ და უბასუხეთ კითხვებს:
- ნაწარმოების რომელ ნაწილში ჟღერს საათის მუსიკა?
- როგორ ტემპში ჟღერს საათის მუსიკა?
- როგორი რიტმია აქვს ამ მუსიკას: თანაბარი თუა რათანაბარი?
- რატომ უწოდა კომპოზიტორმა ამ ნაწარმოებს „საათი“?
- რამ მიიქცია თქვენი ყურადღება, ბგერებს შორის დიდმა მანძილმა თუ ოსტინატომ? თქვენი აზრით რის ხმას ბაძავს რიტმული ოსტინატო: საათის წიკნიკს თუ დროის დინებას?



ი. ჰაიდნი. სიმფონია 101 „საათი“

აქტივობა 3

მოისმინეთ ლეროი ანდერსონის „სინკოპირებული საათი“ და შეასრულეთ რიტმული აქტივობა.

- თქვენი აზრით, რას მოგაგონებთ ოსტინატო, რომელიც ჟღერს ამ ფრაგმენტში, საათის წიკნიკისა თუ დროის დინებას?
- როგორ ფიქრობთ, ეს კომპოზიცია ქალაქის დიდ საათს მოგაგონებთ თუ ოთახის პატარა მალვიძარას? იქნებ მაჯის საათს?
- „როგორი დროის“ შესახებ მოგვითხრობს ეს საათი, უდარდელი, ლალი პერიოდისა თუ ავბედითი, სირთულეებით სავსე ცხოვრების მონაკვეთზე?



აქტივობა 1

მიუთითეთ ბავშვებს ელენე ახვლედიანის პორტრეტზე და აუხსენით, რომ იგი გამოჩენილი ქართველი მხატვარია.

შემდეგ მიმართეთ:

ჩვენი მეგობრების, თომასა და ნანიკოს კლასის დამრიგებელმა ბავშვების თხოვნით ძველი თბილისის მოსანახულებლად ექსკურსია დაგეგმა. თომამ და ნანიკომ სთხოვეს, თუ შეიძლება ჩვენს მეგობარ ანასაც წამოვიყვანთო, რაზეც მასწავლებელი სიამოვნებით დაეთანხმა.

- მოუსმინეთ ჩანანერს და გაშიფრეთ, რა ადგილები მოინახულებს?



აქტივობა 2

მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს. აღწერეთ სურათი და გამოთქვით მოსაზრება ამ ორი ფრაგმენტიდან განწყობის მიხედვით, რომელი შეესაბამება ნახატს.



რ. ლალიძე. სიმფონიური სურათი „საჭიდაო“




მუსიკა ფილმიდან „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“,
კომპოზიტორი გ. ყანჩელი.



ე. ახვლედიანი. „ძველი თბილისი“

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს განუმარტოს:

მოსმენილი ორი ფრაგმენტიდან პირველი ეკუთვნის რევაზ ლალიძეს, ხოლო მეორე გია ყანჩელს.



გია ყანჩელმა შექმნა მუსიკა სპექტაკლებისა და ფილმებისათვის, ასევე დიდი ფორმის ნაწარმოებები: ოპერა „და არს მუსიკა“, მუსიკა ალტისა და ორკესტრისთვის „სტიქსი“. გია ყანჩელის მუსიკა სრულდება მთელ მსოფლიოში და ის ყოველთვის მსმენელთა დიდ ოვაციებს იმსახურებს.

აქტივობა 3

1. დააკვირდით და აღწერეთ ელენე ახვლედიანის ნახატი.

- როგორი ხმა შეიძლება ჰქონდეს ქუჩას: მხიარულ-ლალ, ხმაურიანი თუ წყნარი?

2. მოუსმინეთ ფრაგმენტებს ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან: უვერტიურა „დაისიდან“, ცეკვა ქართული „აბესალომ და ეთერიდან“ და იმსჯელეთ, ხასიათით რომელი ფრაგმენტი შეიძლება მივუსადაგოთ მოცემულ ნახატს?



ე. ახვლედიანი. „ზამთარი“



რუბრიკა: აღმოაჩინეთ საკრავები

აქტივობა 1

სთხოვეთ ბავშვებს აღწერონ სურათები. ჰკითხეთ, ძველი დროა თუ ახალი?

- ქალაქი თუ სოფელი?
- ხომ არ გეცნობათ რომელიმე ადგილი?



ე. ახვლედიანი. „მეტეხი“

მიმართეთ ბავშვებს:

რამდენიმე ასეული წლის წინ თბილისში მგოსნები¹ და აშულები² ქმნიდნენ ლამაზ ლექსებსა და სიმღერებს და აღმოსავლურ ჰანგებზე მღეროდნენ.

იმ დროს ქალაქში უამრავი სხვადასხვა ეროვნების (სპარსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, გერმანელი, ფრანგი) ხალხი ცხოვრობდა. ისმოდა ზურნა-დუდუკის ხმა.

მოუსმინეთ ზურნასა და დუდუკს.

- როგორი ტემბრი აქვს ამ საკრავებს, მჟღერი თუ დახშული? ხავერდოვანი თუ მჭახე? რბილი, თბილი თუ უხეში მყვირალა?



ზურნა



დუდუკი

¹ მგოსანი – პოეტი, მომღერალი, რომელიც თვითონვე უკრავს საკრავებზე.

² აშული – სახალხო მომღერალი, მოშიარე – ლექსების მთქმელი.

აქტივობა 2

დააკვირდით სურათებს. მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს და იმსჯელეთ:

- რომელი ფრაგმენტი მოგაგონებთ დიდ, გაშლილ სივრცეს სოფლად და შეგიძლიათ ის დააკავშიროთ „იმერეთის პეიზაჟთან“?
- რომელი ფრაგმენტი შეიძლება დააკავშიროთ ჰანგებთან, რომლებიც ძველ თბილისში უღერდა და ასევე „ჭიდაობასთან“?



ვ. ხოჯაბეგოვი. „ჭიდაობა“



ე. ახვლედიანი.
„იმერეთის პეიზაჟი“

აქტივობა 3

დააკვირდით ვახტანგ გაბუნias ნახატს „სიმებიანი კვარტეტი“. სწორედ სიმებიანი კვარტეტი ასრულებს სულხან ცინცაძის „საჭიდაოს“ – ნაწარმოებს, რომელიც ცოტა ხნის წინ მოისმინეთ.

სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაშია: ორი ვიოლინო, ერთი ჩელო და ერთი ალტი.

ამ შემთხვევაში ჩელო იმიტირებს დუდუკის ხმას.



ვ. გაბუნია. „სიმებიანი კვარტეტი“

ახლა კი მოუსმინეთ ძველი თბილისის მუსიკოსებს, რომლებიც ზურნაზე, დუდუკსა და დოლზე უკრავენ.

- როგორ ფიქრობთ, რა ადგილია აღწერილი ამ ფრაგმენტში, ეტლებით სავსე ქუჩა თუ მშვიდი ადგილი წყაროსთან, სადაც ჩიტები გალობენ?



დააკვირდით ფოტოს. ეს არღანია.

ძველად თბილისში მეარღნეები უკრავდნენ ლამაზ მელოდებს. მოუსმინეთ არღნის ხმას და იმსჯელეთ:

- როგორი ტემბრი აქვს?
- როგორ რეგისტრში ჟღერს?

აქტივობა 4

აღწერეთ ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატები და გამოთქვით მოსაზრება, რომელ ნახატზეა გამოსახული მოქმედება ქალაქში და რომელში – სოფლად?

- თქვენი აზრით, როგორი „ჟღერადობა“ აქვს თითოეულ ნახატს?

მოუსმინეთ ჩანაწერებს და მოცემულ ნახატებთან დააკავშირეთ.



კახური „მრავალჟამიერი“ და არღნის ხმები



კახური „ოროველა“

ახლა კი მოუსმინეთ კახურ „ოროველას“, დაფიქრდით მუსიკის მახასიათებლებზე და მოცემული სიტყვებიდან შესაბამისი შემოხაზეთ.

ტემპი: ნელი / სწრაფი / საშუალო

მელოდია: მღერადი / არამღერადი

რიტმი: მდორე / ცოცხალი


ძვირფასო კოლეგებო! ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ბავშვებისთვის, თუ ექსკურსიას მოაწყობთ. დაათვალიერებთ ძველი თბილისის ქუჩებს; ენვევით ელენე ახვლედიანის, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმებს; მოინახულებთ საკრავების მუზეუმს, ასევე ხელოვნების მუზეუმს.

16-17. საშობაო სამზადისი

რუბრიკა: აღმოაჩინე საახალწლო სიმღერები

აქტივობა 1

შეასრულეთ რიტმული სავარჯიშო.



აქტივობა 2

მალე დადგება შობის დღესასწაული მხიარულებით, საშობაო სიმღერებით, უამრავი საჩუქრით...

შობას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ, საერთო კი ის აქვს, რომ ხშირად მღერიან, სუფევს საღმრესაწაულო განწყობა. საქართველოში მრავალნაირი „ალილო“ ისმის: მეგრული, კახური, ქალაქური.



თომა, ანა და ნანიკო შობა-ახალი წლის შესახვედრად ისევ ერთად შეიყარნენ. მათი მშობლები მუსიკოსები არიან და ხშირად უწევთ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა. ამჯერადაც ბევრი კონცერტი ჰქონდათ დაგეგმილი. ბავშვებიც თან წაიყვანეს და გასტროლებზე გაემგზავრნენ. ჯერ საფრანგეთში ჩავიდნენ. სადაც საშობაოდ ყველაფერი კაშკაშებდა და ბრჭყვიალებდა. ბავშვებმა პარიზის ერთ-ერთ კუთხეში ტრადიციული საშობაო ჰიმნი „მეფეთა მარში“ მოისმინეს. ხალხს „მოგვები“ და „მწყემსები“ მოუძლოდნენ. შემდეგ ეკლესიასთან გაჩერდნენ, საიდანაც ორგანის ხმა მოისმოდა და შობის ვარსკვლავიც აანთეს. საფრანგეთის შემდეგ ინგლისში გაემგზავრნენ. ბავშვები სკოლის გაკვეთილებს ონლაინ ესწრებოდნენ და ყველა დავალებას ზედმიწევნით, კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. თავისუფალ დროს კი ჰაერზე ატარებდნენ. ასე აღმოჩნდნენ ლონდონის საშობაო ბაზრობაზეც, სადაც ტრადიციული ინგლისური სიმღერა „ბედნიერ შობას გისურვებთ“ უღერდა. ბოლოს ანას ბებიასთან ავსტრიაში გაფრინდნენ.

ნაძვის ხეც მორთეს და საღამოს ბუხართან მოკალათებულებმა ერთად ავსტრიული საშობაო სიმღერა „მშვიდი წყნარი ღამე“ იმღერეს.

ბავშვებს ძალიან ეჩქარებოდათ საქართველოში დაბრუნება. წინასაახალწლოდ უკვე სამშობლოში იყვნენ. შეიძინეს ნაძვის ხე და სათამაშოები. ეხმარებოდნენ უფროსებს საახალწლო სამზადისში. მერე სოფელში ჩავიდნენ და ალილოშიც მიიღეს მონაწილეობა. ბოლოს შეშის ღუმელთან ერთად მოილხინეს.



ქ. თოდაძე. „ზამთარი“

აქტივობა 2

მოუსმინეთ კომპოზიციებს და მონათხრობის მიხედვით ჩამოთვლილი წინადადებებიდან შესაბამისი შეურჩიეთ.

შეავსეთ ცხრილი და გრაფაში წინადადების გასწვრივ შესაბამისი კომპოზიციის ნომერი ჩანერეთ ისე, როგორც ეს პირველ გრაფაშია მოცემული.

პარიზის ქუჩებში საშობაო ჰიმნი „მეფეთა მარში“ ჟღერდა.	1
ბავშვებმა ვენაში ბუხართან ავსტრიული სიმღერა „მშვიდი, წყნარი ღამე“ იმღერეს.	3
ლონდონში საშობაო ბაზრობაზე ტრადიციული ინგლისური სიმღერა „ბედნიერ შობას გისურვებთ“ ისმოდა.	2
ბავშვები სოფელშიც ჩავიდნენ და ალილოში მიიღეს მონაწილეობა.	4
ბოლოს შეშის ღუმელთან მოილხინეს.	5



უპასუხეთ კითხვებს და დაასაბუთეთ თქვენი პასუხები:

- ჩანაწერში მხოლოდ მუსიკალური ფრაგმენტები ისმის თუ ხმის ეფექტებიც გასდევს? შეგიძლიათ დაასახელოთ ეს ხმები?
- რომელი ფრაგმენტის ჟღერადობაა უფრო მეტად წკრიალა, კაშკაშა ტემბრის?
- რომელი ფრაგმენტის ჟღერადობაა თბილი, სასიამოვნო ტემბრის?
- რომელი ფრაგმენტის რიტმია მარშისებური?
- რომელ ფრაგმენტში იქცევა ყურადღებას დაბალი რეგისტრის ბგერები?
- რომელი ფრაგმენტი მოგეჩვენათ ყველაზე მეტად ჯადოსნური, იდუმალი ჟღერადობისა?

აქტივობა 3

როგორც უკვე გითხარით, თომა, ნანიკო და ანა შობის დღესასწაულს ერთად შეხვდნენ.

- მოუსმინეთ ჩანაწერს და დაადგინეთ, სად არიან და რას საქმიანობენ ბავშვები?

მოუსმინეთ ჩანაწერებს, სადაც წარმოდგენილია მუსიკალური ფრაგმენტები და სხვადასხვა ხმა.

გ. ყანჩელი. მუსიკა ფილმისთვის „არაჩვეულებრივი გამოფენა“

ს. რაიხი. „ელექტრონული კონტრაპუნქტი“

დ. შოსტაკოვიჩი „ვალსი ხუმრობა“

ბავშვების დიალოგი

იმსჯელეთ, რომელი ჩანაწერი შეიძლება დაუკავშიროთ ქვემოთ მოყვანილ წინადადებებს. დააწყვილეთ წინადადების ნომრები და ანბანური აღნიშვნა.

1. ბავშვები სათამაშოების საყიდლად მიდიან.
2. ისინი სათამაშოებს შეარჩევენ.
3. თომამ, ანამ და ნანიკომ ბროლის სათამაშოები და ფერადი ბურთები შეარჩიეს.
4. მეგობრებმა სწორად დააჯამეს სათამაშოების საფასური. სალაროსთან მივიდნენ და თანხა გადაიხადეს.



შეავსეთ ცხრილი:

წინადადების ნომერი	ფრაგმენტის ანბანური აღნიშვნა
1	ა
4	დ
2	ბ
3	გ

18-19. ლაპლანდია

აქტივობა 1


მიმართეთ ბავშვებს:

ძვირფასო ბავშვებო! ბევრ ქვეყანაში თოვლის ბაბუას სანტა-კლაუსი დაარქვეს და მისი სამშობლო ჯადოსნურ ლაპლანდიაშია. ლაპლანდია კი შორეულ ფინეთშია.

ფინეთში უამრავი ტყე და ტბაა. ამ მხარეში თუ მოხვდებით, ზღაპრულ სანახაობას ცხადში იხილავთ. ერთ-ერთი „ჩრდილოეთის ციალია“.

აქ შეაჩერეთ თხრობა და უჩვენეთ ვიდეო.

სთხოვეთ უყურონ ვიდეოს ან დაკვირდნენ სურათს, სურვილისამებრ აარჩიონ ფერები და გააფერადონ ჩრდილოეთის ციალი.



შემდეგ განაგრძეთ თხრობა:

იან სიბელიუსი გამოჩენილი ფინელი კომპოზიტორია.

ცნობილია, რომ ფინელი მოსწავლეები გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით. ისინი ბევრ წიგნს კითხულობენ.

აქტივობა 2


მიმართეთ მოსწავლეებს:

ნაიკითხეთ წინადადებები და მოცემულ ფოტოებთან დააკავშირეთ.

წინადადების ნომერი შესაბამის ფოტოსთან გამოყოფილ უჯრაში ჩაწერეთ.

1. ფინეთის დაბურულ ულრან ტყეებში, დილით ჩამოწოლილ ნისლს მზე ფანტავს ხოლმე;
2. ფინეთში ყველაზე ჯადოსნური, ციმციმა, ფერადოვანი და გასხივოსნებული ჩრდილოეთის ციალის ნახვა შესაძლებელი;
3. ტყეებში და ტბებზე მობინადრე ცხოველები, სხვადასხვა საშიშროების დროს, გადარჩენისთვის იბრძვიან;
4. საზეიმო განწყობით შეხარის გედი ზამთრის დილას;
5. ზაფხულში, როდესაც დილაობით მზის სხივები ფანტავს ნისლს, ყურებდაცქვეტილი ლოსები აკვირდებიან გარემოს, ისევ იწყება თავგადასავლებით სავსე დღე;
6. გამარჯვებული არწივი, როგორც ცის მეფე, დაჰყურებს ულამაზეს თვალუნვდენელ ტყეებსა და ტბებს.






მას შემდეგ, რაც ბავშვები ფოტოებს დანომრავენ, მოისმინეთ მათი ვერსიები. სთხოვეთ იმსჯელონ და დაასაბუთონ თავიანთი გადწყვეტილება.

- სად ხდება მოქმედება, ტყეში, სოფელსა თუ ქალაქში? დღისით თუ ღამით?
- რომელ ფოტოზეა ასახული იდუმალებით მოცული, თვალუწვდენელი დიადი სივრცე?
- რომელ ფოტოზეა ნაჩვენები დაძაბულობა?
- რომელ ფოტოზეა ასახული მკვირცხლი, ყურებდაცქვეტილი მოძრავი ცხოველი?
- რომელი ფოტო გადმოსცემს ლაღ, სიხარულით სავსე განწყობას?
- რომელ ფოტოზე დაჰყურებს გარემოს ფრთაგამოშლილი ფრინველი?

აქტივობა 3

განმეორებით დააკვირდით ფოტოებს. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს (ი. სიბელიუსის სიმფონიური პოემიდან „ფინეთი“ და კ. სენ-სანსის ცხოველების კარნავალიდან „თევზები“).

განწყობის მიხედვით ერთმანეთთან დააკავშირეთ ფოტოს ნომერი ფრაგმენტის ანბანურ აღნიშვნასთან. დაწყვილეთ და შეაყვანეთ.



ა



ბ



გ



დ



ე



ვ

ფოტო	ანბანური აღნიშვნა/ასო
1. ნისლი ულრან ტყეში	ა
2. ციალი	ჰ
3. ცის მეფე	ბ
4. ბრძოლა გადარჩენისთვის	გ
5. ფრთაგაშლილი გედი	დ
6. მდელოზე სეირნობა	ე

მას შემდეგ, რაც ბავშვების ნამუშევარს ნახავთ, სთხოვეთ დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება, დაუსვით კითხვები, რათა უკეთ გაიაზრონ და აღიქვან მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების შინაარსი.

- რომელ ფოტოსთან დააკავშირეთ ფრაგმენტი, რომელიც გამოიჩინოდა მუქი, მძიმე ტემბრით, დაბალი რეგისტრით?
- რომელ ფოტოსთან დააკავშირეთ ფრაგმენტი, რომელიც გამოიჩინოდა მოძრავი, ცოცხალი ტემპითა და მხიარული, სადღესასწაულო განწყობით?
- რომელ ფოტოს შეუსაბამეთ ფრაგმენტი, რომელიც იწყებოდა მშვიდად, მაღალ რეგისტრში, ჟღერადობა გამოიჩინოდა გამჭვირვალე ტემბრით?
- დაასახელეთ ის ფოტო, რომელსაც გამჭვირვალე ტემბრის, მაგრამ ოდნავ მოძრავი ფრაგმენტი მიუსადაგეთ?
- რომელ ფოტოს მიუსადაგეთ ფრაგმენტი, რომელიც გამოიჩინოდა ჩასაბერი საკრავების მოკლე გრძლიობის ბგერებით, გაბმული, დაბურული ბანით, ტეხილი რიტმით, უეცარი ფორტეს ამოფრქვევით?
- რომელ ფოტოსთან დააკავშირეთ ფრაგმენტი, სადაც გრძელი გრძლიობის ბგერებს მთელი ორკესტრი, ფორტე ჟღერადობით, საზეიმო, ამაღლებული განწყობით ასრულებს?
- რომელ ფოტოსთან დააკავშირეთ ყველაზე იდუმალი, ჯადოსნური ჟღერადობის ფრაგმენტი?

აქტივობა 4

ყველა მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ეს მუსიკალური კომპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილებია, რომელთა გარეშეც ძნელი იქნება მისი შინაარსის ამოკითხვა. ხშირად ადვილია მუსიკალური ნაწარმოების დასაწყისისა და დასასრულის ამოცნობა. თუ მოისურვებთ და დაფიქრდებით, თქვენც შეძლებთ ამოიცნოთ სამი ძირითადი ნაწილი: დასაწყისი, შუა ფრაგმენტი და დასასრული (ფინალი).

მოცემულ დავალებაში ფრაგმენტების უმეტესობა ეკუთვნის ფინელ კომპოზიტორს იან სიბელიუსს.

ამჯერად განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს ი. სიბელიუსის სიმფონიიდან „ფინეთი“ და ამოიცანით, რომელი შეიძლება იყოს ნაწარმოების დასაწყისი, რომელი შუა ეპიზოდი და რომელი დასასრული (ფინალი).



უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ ცხრილი.

- რა ნიშნით ამოიცანით, რომ ეს ფრაგმენტი ნაწარმოების დასაწყისია. გქონდათ იმის მოლოდინი, რომ გაგრძელდება იქნება?
- ეპიზოდი, რომელიც შუა ფრაგმენტად დაასახელეთ, იყო ყველაზე მეტად შთამბეჭდავი, ემოციური, მოძრავი?
- რამ მიგანიშნათ, რომ ნაწარმოები დასრულდა? ტემპის შენელებამ, დინამიკის მომატებამ, დიდი გრძლიობის ბგერებმა?

20. დათოვლილი ტყე

აქტივობა 1

უქმე დღეები იყო. ნანიკო და თომა მშობლებმა სოფელში წაიყვანეს. ზამთრის ერთ ცივ დილას ორღობეში ნანიკო, თომა და იქაური გოგო-ბიჭები შეკრებილიყვნენ. ისინი ტყეში წასასვლელად და თოვლში საგუნდაოდ ემზადებოდნენ.

დათოვლილ გზას დილიდან დაადგნენ, მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ. თოვლში ერთმანეთის ნაკვალევზე დახტოდნენ.

ბოლოს თოვლით დაბურული ტყეც გამოჩნდა, მწვანე ნაძვები თეთრად მორთულიყვნენ, მათ ტოტებზე კი ციყვები დახტოდნენ. კურდღლები კი თოვლიან ბუჩქებში იმალებოდნენ, ყვავებს სიცვიისგან ხმა ისე წართმეოდათ, რომ ვეღარ ჩხაოდნენ...

ბავშვებმა თამაშით გული რომ იჯერეს, ნაფეხურებით გაკვალულ ტყის ბილიკებს შინისკენ გაუყვნენ.



ს. პროკოფიევი. „კლასიკური სიმფონია“

დააკვირდით და აღწერეთ სურათები:

- რომელი სურათიდან გესმით ყველაზე მხიარული ხმები?
- რომელი სურათი ასახავს ბავშვების ხმამაღალ შეძახილებს?
- შეიძლება რომელიმე სურათზე სევდიანი ხმები ჟღერდეს?

მოუსმინეთ ფრაგმენტს ს. პროკოფიევის კლასიკური სიმფონიიდან და მოცემული სურათებიდან ერთ-ერთს შეუსაბამეთ.

აქტივობა 2

მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები. წარმოიდგინეთ, რომ თქვენც დათოვლილ ტყეში სეირნობთ და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ტემპში ჟღერდა პირველი ფრაგმენტი?
- როგორია პერსონაჟის განწყობა, რომელიც თოვლზე დადის?

მოცემული ორი ფრაგმენტის მოსმენისას რამ მიიქცია თქვენი ყურადღება:

- ბგერის საინტერესო-გამჭვირვალე ტემბრმა, ბგერის დინამიკამ, ნაწარმოების ტემპმა?



კ. დებიუსი. „ნაბიჯები თოვლზე“



კ. დებიუსი. „თოვლი ცეკვავს“

განმეორებით მოასმენინეთ ფრაგმენტები და მიმართეთ:

ძვირფასო ბავშვებო! დააკვირდით, რვეულში გამოწერილია ამ ნაწარმოებების სახელწოდებები.

- რომელი გაჟღერდა პირველად და რომელი მეორედ?

ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი სათაურთან ცარიელ უჯრაში.

„ნაბიჯები თოვლზე“

„თოვლი ცეკვავს“

აქტივობა 3

გაიხსენეთ: ყველა მუსიკალურ კომპოზიციას აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

ეს მუსიკალური კომპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილებია. რომლის გარეშეც ძნელი იქნებოდა მისი შინაარსის ამოკითხვა.

ამჯერად მოუსმინეთ ფრაგმენტებს კ. დებიუსის პიესიდან „თოვლი ცეკვავს“ და დაადგინეთ, რომელია ნაწარმოების დასაწყისი და რომელი შუა ეპიზოდი. დაწერეთ ფრაგმენტის თავზე გამოწერილ უჯრაში შესაბამისი სიტყვა „დასაწყისი“ ან „შუა ეპიზოდი“, რომელსაც ჩათვლით საჭიროდ.



ახლა კი მოუსმინეთ სამივე ფრაგმენტს პ. ჩაიკოვსკის პიესიდან „ნეოპოლიტანური სიმღერა“ და მხოლოდ ამის შემდეგ დაასახელეთ:

რომელია მუსიკალური კომპოზიციის დასაწყისი, შუა ნაწილი და რომელი დასასრული?



ცარიელ ჩარჩოში მოცემული ფრაგმენტების აუღერებული ნუმერაციის მიხედვით ჩაწერეთ შემდეგი სიტყვები: დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული.

- რომელი მახასიათებლით განასხვავებთ დასაწყისი, შუა ეპიზოდი და დასასრული ერთმანეთისგან: მელოდიის ხასიათის, ბგერის სიძლიერის თუ ტემპის ცვლილების მიხედვით? ამჯერად მოუსმინეთ პიესის სრულ ვერსიას და შეამოწმეთ თქვენი თავი.



პ. ჩაიკოვსკი. „საბავშვო ალბომი“, „ნეოპოლიტანური სიმღერა“

21. გასართობი კუთხე/ატრაქციონები

აქტივობა 1

ყველას, დიდსა თუ პატარას იზიდავს დასასვენებელი პარკები. ბავშვებისთვის ხომ ეს საოცნებო ადგილია, სადაც უამრავი თვალისმომჭრელი ატრაქციონია განთავსებული.

ბავშვების ჟრიამულს ატრაქციონების განუწყვეტელი მოძრაობის ხმები ემატება. ისინი მწყობრად მოძრაობენ, რამდენჯერმე დატრიალდებიან და ჩერდებიან, შემდეგ ახალ მგზავრებს აიყვანენ და იმავე მოძრაობით სამუშაოს რიტმულად შეასრულებენ.



დააკვირდით და აღწერეთ სურათები:

- რომელი ატრაქციონი გიზიდავთ?
- ამათგან რომელი მოძრაობს ყველაზე სწრაფად?
- რომელი მოძრაობს მშვიდად?
- რომელი მოძრაობს წრიულად?
- რომელ ატრაქციონზეა შესაძლებელი მუსიკის მოსმენა?



მ. მუსორგსკი. „ქოხი ქათმის ფეხებზე“



პ. ჩაიკოვსკი. ვალსი ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“



ე. ვილა-ლობოსი. „კომპოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“



ფ. პულენკი. ვალსი



ს. პროკოფიევი. საფორტეპიანო პიესა „მოზღვავება“

მოუსმინეთ ხუთ მუსიკალურ ფრაგმენტს და მიუსადაგეთ ოთხ ატრაქციონს, მონიშნეთ ნიშნით „✓“ ატრაქციონის შესაბამისი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი. ერთი ფრაგმენტი ზედმეტია. რომელია ეს ფრაგმენტი?

სავარაუდოდ, ბავშვები ამოიცნობენ, რომ ფრაგმენტი მ. მუსორგსკის ნაწარმოებიდან არ შეესაბამება არცერთ გამოსახულებას.



ახლა კი უპასუხეთ კითხვებს:

- რის მიხედვით ამოიცანით ფრაგმენტი, რომელიც მატარებელს შეესაბამება:

ა) მატარებლის მოძრაობასთან დააკავშირეთ თუ, ბ) მატარებლის გარეგნულ სახესთან დააკავშირეთ?

- როგორ ტემპში ჟღერდა ეს ფრაგმენტი?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მაღალი რეგისტრის ბგერები?
- ჟღერდა თუ არა ფრაგმენტებში თქვენთვის ნაცნობი მუსიკალური ინსტრუმენტების ხმა?
- შეგიძლიათ დაასახელოთ ეს ინსტრუმენტები?
- რომელ ფრაგმენტში ამოიცანით ოსტინატო?

აქტივობა 2

მოიფიქრეთ სიმბოლური ნიშნები და შეუსაბამეთ სურათებს იმ მუსიკალური ფრაგმენტების გათვალისწინებით, რომელიც შეარჩიეთ.



კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებითა და ატრაქციონების ფოტოებით შეადგინეთ მარშრუტი ქალაქის გასართობ კუთხეში. შეადგინეთ მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც ასახავს გასართობ კუთხეში გართობის დასაწყისს, გაგრძელებასა და დასასრულს.

საკითხი: მუსიკით განწყობის შექმნა

ნაბიჯი 1.

როგორ შევუსაბამოთ ფოტოზე გამოსახული ატრაქციონის სახეობა წინადადებებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს?

- ყურადღებით წაიკითხეთ წინადადებები, შეუსაბამეთ ისინი ატრაქციონის ფოტოებს და შესაბამისი ლიტერა შეიტანეთ ცხრილში;
- მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და მათი ნომერი ჩანერეთ ცხრილის სათანადო უჯრაში.

ა



ბ



გ



ფრაგმენტი 1. ვ. პაჭელბელი. „კანონი“



ფრაგმენტი 2.

ი. სტრავინსკი. ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“



ფრაგმენტი 3.

ე. ვილა-ლობოსი. „კომპოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“



წინადადება	ფოტოს ლიტერა	ფრაგმენტის ნომერი
ეს დიდი ბორბალია. ის ძალიან ნელა ტრიალებს, თან ყოველთვის ერთი და იმავე სიჩქარით.	ბ	1
ეს მხიარული მთებია, ის ხან სწრაფად მიექანება, ხან ნელა, ხან აღმართს აივლის, ხან დაღმართზე ჩაიქროლებს. მხოლოდ მოზრდილებს შეუძლიათ ამ ატრაქციონზე დასხდომა. ხანდახან ადამიანები დაძაბულობისგან ოვაციებს ვერ იკავებენ და ყვირიან.	ა	2
ეს მატარებელია. აქ ყველას შეუძლია დაჯდომა. მატარებელი დაძვრისას სიჩქარეს თანდათან ანვითარებს, ხოლო გაჩერებისას სიჩქარეს თანდათან ანელებს.	გ	3

ნაბიჯი 2.

როგორ ამოვიცნოთ მუსიკის მახასიათებლებით ატრაქციონის სახეობა?

მიმართეთ მოსწავლეებს: წაიკითხონ ქვემოთ მოცემული კითხვები და პასუხები ჩაწერონ ჩარჩოებში.

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გადმოსცემდა მხიარული მთების სწრაფ აღმასვლას და დაღმასვლას?

- მუსიკის რა ხერხებით იყო ატრაქციონის ასეთი მოძრაობა გადმოცემული?

- რომელ ფრაგმენტში ბაძავდა მუსიკა მატარებლის ხმას? როგორ, რა ხერხებით (რიტმი, მელოდია, ტემპი)?

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში იყო გამოყენებული ნელი ტემპი, მდორე, თანაბარზომიერი რიტმი და დიდი გრძლიობის ბგერები?

- რომელ ატრაქციონს უკავშირდებოდა ეს მუსიკალური მახასიათებლები? როგორ უკავშირდება მუსიკალური ფრაგმენტის მახასიათებლები ატრაქციონის სახეობას?

ნაბიჯი 3.

როგორ შევექმნათ ქალაქის გასართობ კუთხეში გატარებული დროის ამსახელი მუსიკალური კომპოზიცია?

- ატრაქციონის რომელი სახეობით დაიწყებთ პარკის დათვალიერება?
- რომელი ატრაქციონით გააგრძელებთ?
- რომელი ატრაქციონით დაასრულებთ პარკში ვიზიტს?

დასაწყისი

(მუს. ფრაგმენტის №)

შუა ნაწილი

(მუს. ფრაგმენტის №)

დაბოლოება

(მუს. ფრაგმენტის №)

თემა 2: მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში

შესავალი თემის ძირითადი მიზანია ვირტუალური გასეირნებით მიღებული შთაბეჭდილებებისა და ემოციების სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების გამოყენება და მათი როლის განსაზღვრა; ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს, ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- გასეირნებით მიღებული შთაბეჭდილებებისა და ემოციების გადმოსაცემად ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს გამოიყენებს და მათ როლს განსაზღვრავს;
- გასეირნებით მიღებული შთაბეჭდილებებისა და ემოციების გადმოცემით ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს, ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმას შეძლებს;
- თემის ფარგლებში გაიაზრებს დიდი და პატარა ინტერვალების ჟღერადობას;
- გარკვეული განწყობილების შემქმნელი მელოდიის ინტონაციების, რიტმის და ტემპის შერჩევას და მიზნობრივად გამოყენებას შეძლებს;
- მუსიკის მახასიათებლებზე დაფიქრებით სხვადასხვა ემოციის ამოცნობას შეძლებს;
- მკაფიოდ გამოთქვამს საკუთარ აზრს და თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად დაასაბუთებს.

24–25. გასეირნება

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

ბავშვებო, უკვე იცით, რომ ქალაქებს თავისი ჟღერადობა აქვს – ტრანსპორტის ხმები თუ ადამიანების ფუსფუსი, ამ ხმათა ერთობა კი ხმაურს ქმნის. ქალაქებში იშვიათად გაიგონებთ ცალკეულ ბგერას. ეს იმიტომ, რომ იქ ცხოვრება ჩქეფს. ქალაქად არის ბევრი ისეთი ადგილი, რომელიც მოგეწონება, მიგიზიდავს და ალგაფრთოვანებს.

სოფლად, ბუნების წიაღში მეტი სიმშვიდე და სიწყნარეა. ისმის ჩიტების ჟღურტული, ფოთოლ-თა შრიალი, წყლის ჩხრიალი. რა ჯობს სიმწვანეში გასეირნებას, ლამაზი პეიზაჟების ყურებას... აქ ენერგიით ივსები და ახალი იდეებიც იზადება.

მოუსმინეთ ორ ფრაგმენტს და დაუკავშირეთ ქალაქისა და სოფლის ყოფას.

- იმსჯელეთ, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?



ტ. მაჩოვერი. „სიმფონია in D“



ო. თაქთაქიშვილი. სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის, I ნაწ.

აქტივობა 2

წინა აქტივობაში ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტი ტოდ მაჩოვერის ნაწარმოებიდან. ტოდ მაჩოვერი ამერიკელი კომპოზიტორია, რომელმაც მუსიკაში გამოიყენა ახალი ტექნოლოგიები. თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში „სიმფონია in D“ ორკესტრის ჟღერადობასთან ერთად ელექტრონული ბგერები გამოიყენა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ფრაგმენტში ჟღერდა ისეთი ხმები, რომლებიც აურზაურს გაგონებდათ?
- რა ხმები ამოიცანით?
- გესმოდათ თუ არა მოლაპარაკე ადამიანების ხმები?
- ჩანაწერში ერთი ადამიანის ხმა ისმოდა თუ ბევრის?
- როგორი ტემბრით საუბრობდნენ ისინი?
- ამოიცანით თუ არა თქვენთვის ნაცნობი ინსტრუმენტების ჟღერადობა?

განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტს ტოდ მაჩოვერის „სიმფონია in D“-იდან და გაიაზრეთ. აქ კომპოზიტორმა აღწერა ერთ-ერთი ხმაურიანი ქალაქის – დეტროიტის ცხოვრება. გარდა აქამდე ნაცნობი საკრავების ჟღერადობისა, ამ ნაწარმოებში ისმინება სხვადასხვა პროფესიის ადამიანის ლაპარაკი, ნაბიჯების ხმები, ასევე განსხვავებული საკრავების ჟღერადობაც. ამ საკრავებს ელექტრონულ საკრავებს უწოდებენ, მათი ხმა გაძლიერებულია ელექტროენერგიით, ხოლო აკუსტიკური საკრავები ხმას ბუნებრივად გამოსცემენ.



აქტივობა 3

მოუსმინეთ ორი ინსტრუმენტის ხმას და ამოიცანით, რომელია ელექტრონული და რომელი აკუსტიკური?



ფ. ტარეგა. ვალსი მი მინორი



ი. მალმსტინი. კომპოზიცია

აქტივობა 4

მოდით, ქალაქში გავისეირნოთ. იქ ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია, რომელთა დათვალიერებაც მოგინდებათ, მაგრამ ამჯერად შეარჩიეთ ის ადგილები, რომლებსაც პირველად ესტუმრებით. სასურველია თავად შეადგინოთ მარშრუტი.

- დაფიქრდით, რომელ ტრანსპორტს შეარჩევდით მგზავრობისთვის – მეტროს, მიკროავტობუსს თუ ავტობუსს?
- რას მოინახულებდით (პარკებს, ბალებს, მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებს, ისტორიულ ადგილებს, მოლებს, ბიბლიოთეკას...)?

შეადგინეთ მარშრუტი და წარუდგინეთ კლასს.

სთხოვეთ ბავშვებს, რომელიმე გასეირნებისას ხმები ჩანერონ ისე, რომ ჩანანერი რამდენიმე წუთს არ აღემატებოდეს. შემდეგ წარუდგინონ კლასს, ბავშვები კი გამოიცნობენ და გაშიფრავენ ხმებს.

აქტივობა 5

დააკვირდით სურათებს, რა ხმებით აღწერდით წარმოდგენილ გარემოს.



მოუსმინეთ ჩანანერს და დაუკავშირეთ სურათებს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც გაჟღერდა. სწორი ნუმერაცია შეიტანეთ ცარიელ ჩარჩოში.



გ. ყანჩელი. მუსიკა ფილმიდან „არ დაიდარდო“



ს. პროკოფიევი. „დაჭერობანა“
საფორტეპიანო ციკლიდან „საბავშვო მუსიკა“



გ. კუხიანიძე. „დავაგროვოთ ღიმილები“




ლ. ბოკერინი. მენუეტი

აქტივობა 1


მათ, ვინც ქალაქში ფეხით გადაადგილდება, ქვეითებს უწოდებენ.

დააკვირდით ქვეითად მოსიარულეთა სურათებს. ყოველი სურათის ქვედა კუთხეში არის თითოეული ქვეითის ნიშან-სიმბოლო.



აქტივობა 2

დაუკავშირეთ სიმბოლოები სურათებს ისე, როგორც ეს ნიმუშზეა წარმოდგენილი.



ახლა კი უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ქვეითი დგამს ყველაზე დიდ ნაბიჯს?
- რომელი ქვეითი დგამს ყველაზე პატარა ნაბიჯს?
- როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო დიდ ნაბიჯს დგამს, ქალი თუ ბავშვი?
- როგორ დააკავშირეთ მოცემული სიმბოლოები დიდ ან პატარა ნაბიჯებთან?
- სიმბოლოების რომელ დაჯგუფებაში იყო ყველაზე დიდი მანძილი? რომელში პატარა?

მუსიკაში მელოდია ბგერიდან ბგერაზე სხვადასხვა „ნაბიჯით“ – მანძილით გადადის. ამ მანძილებს – „ნაბიჯებს“ **ინტერვალები** ჰქვია.


უკვე ვიცით, რომ ბგერები ერთმანეთისგან სიმაღლით განსხვავდებიან.

თუ ორი ბგერის სიმაღლეებს შორის პატარა განსხვავებაა, ეს ნიშნავს, რომ ბგერებს შორის პატარა ინტერვალია.


თუ ორი ბგერის სიმაღლეებს შორის განსხვავება დიდია, ეს ნიშნავს იმას, რომ ბგერებს შორის ინტერვალი დიდია.

აქტივობა 3

ახლა კი დააკვირდით გამოსახულებას და ხაზებით დაუკავშირეთ ქვეითა ნაბიჯებს.




სწორი ვარიანტი



აქტივობა 1

შეასრულეთ სავარჯიშო: დააკვირდით გამოსახულებას. ორ ფუტკარს შორის ყველაზე მცირე მანძილი წითელი ფანქრით შემოხაზეთ, ლურჯი ფანქრით შემოხაზეთ ის მანძილი, რომელიც საშუალოა, ხოლო მწვანე ფანქრით – დიდი მანძილი.



აქტივობა 2

თქვენ წინაშეა ნოტებით გამოსახული ინტერვალები, მოუსმინეთ ჩანაწერს და გამოიცანით, დიდი ინტერვალი გაჟღერდა თუ პატარა?

სანოტო გამოსახულება ხაზით დააკავშირეთ ჩარჩოში ჩანერილ სიტყვებთან.



მოუსმინეთ ინტერვალების თანამიმდევრობას. ამავე დროს დააკვირდით სანოტო ჩანაწერს, შემდეგ კი ის ხაზებით დააკავშირეთ ჩარჩოში ჩანერილ სიტყვებთან.




აქტივობა 3


მოუსმინეთ ინტერვალების თანამიმდევრობის ორ ვარიანტს და დაადგინეთ:

- რომელ თანამიმდევრობაშია მოცემული ინტერვალები ზრდადობის მიხედვით – პატარა ინტერვალიდან დიდისკენ?
- რომელ თანამიმდევრობაშია კლებადობის მიხედვით – დიდი ინტერვალიდან პატარისკენ?

1




2




აქტივობა 4

ახლა კი მოუსმინეთ ინტერვალების თანამიმდევრობას და მონიშნეთ პასუხები.



იხ. სწორი პასუხი



30. ნაბიჯები/ინტერვალები

აქტივობა 1


თვალი გააყოლეთ სანოტო მაგალითებს და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ მაგალითშია ნოტებს შორის ყველაზე პატარა ინტერვალები?
- რომელ მაგალითშია ნოტებს შორის ყველაზე დიდი ინტერვალი?
- რომელ მაგალითში გვხვდება დიდი და პატარა ინტერვალების მონაცვლეობა?



აქტივობა 2

ახლა კი მოუსმინეთ სანოტო მაგალითების მიხედვით გაჟღერებულ მუსიკალურ ფრაგმენტებს, ამოიცანით სწორი თანამიმდევრობა და ჩაწერეთ უჯრაში. ამის შემდეგ კი ნაბიჯები დააკავშირეთ შესაბამის სანოტო მაგალითებთან.





ლ. ანდერსონი. „ციგებით სრიალი“



ლ. ანდერსონი. „მივიწყებული ოცნება“



ს. პროკოფიევი. „რაინდების ცეკვა“



პ. ჩაიკოვსკი. სიმფონია №6 IV ნაწ.

31. სუსხიანი დილის ქალაქი

აქტივობა 1

ზამთრის სუსხიანი დილა გათენდა. ჩვენი გმირების, ნანიკოსა და თომას სახლში დიდი აურზაურია, რადგან მშობლებს სამსახურში, ბავშვებს კი სკოლაში მიეჩქარებათ. საუზმის შემდეგ ისინი ზურგჩანთებს მოიგდებენ და სკოლისკენ მიეშურებიან. გზაში ბევრ ნაცნობ თუ უცნობ ადამიანს ხვდებიან და მათ მოძრაობას აკვირდებიან: უფროსები სწრაფი და დიდი ნაბიჯებით დადიან; მათი თანატოლები კი სწრაფ, მაგრამ მოკლე ნაბიჯებს დგამენ. აი, პოლიციელი კი მძიმე ნაბიჯებით მიუყვება ქუჩას. მოღრუბლული ციდან თოვლის ფანტელები ცვივა.



--	--	--	--


გაიხსენეთ წინა გაკვეთილებზე შესწავლილი ინტერვალები. მოიფიქრეთ სიმბოლური ნიშნები და ცარიელ ჩარჩოში დიდი, საშუალო და პატარა ინტერვალები პიქტოგრამებით გამოსახეთ.

--

აქტივობა 2

მოუსმინეთ მუსიკალურ ნაწყვეტებს და ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ნაბიჯებს შეადარეთ.

სურათზე მოცემული სამი ნაბიჯიდან შემოხაზეთ ის, რომლის შესატყვისი ფრაგმენტიც გაუღერდა თავდაპირველად.



რ. შუმანი. „ოცნება“ საყმაწვილო ალბომიდან



სიმღერა „ბედნიერი დღე“ ფილმიდან
„მონაზონის ქმედება“, კომპოზიტორი მ. გუდმანი





პ. ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო კონცერტი №1, III ნაწ.

აქტივობა 3

მიმართეთ ბავშვებს:

წინა აქტივობაში მოსმენილი ფრაგმენტები სურათზე გამოსახული პერსონაჟების ნაბიჯებს მივუსადაგეთ.

ახლა მოდი, განმეორებით მოვუსმინოთ ამ ფრაგმენტებს. ამოვიცნოთ პერსონაჟების განწყობა და შესაბამის წინადადებებთან დავაკავშიროთ.



32-33. ამოიცანით მარშრუტი

აქტივობა 1

თქვენმა თანატოლმა გოგო-ბიჭებმა შეადგინეს მარშრუტი და ქალაქში გაისეირნეს, აღწერეთ თითოეული ბავშვის მიერ განვლილი გზა, მოუსმინეთ ჩანაწერს და დაადგინეთ, რომელი ბავშვის გზაა აღწერილი? შემოზახეთ ის პერსონაჟი – ქეთი, სანდრო ან დათო, რომელსაც მიესადაგება ჩანაწერი.

ქეთი							
სანდრო							
დათო							

სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ, რომ ეს იყო ქეთის მარშრუტი ბიბლიოთეკამდე.

აქტივობა 2

ახლა კი გავართულოთ დავალება. მოუსმინეთ კიდევ ერთ მარშრუტს და უპასუხეთ კითხვებს.

- შეგიძლიათ ამოიცნოთ მარშრუტი? შეარჩიეთ სწორი თანამიმდევრობა:

ა) პატარა ქუჩა, მთავარი გამზირი, პარკი, საფეხმავლო ქუჩა;

ბ) პარკი, მთავარი გამზირი, პატარა ქუჩა, საფეხმავლო ქუჩა;


გ) მთავარი გამზირი, პატარა ქუჩა, საფეხმავლო ქუჩა, პარკი.

- პარკში როგორი ბილიკია, ასფალტის თუ გრუნტის/ხრემის?
- როგორ ამოიცანით პატარა ქუჩა?
- სად მოხდა სასიხარულო შეხვედრა?
- როგორ ამოიცანით საფეხმავლო ქუჩა?




აქტივობა 3

უკვე იცით, რომ ბგერები ერთმანეთისგან სიმალლით განსხვავდებიან, ინტერვალი კი გვიჩვენებს, რამდენად დიდი ან პატარაა მანძილი ბგერის სიმალლეებს შორის. დააკვირდით ქვეითებს. მათი ამოცნობა შესაძლებელია როგორც ნაბიჯების რიტმით, ისე ნაბიჯების ინტერვალებით. მოუსმინეთ ჩანანერს და დაუკავშირეთ სურათებს ხაზებით.



აქტივობა 4


დააკვირდით მაგალითებს. შემოხაზეთ პატარა ინტერვალები ყვითელი ფანქრით, საშუალოები – მწვანით, ხოლო დიდები – წითლით.



34. ამოცანი შენობა

აქტივობა 1

გაყავით კლასი ოთხ ჯგუფად, გაანაწილეთ რიტმული სავარჯიშოები შესაბამის ჯგუფებში, ჯერ მონაცვლეობით, ხოლო შემდეგ ერთდროულად შეასრულონ თავიანთი პარტიები.



აქტივობა 2

ქალაქში მოსეირნეს გზად ბევრი რამ ხვდება. მაგალითად, სხვადასხვა შენობა: ძველი ან ახალი, მდიდრული ან მოკრძალებული და სხვა.

დააკვირდით შენობებს. თქვენი აზრით, რომელი მათგანია ძველი და რომელი თანამედროვე, რომელი მდიდრული და რომელი მრავალსართულიანი?

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოუხდებოდა თითოეულ შენობას?
- მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და თქვენი გემოვნებით მიუსადაგეთ ქვემოთ მოცემულ სურათებს. ერთი ფრაგმენტი ზედმეტია, თუ რომელი, თავად განსაზღვრეთ. და გადახაზეთ.



①



②



③



ვ. უილიამსი. „ფანტაზია“



ა. ფრიდი, ნ. ჰერბრაუნი, ლ. ჰაიტონი.
მუსიკა ფილმისთვის „სიმღერა ნვიმაში“



ა. ვივალდი. სავიოლინო სონატა



ბ. ევანსი. „უნდა გჯეროდეთ გაზაფხულის“

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი სრულდება ელექტრონული ბგერებით?
- როგორ ფიქრობთ, რომელ შენობას მოუხდება ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- რატომ?
- რომელ ფრაგმენტში ისმის საყვირის ხმა მაღალ რეგისტრში?
- ამ მუსიკის მოსმენისას რომელი შენობა გახსენდებათ?
- რატომ?
- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ხალისიანი მუსიკალური ფრაგმენტი?
- როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკალურ ფრაგმენტს (ცოცხალი, მოძრავი, მდორე)?
- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ცივი, ცოცხალი საშიშიც კი?
- როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკას (მდორე, მოძრავი)?
- როგორი მელოდიაა (მდორე, საშიში, იდუმალი, დიდი ნახტომებით)?
- რა ინტერვალზე მოძრაობს (პატარა თუ დიდი ინტერვალი)?

აქტივობა 3

მოუსმინეთ ჩანაწერს და შემოთავაზებული მწკრივიდან დაუკავშირეთ ერთ-ერთს. სწორი პასუხი შემოხაზეთ.

①



②



35. მოლუბი

აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

ჩვენს გმირებს, თომასა და ნანიკოს უყვართ ქალაქში გასეირნება და მაღაზიის ვიტრინების დათვალიერება. ახლაც რამდენიმეს ჩაუარეს. დააკვირდით ვიტრინებს, თითოეულს შეურჩიეთ სახელი და ხაზებით დააკავშირეთ (ეს წორი ვარიანტია).



სათამაშოების მაღაზია „ჯიჯი“



სპორტული ტანისამოსი „ენერგია“



ტკბილეულის მაღაზია „მიირთვი“



„ყველაფერი ქალებისთვის“

აქტივობა 2

შეგიძლიათ შეურჩიოთ მუსიკა ამ მაღაზიის ვიტრინებს? ერთი მაგალითი ზედმეტია, რომელსაც თავად ამოიცნობთ.



ფ. პულენკი. „პოლკა“ (საბავშვო მაღაზია)



ელექტრონული მუსიკის კომპოზიცია
(სპორტული მაღაზიისთვის)



დები ქორდეტების სიმღერა „ლოლიპოპ“
(ტკბილეულის მაღაზიისთვის)



ბილ ევანსი. „უნდა გჯეროდეთ გაზაფხულის“
(ტანსაცმლის მაღაზიისთვის)



კომპიუტერის საუნდების „კომპოზიცია“
(ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რომ ეს ფრაგმენტი ზედმეტია)

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ვიტრინას მიუსადაგეთ საცეკვაო ხასიათის მუსიკალური ფრაგმენტი?
- ერთი ინსტრუმენტი ასრულებს თუ ორკესტრი?
- რა რეგისტრშია ამ მუსიკის მელოდია დაწერილი?
- რომელ ფრაგმენტში აქვს მუსიკას ძალიან ენერგიული, მოძრავი, ცოცხალი რიტმი?
- როგორ ფიქრობთ, ასეთი მუსიკა რომელი მაღაზიის ვიტრინას მოუხდებოდა?
- ეს მუსიკალური ფრაგმენტი ბუნებრივი (აკუსტიკური) ბგერებით არის შესრულებული თუ ელექტრონული?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ჟღერს სასიამოვნო კეთილბოგვანი ჰარმონია?
- რომელი მაღაზიის ვიტრინას მიუსადაგეთ ეს ფრაგმენტი?
- როგორ დაახასიათებდით ამ ფრაგმენტის მელოდიას: მდორე, მშვიდი, სევდიანი? ნახტომებით, პატარა ინტერვალებით მოძრაობს თუ დიდი ინტერვალებით?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუსადაგეთ საბავშვო მაღაზიის ვიტრინას?
- რატომ მიუსადაგეთ ეს ფრაგმენტი ამ ვიტრინას?
- რომელი ბგერებით არის შესრულებული (აკუსტიკური თუ ელექტრონული)?
- როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკალურ ფრაგმენტს (მდორე, მოძრავი, ცოცხალი)?
- როგორია მელოდია (შემართებითი, მდორე, მშვიდი, მოძრავი)?
- თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტია ზედმეტი? რატომ?

აქტივობა 3

მოუსმინეთ ჩანაწერს და დანომრეთ თანამიმდევრობით ის ობიექტები, რომლებიც მოსეირნებ მოინახულა.



სურსათი

სკვერი

სათამაშოების მაღაზია

ზოოპარკი

კაფე



- ჩანაწერის მიხედვით, პირველად რა მოინახულა მოსეირნებ?
- შემდეგ რა ობიექტს ესტუმრა?
- სად აღმოჩნდა ბოლოს?
- რომელი ობიექტების ხმა არ ისმოდა ჩანაწერში?


36-37. გგერათა რიგი/გამა

აქტივობა 1

სიმალლის მიხედვით დალაგებულ გგერათა თანამიმდევრობას გგერათა რიგი ეწოდება. გგერათა რიგი შეიძლება იყოს აღმავალი ან დაღმავალი. ის გგერათა რიგი, რომელიც ბოხი გგერებით იწყება და წვრილი გგერებით სრულდება, აღმავალია.



გგერათა რიგი, რომელიც წვრილი გგერებით იწყება და ბოხი გგერებით სრულდება, დაღმავალია.



გგერათა რიგში თითოეულ გგერას თავისი ადგილი მკაცრად აქვს მიჩენილი. მაგალითად: აღმავალ გგერათა რიგში გგერა „სოლ“-ს აუცილებლად მოჰყვება გგერა „ლა“, ხოლო დაღმავალ გგერათა რიგში, პირიქითაა: ჯერ არის გგერა „ლა“ და მას მოჰყვება გგერა „სოლ“.

აქტივობა 2

მოასმენინეთ ბავშვებს აუდიოჩანაწერი და სთხოვეთ თვალი გაადევნონ სანოტო ჩანაწერს. შემდეგ აჰყვნენ სიმღერით.



აქტივობა 3

მოუსმინეთ ბგერათა რიგს და დაადგინეთ, აღმავალი ბგერათა რიგია თუ დაღმავალი. შემოხაზეთ სწორი ნუმერაცია.



აღმავალი

დაღმავალი




აღმავალი

დაღმავალი

გრაფა

1

2



მოუსმინეთ ბგერების თანამიმდევრობას და მათი ანბანური აღნიშვნა სანოტო ჩანაწერების ციფრობრივ აღნიშვნასთან დააწყვილეთ.

აქტივობა 4

ჩვენი მეგობრები თომა და ნანიკო სასეირნოდ მიდიან. მოუსმინეთ კოლაჟს და გამოიცანით, სად გაისეირნეს მათ?

დააკვირდით ფოტოებს და მოსმენილი კოლაჟის მიხედვით დანომრეთ.



ინფორმაცია მასწავლებელს

კოლაჟში „თომა და ნანიკო სეირნობენ“, ხმა/ბგერებთან ერთად ჟღერს ფრაგმენტები შემდეგი ნაწარმოებებიდან:

ჯ. გერშვინის საორკესტრო პიესიდან „ამერიკელი პარიზში“;

საგალობელი „შენ ხარ ვენახი“;

ო. რესპიგის სიმფონიური პოემა „რომის ფიჭვები“;

ნ. კაპუსტინის „საფორტეპიანო ვარიაციები“.

კოლაჟი „თომა და ნანიკო სეირნობენ“

- მოსმენილ კოლაჟში რომელი საკრავების ხმები ამოიცანით?
- სულ აკუსტიკური საკრავები ჟღერდა თუ ელექტრონული ინსტრუმენტების ხმაც ისმოდა?
- რა ხმა/ბგერები ამოიცანით?

აქტივობა 5

განმეორებით მოასმენინეთ კოლაჟის ერთ-ერთი ეპიზოდი. ეს არის ფრაგმენტი იტალიელი კომპოზიტორის, ოტორინო რესპიგის სიმფონიური პოემიდან „რომის ფიჭვები“.

გაიხსენეთ, რასთან დააკავშირეთ და უპასუხეთ კითხვას.

- ამ ნაწარმოებში ბგერების როგორი მოძრაობა იქცევა ყურადღებას, აღმავალი თუ დაღმავალი?



ო. რესპიგი იტალიელი კომპოზიტორია.
ის იყო მევიოლინე და ალტისტი.




ო. რესპიგი. სიმფონიური პოემა „რომის ფიჭვები“

აქტივობა 1

რონდო ფრანგული სიტყვაა და გამოიხატავს ნიშნავს. ის არის მუსიკალური ფორმა, რომელშიც ერთი და იმავე მუსიკალური თემის მრავალჯერადი გამოვლინება ენაცვლება განსხვავებულ თემებს. თემას, რომელიც მეორდება, რეფრენი დაარქვენ.

დააკვირდით გამოსახულებას. აქ ზუსტად ისეა, როგორც რონდოში, სხვადასხვა თემას შორის მეორდება რეფრენი, აქაც – სხვადასხვა ფერის რგოლებს შორის მეორდება ერთი და იმავე ფერის რგოლი. რა ფერია რგოლი, რომელიც შეიძლება რეფრენს შევადაროთ?


სავარაუდოდ მოსწავლეები იტყვიან, რომ ეს არის ყვითელი ფერი.



აქტივობა 2

ახლა კი ყურადღებით გაეცანით ნანიკოს მარშრუტს.

მოუსმინეთ ერთ-ერთ მარშრუტზე აგებულ მუსიკალურ კოლაჟს, შეარჩიეთ და ცარიელ უჯრაში მიუთითეთ განვლილი მარშრუტის შესაბამისი ციფრი.




თუ დააკვირდებით, ნანიკოს მარშრუტი ერთი და იმავე მუსიკალური თემით/რეფრენით იყო წარმოდგენილი, ხოლო გზაზე შემხვედრ ობიექტებს განსხვავებული მუსიკალური დახასიათება/მუსიკალური თემები ჰქონდა.

თქვენი აზრით, რომელს შეიძლება ვუწოდოთ მთავარი თემა/რეფრენი და რომელს შეიძლება ვუწოდოთ განსხვავებული თემები/ჩანართები?

ახლა კი „დავხატოთ“ რონდო. გააფერადეთ ცარიელი კუბი თქვენ მიერ შერჩეული რომელიმე ერთი ფერით.

ე.ი. გაიმეორეთ განსხვავებულ ფერებს შორის ერთი და იგივე ფერი და „დახატეთ რონდო“.



ჰკითხეთ მოსწავლეებს:


- რომელი ფერი შეარჩიეთ „რეფრენის გასაფერადებლად“?

კიდევ ერთხელ განუმარტეთ:


რონდოშიც ხომ ასეა: ნაწარმოების მსვლელობისას ერთი და იგივე მუსიკალური თემა/რეფრენი უცვლელად მეორდება განსხვავებულ ფრაგმენტებს/ჩანართებს შორის.

აქტივობა 1

შეასრულეთ რიტმული სავარჯიშო.



იპოვეთ მსგავსება გრძლიობებსა და სურათებს შორის. შეეცადეთ დააკავშიროთ ერთმანეთთან.



- გაიხსენეთ როგორია გაუფერადებელი გრძლიობა? გრძელი თუ მოკლე?
- როგორია გაუფერადებული გრძლიობა?

აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს:

ამჯერად ლონდონის ხმებს მოვისმენთ. ამ ქალაქის ისეთ ადგილებს მოვინახულებთ, როგორებიცაა: წიგნების მაღაზია, შენობა, სადაც ორკესტრი მეცადინეობს, ხმის ჩამწერი სტუდია, ქალაქის პარკი და სხვ.



ები როუდი



ფოტოსურათი ალბომის „ები როუდის“ გარეკანისთვის. „ბითლზი“ – ლეგენდარული მუსიკოსები ინგლისის ქალაქ ლივერპულიდან



ლონდონის ხიდი

დააკვირდით სურათებს და ამის მიხედვით იმსჯელეთ:

- როგორი მარშრუტი შეადგინა პირველმა პერსონაჟმა (პერსონაჟს თვითონ მოუფიქრე სახელი) ქალაქის დასათვალიერებლად?

- როგორი მარშრუტი შეადგინა მეორე პერსონაჟმა (პერსონაჟს თვითონ შეურჩიე სახელი)?
- რომელი სურათები მიგვითითებს, რომ პერსონაჟები შეხვდნენ ერთმანეთს?

პერსონაჟი I.



პერსონაჟი II.



იმსჯელეთ:

- თქვენი აზრით, მოცემული სურათებიდან რომელ სურათს შეუსაბამებდით ყველაზე ამაღლებულ, სადღესასწაულო მუსიკალურ ფრაგმენტს?
- რომელ სურათს მიუსადაგებდით მშვიდ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- რომელ სურათს მიუსადაგებდით მოძრავ რიტმულ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- რომელ სურათს მიუსადაგებდით მუსიკას, რომელშიც გრძელი ბგერები, ხმამაღალი ჟღერადობა, მიძიმე ტემბრი, მაგრამ მხნე განწყობაა მოცემული?

აქტივობა 3

მოუსმინეთ ცხრილში მოცემულ ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს. ისინი პირველი პერსონაჟის მარშრუტს ეხმიანება. დააკვირდით სურათებს პირველი პერსონაჟის მარშრუტიდან და ცხრილში ფრაგმენტებთან შესაბამისი სურათის ნომერი დაწერეთ. **მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი და სურათები ერთმანეთს.**

სწორად შევსებული ცხრილი



I - პერსონაჟის მუსიკალური ფრაგმენტები	სურათის ნომერი
„ბითლზი“ – „მოდი ერთად“	4
„ბიჯისი“ – „რამდენად ღრმაა შენი სიყვარული“	2
ლ. ანდერსონი. „ციგებით გასეირნება“	6
ე. არტემიევი. „ნანა“	1
ბ. ბრიტენი. „ახალგაზრდის გზამკვლევი ორკესტრში“ II ფრაგმენტი	5
ჯ. უილიამსი. მუსიკა ფილმისთვის „პარი პოტერი“	3

მოუსმინეთ ცხრილში მოცემულ ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს. ისინი მეორე პერსონაჟის მარშუტს ეხმიანება. დააკვირდით სურათებს მეორე პერსონაჟის მარშრუტიდან და ცხრილში ფრაგმენტებთან შესაბამისი სურათის ნომერი დაწერეთ. **მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი და სურათები ერთმანეთს.**



სწორად შევსებული ცხრილი

II პერსონაჟის მუსიკალური ფრაგმენტები	სურათის ნომერი
ორკესტრის აწყობის ხმები	2
ბ. ბრიტენი. „ახალგაზრდის გზამკვლევი ორკესტრში“, I ფრაგმენტი	1
ბ. ბრიტენი. ინტერლუდია ოპერისთვის „პეტერ გრემისი“	3
ლ. ანდერსონი. „ციგებით გასეირნება“	6
ბ. ბრიტენი. „ახალგაზრდის გზამკვლევი ორკესტრში“, II ფრაგმენტი	5
„ბიჯისი“ – „რამდენად ღრმაა შენი სიყვარული“	4

აქტივობა 4

ამჯერად დააკვირდით ორ მარშრუტს, მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს, სადაც პერსონაჟი დახასიათებულია ერთი და იმავე მუსიკალური ფრაგმენტით, ხოლო ობიექტები, სადაც ეს პერსონაჟი მიდის – სხვადასხვა მუსიკალური ფრაგმენტით. დაადგინეთ, ვისი მარშრუტია აღწერილი აუდიოჩანაწერში? პირველი პერსონაჟის თუ მეორის? შემოხაზეთ შესაბამისი პერსონაჟი.

(სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ ეს პერსონაჟი 1-ია)

ნიმუში მასწავლებლისთვის

პერსონაჟი 1.

ქალაქს
გაჰყურებს

საუზმობს

წიგნებს
არჩევს

ები როუდის
სტუდიას
ათვალიერებს

ქუჩაში სამეფო
ოჯახს შეხვდება

ციგებით
სეირნობს

პერსონაჟი 2.

ხილზე
სეირნობს

ორკესტრის
რეპეტიციაზე

ბიგ ბენტონ
ჩაივლის

საუზმობს

ქუჩაში სამეფო
ოჯახს შეხვდება

ციგებით
სეირნობს

დაასაბუთეთ პასუხი, ამისთვის დაახასიათეთ კოლაჟში შემავალი ის ფრაგმენტი ან ფრაგმენტები, რომელმაც მიგახვედრა, რომ ეს იყო შენ მიერ შერჩეული პერსონაჟის მარშრუტი.

დღეს ჩვენ მოვისმინეთ კოლაჟი, სადაც გამოყენებული იყო ფრაგმენტები ბენჯამინ ბრიტენის ნაწარმოებებიდან.



ბ. ბრიტენი ინგლისელი კომპოზიტორია

ვიოლონჩელისტი მსტისლავ როსტროპოვიჩი და ინგლისელი კომპოზიტორი ბენჯამინ ბრიტენი.



ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

დააკვირდით ფოტოებს და აღწერეთ.

- ხომ არ გეცნოთ რომელიმე გარემო?
- თქვენი აზრით, როგორი ხმები შეიძლება ისმოდეს ასეთ ადგილებში?
- წაიკითხეთ წარწერები ამ ფოტოების ქვეშ და დაადგინეთ, ეს შენობები ერთ ქალაქშია თუ სხვადასხვაში?



შანზ-ელიზე პარიზის ყველაზე დიდებული ქუჩაა



ეიფელის კოშკი პარიზის სიმბოლოა.

კოშკში მთელი დღის განმავლობაში ტურისტებისთვის ლიფტი მუშაობს.
ეიფელის კოშკიდან მნახველების წინაშე ულამაზესი ხედები იშლება.



ბარსელონაში დგას არქიტექტორ ანტონიო გაუდის მიერ
მე-20 საუკუნეში აგებული ყველაზე ცნობილი ტაძარი
„საგრადა ფამილია“, რაც წმინდა ოჯახს ნიშნავს.



შვედეთში ასტრიდ ლინდგრენის სახლ-მუზეუმი.
გაიხსენეთ „პეპი გრძელი წინდა“, „ბულერბიელი ბავშვები“ და „კარლსონი“.
ისინი შვედმა მწერალმა, ასტრიდ ლინდგრენმა შექმნა.



ესპანეთში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ესპანელები ყოველთვის ლამაზ, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ. მადრიდში, ბარსელონასა თუ სხვა ქალაქებში მატჩის დროს სტადიონები მუდმივად სავსეა. ხალხი მთელი გულით ქომაგობს საყვარელ კლუბსა და ფეხბურთელებს.

წაიკითხეთ წრეებში წინადადებები და შესაბამის ფოტოსთან ხაზებით დააკავშირეთ.



თერმომეტრი გამოიგონა
შვედმა ასტრონომმა
ანდრეს ცელსიუსმა.


ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მდებარეობს სამეფო რეზიდენცია, სადაც მეფის ოჯახი ცხოვრობს.

ამერიკელი წარმოშობის ფრანგი მომღერალი ჯო დასენი მღეროდა შანსონებს.

აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს:

ახლა კი მოუსმინეთ კოლაჟს, რომელიც ნანიკოს მამის მოგზაურობის მარშრუტს აღწერს. ამოიცანით, რა თანამიმდევრობით მოინახულა მან ეს ადგილები. ამის მიხედვით დანომრეთ ფოტოები. დააკვირდით ხატულებს და, მუსიკალური დახასიათებიდან გამომდინარე, მოგზაურის განწყობა შესაბამისი ხატულით აღნიშნეთ.



აქტივობა 3

კოლაჟში ჟღერდა ფრაგმენტები შემდეგ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან: ჯ. გერშვინი „ამერიკელი პარიზში“, ჯო დასენი „ო შანზ-ელიზე“, ფრანგული შანსონი აკორდეონის შესრულებით, გ. ფ. ჰენდელი ორატორია „მესია“ (ალილუია), საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ჰიმნი, საუნდტრეკი ფილმისთვის „პეპი გრძელი წინდა“ (კომპ. ი. იოჰანსონი).

- ჟღერდა თუ არა კოლაჟში ერთი და იგივე მუსიკალური ფრაგმენტი?
- მოგაგონათ თუ არა ამ კოლაჟმა მუსიკალური ფორმა, რომელსაც რონდო დავარქვით?
- ვის ახასიათებდა ერთი და იგივე მუსიკალური ფრაგმენტი?
- როგორი განწყობით იმოგზაურა ამ პერსონაჟმა?
- სად შეჩერდა პირველად?
- შეგიძლიათ თანამიმდევრობით ჩამოთვალოთ ის ადგილები, რომლებიც მან მოინახულა?

აქტივობა 4

ჩვენ მოვისმინეთ კოლაჟი, სადაც „მოგზაური მამიკოს“ მუსიკალური დახასიათებისთვის გამოვიყენეთ ფრაგმენტი კომპოზიტორ ჯორჯ გერშვინის საორკესტრო პიესიდან „ამერიკელი პარიზში“.

დააკვირდით ამ ფრაგმენტის მელოდიური ხაზის სანოტო ჩანაწერს და იმსჯელეთ:

- დიდი ინტერვალი უფრო მეტია თუ პატარა?

ჯორჯ გერშვინი ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტია.

გერშვინმა სახელი გაითქვა ჯაზური სტილის სიმღერებითა და მიუზიკლებით.

სავარაუდოდ, მოგისმენიათ მისი ნაწარმოები „რაფსოდია ბლუზის ტონებში“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის. გერშვინმა შექმნა პირველი ამერიკული ოპერა „პორგი და ბესი“.





ჯ. გერშვინი

აქტივობა 5

მოუსმინეთ ფრაგმენტებს ჯ. გერშვინის საორკესტრო პიესიდან „ამერიკელი პარიზში“ და მოცემულ წინადადებებთან ხაზებით დააკავშირეთ.

ხალისიანი, ენერგიული,
მოლიმარი და იმედიანი
ახალგაზრდა ამერიკელი
მიუყვებოდა პარიზის ქუჩებს.

ქალაქის გამოცოცხლება.

პატარა და დიდი მანქანების
სიგნალის ხმები ერთმანეთს
ენაცვლებოდა.



ქალაქის პარკიდან სასულე
საკრავთა ხმები მოისმოდა.

ზებრა გადასასვლელზე
ხალხი ფუსფუსებდა და
ჩქარობდა.

მშვიდი ქალაქი ღამით.

43. კანონი

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

ნანიკო და თომა შაბათ-კვირას მშობლებმა ბათუმში წაიყვანეს. გზაში სიმღერა ასწავლეს. შემდეგ ჩანაწერი გააკეთეს და ჩვენ გამოგვიგზავნეს. მოდი, მოვისმინოთ.



თავდაპირველად მოასმენინეთ ჩანაწერი და ჰკითხეთ:

- სიმღერას ერთი ადამიანი მღერის თუ თანდათან ემატებიან სხვებიც?
- სავარაუდოდ, ბავშვები გიპასუხებენ, ემატებიან სხვებიცო. შემდეგ კვლავ ჰკითხეთ:
- ის მომღერლები, რომლებიც ემატებიან, განსხვავებულ მელოდიას მღერიან თუ იმავე მელოდიას იწყებენ მოგვიანებით?

პასუხების მოსმენის შემდეგ აუხსენით, რომ ასეთ სიმღერას, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში დაგვიანებით თანდათან შემოდის, მუსიკოსებმა **კანონი** დაარქვეს.

აქტივობა 2

მიმართეთ ბავშვებს:

ალბათ ბევრი გიმოგზაურიან სხვადასხვა ტრანსპორტით.

- ყველაზე მეტად სად გიყვართ გამგზავრება?
- რომელი ტრანსპორტით გიყვართ მგზავრობა?

მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, განაგრძეთ:

ალბათ დამეთანხმებით, რომ მუსიკით შესაძლებელია აღვწეროთ ნებისმიერი მოვლენა, საგანი, მოქმედება, განცდა, განწყობა.

ფრანგმა კომპოზიტორმა, არტურ ონეგერმა თავის ნაწარმოებში „პაციფიკ 231“ საოცარი ოსტატობით გადმოგვცა მატარებლის მოძრაობის ხმები დაძვრიდან ბოლო გაჩერებამდე და ის გარემო, რომელშიც მატარებელი მიქრის. ნაწარმოებს მუსიკოსთა ჯგუფი – ორკესტრი ასრულებს. მოდი, მოვუსმინოთ ფრაგმენტებს ამ ნაწარმოებიდან და აქ მოცემულ წინადადებებს მივუსადაგოთ.

ფრაგმენტების ნომრები წინადადებების ანბანურ აღნიშვნასთან დააკავშირეთ და შეავსეთ ცხრილი.

ა) მატარებლის მოძრაობის იმიტაცია

ბ) მიქრის მატარებელი

გ) მელოდიით იმ ლამაზი გარემოს აღწერა, სადაც მატარებელი გაივლის

დ) მატარებელი ანელებს სვლას და ჩერდება



აქტივობა 3

განმეორებით მოასმენინეთ ფრაგმენტები და ჰკითხეთ:

- ამ ოთხი ფრაგმენტიდან რომელია ნაწარმოების დასაწყისი?
- რომელი ორი ფრაგმენტი აღწერს შუა ეპიზოდს?
- რომელია ნაწარმოების დასასრული?



44. შავლეშო

აქტივობა 1

მიმართეთ ბავშვებს:

კვლავ დადგა უქმეები. ნანიკო და თომა მშობლებმა ორი დღით მესხეთში წაიყვანეს. იქ მას-პინძლების ეზოში ქათმები და სხვა შინაური ცხოველები ირეოდნენ.

ბავშვების დანახვაზე ყველა ერთად დაფრთხა. ბავშვებმა წინილების დაჭერა და მათი მიაღერება მოინდომეს. ამით უკმაყოფილო კრუხი გაუჩერებლად კრიახობდა, მას სხვა ქათმებიც აჰყვნენ და ეზოში დიდი ალიაქოთი ატყდა.

ახლა მოუსმინოთ ფრაგმენტს: დ. ლიგეტის „ექვსი ბაგატელიდან“ და ვიმსჯელოთ, მონათხრობის რომელ ეპიზოდს შეიძლება დავეუკავშიროთ ეს ნაწარმოები?



აქტივობა 2

- განმეორებით მოასმენინეთ ჩანაწერი და ჰკითხეთ:
- რომელი საკრავები გეცნოთ?
- ეს საკრავები აკუსტიკურია თუ ელექტრონული?
- როგორი ინტერვალები იქცევს ყურადღებას, დიდი ნახტომებით თუ პატარა სვლებით?
- როგორ ფიქრობთ, მუსიკა მრავალხმიანია თუ ერთხმიანი?
- რიტმული ოსტინატო ჟღერს თუ კანონი?
- რომელი საკრავის სოლო გამოირჩევა დაბალი რეგისტრის ბგერებით?

აქტივობა 3

ახალციხიდან წამოსულ ბავშვებს გზაზე მამიკომ ქართველი გმირისა და წმინდანის, შალვა ახალციხელის შესახებ შექმნილ მესხური სიმღერაც მოასმენინა.

ჩვენც მოუსმინოთ ამ სიმღერას. ამავედროულად დახედეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს და შესაბამისი მუსიკალური მახასიათებლები შემოხაზეთ.



მუსიკის მახასიათებლები			ბგერის მახასიათებლები	
ტემპი	რიტმი	მელოდია	ბგერის ტემპრი	ბგერის სიძლიერე
ნელი	მდორე	მღერადი	თბილი	ჩუმი
სწრაფი	მკვეთრი	არამღერადი	მსუყე	ხმამაღალი
ცვალებადი	მარშისებური	რბილი	ხავერდოვანი	ახასიათებს თანდათანობით
უცვლელი	თანაბარი	ტალღისებური	ჰაეროვანი	ჟღერადობის გაძლიერება
	არათანაბარი	ნახტომისებური	მძიმე	ახასიათებს ჟღერადობის შესუსტება
		მოქნილი	ხისტი	
		მდორე	მკვეთრი	
			მჟღერი	
			დახშული	

45-46. რწყილი და ჭიანჭველა

აქტივობა 1

მოასმენინეთ ბავშვებს ორი კოლაჟი ისე, რომ არ უთხრათ სახელწოდება.

1. „გასეირნება ქალაქში“

2. „გასეირნება სოფლად“

სთხოვეთ თითოეული კოლაჟის გრაფაში ჩანერონ შესაბამისი სახელწოდება.

შემდეგ თითოეული კომპოზიციის შთაბეჭდილებით გამოიგონონ რაიმე ამბავი და მოჰყვენ კლასში.

დავალების შესრულება რომ გაუადვილდეთ, სთხოვეთ თავდაპირველად გაშიფრონ ხმები. ჩამოთვალონ, დაასახელონ, რა ადგილებს გადის „მოსეირნე X“, ვინ შეიძლება იყოს ეს პერსონაჟი – ქალი, კაცი, ბავშვი?



აქტივობა 2

მიმართეთ ბავშვებს:

ალბათ ყველამ კარგად იცით „რწყილისა და ჭიანჭველას“ ამბავი.

ქართველმა კომპოზიტორმა, გომარ სიხარულიძემ ამ ამბის მიხედვით დაწერა მუსიკალური სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“.

მოდით, მოვისმინოთ ფრაგმენტი ამ ნაწარმოებიდან და რამდენიმე საკითხზე დავფიქრდეთ:

- რა ხმები გესმით, მხოლოდ მუსიკის?
- სოლისტი მღერის, გუნდი თუ მონაცვლეობით მღერიან?
- რას ჰზავებს ოსტინატო, ჭიანჭველას გასეირნებას, ნაბიჯების ხმას თუ რწყილის ხტუნვას?
- შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს იმსჯელონ:
- როგორი განწყობა აქვთ ამ სპექტაკლში პერსონაჟებს, იმედიანი თუ სევდიანი?
- დახედონ სანოტო ჩანანერს და იმსჯელონ:
- რა ინტერვალებითაა შექმნილი პერსონაჟების მუსიკალური დახასიათება?
- უფრო ხშირად დიდი ნახტომებია თუ საფეხურებრივი დაღმავალი სვლები?



აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ახლა კი მიუზიკლის პერსონაჟები სხვადასხვა გარემოში ვამოგზავროთ და ამოვიცნოთ, სად არიან ისინი. ამაში შემდეგი სამუშაოს შესრულება დაგვეხმარება. მოუსმინეთ ორ კომპოზიციას, ნაიკითხეთ კომპოზიციისთვის შეთავაზებული სათაურები და გაჟღერებული თანამიმდევრობით დანომრეთ.

გადახაზეთ ის სახელწოდებები, რომელთა შესაფერისი კომპოზიციაც არ გაჟღერებულა.



რწყილი და ჭიანჭველა ქალაქში

რწყილი და ჭიანჭველა ზღვის ტალღებს გასცქერიან და თოლიების ხმებს უსმენენ

რწყილი და ჭიანჭველა ფეხბურთის მატჩს ესწრებიან

რწყილი და ჭიანჭველა სოფლად

აქტივობა 4

მოასმენინეთ კომპოზიციები წინა აქტივობიდან.

როგორ ფიქრობთ, კომპოზიციებში „რწყილი და ჭიანჭველა სოფლად“ და „რწყილი და ჭიანჭველა ქალაქში“ ერთი აზრი იყო გადმოცემული თუ ორი სხვადასხვა?

მაგალითად:

- მხოლოდ რწყილისა და ჭიანჭველას თავგადასავალი, თუ რწყილისა და ჭიანჭველას თავგადასავალთან ერთად ისმოდა სხვა აზრიც?
- მაგალითად:
- ერთ კომპოზიციაში ქალაქის ხმები, მეორეში კი – პერსონაჟების დახასიათებას დაემატა სოფლის ხმები?

მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, ჰკითხეთ:

მაშასადამე, ერთდროულად ორი განსხვავებული აზრი ისმოდა, ხომ?

დაიმახსოვრეთ, მუსიკაში ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდიის (მუსიკალური აზრის) შერწყმას მუსიკოსებმა კონტრაპუნქტი დაარქვეს.

შეიძლება ვთქვათ, რომ რწყილისა და ჭიანჭველას კომპოზიციების გარჩევით, ჩვენ მოვისმინეთ კონტრაპუნქტი.

კონტრაპუნქტი მრავალხმიანი მუსიკის ნაირსახეობაა.

აქტივობა 5

შესთავაზეთ, თქვენი დახმარებით ისწავლონ სიმღერა, „ჩემი ოქრო ჩემთან“ თამაშის ელემენტებით. გააცანით თამაშის მსვლელობა.

დააკვირდნენ სანოტო ჩანაწერს, სადაც მოსეირნისა და მოთამაშეების პარტიებია გამოწერილი.

სთხოვეთ რამდენჯერმე მოუსმინონ სიმღერას. გაიაზრონ, ვის რა მელოდია და რა სიტყვები ექნება სამღერო.

ყველას რამდენჯერმე გარკვევით უმღერეთ ტონი (ბგერის სიმაღლე).

შემდეგ ჩართეთ ორხმიანი ვარიანტი:

ჯერ „მოსეირნე დედა“ აჰყვება თავის პარტიას, მეორე წრეზე კი „მოთამაშეები“ იმღერებენ თავისას.

შემდგომი თამაშის მსვლელობა ემთხვევა ჩვენთვის კარგად ნაცნობ თამაშს „ჩემი ოქრო ჩემთან“.

გერმანული ხალხური სიმღერა

თარგმნა ნ. ქუმსიშვილმა



ჩემ - თან ჩემ თან გა - ჩერ - დი - ო ჩემ თან
მე ვარ ერ-თი მო-სე-ირ-ნე ა-ქეთ ი-ქით დავ-დი-ვარ მე ვარ ერ-თი

ჩემ - თან გა - ჩერ - დი - ო გა - მა - ხა - რე
მო-სე-ირ-ნე ა-ქეთ ი-ქით დავ-დი-ვარ ნე - ტავ ვის-თან გავ-ჩერ-დე

გა - მა - ხა - რე ნე - ტავ ჩემ-თან გა - ჩერ - დე
ნე - ტავ ვის-თან გავ-ჩერ-დე ნე - ტავ ახ - ლა ვის-თან გავ-ჩერ - დე



მეორე ხმა. დედა არის მოსეირნე და მღერის ასე:
მე ვარ ერთი მოსეირნე, აქეთ-იქით დავდივარ.
მე ვარ ერთი მოსეირნე, აქეთ-იქით დავდივარ.
ნეტავ, ვისთან გავჩერდე, ნეტავ, ვისთან გავჩერდე, ნეტავ, ახლა ვისთან გავჩერდე?

პირველი ხმა. მოთამაშეები სხედან წრეში და მღერიან ასე:
ჩემთან, ჩემთან გაჩერდიო.
ჩემთან, ჩემთან გაჩერდიო.
გამახარე, გამახარე, ნეტავ, ჩემთან გაჩერდე.

მას შემდეგ, რაც აქტივობა დასრულდება, სთხოვეთ ბავშვებს უპასუხონ კითხვებს:

- მოსეირნე დედის მელოდიასა და მოთამაშე ბავშვების მელოდიაში ბგერები ერთი მიმართულებით მოძრაობენ თუ ერთმანეთის საპირისპიროდ?
- ერთი და იგივე აზრი აქეთ თუ სხვადასხვა?
- შემდეგ მოასმენინეთ სიმღერის ჩანაწერი და სთხოვეთ დაადგინონ, ოსტინატო ჟღერს თუ კონტრაპუნქტი?

აარჩიეთ დედა, რომელიც წრეში მჯდომ მოთამაშეებს „სიმღერით“ ჩამოუვლის და რომელიმეს ხელისგულებში პატარა ნივთს ჩაუვდებს.

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს. დააკვირდით გამოსახულებას და დაადგინეთ, სად მოგზაურობს ბიჭუნა.

კოლაჟის თანამიმდევრობით დანომრეთ ფოტოები. მოსმენილი კოლაჟის მიხედვით გამოიგონეთ რაიმე ამბავი.

საკითხი: მუსიკით აღწერა

ნაბიჯი 1.

მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს*, და ამის მიხედვით არეულად დალაგებული ფოტოები დანომრეთ შესაბამისი თანამიმდევრობით. მოცემული მუსიკალური კოლაჟისა და სურათების მიხედვით დაადგინეთ, რომელი ადგილის დათვალიერება გადანწყვიტა ბიჭუნამ თავდაპირველად.



*ინფორმაცია მასწავლებელს: კოლაჟი შედგენილია შემდეგი ნაწარმოებების ფრაგმენტებისგან: ვ. ა. მოცარტი. სავილინო სონატა №29 ჯ. გერშვინი. „რაფსოდია ბლუზის ტონებში“, ბარსელონას ჰიმნი, ა. ვივალდი. „სავილინო სონატა, ჯ. გერშვინი. საორკესტრო პიესა „ამერიკელი პარიზში“,

ნაბიჯი 2.

განმეორებით მოუსმინეთ კოლაჟს. შემოხაზეთ სწორი პასუხები:

- როგორ ამოიცანით ის ადგილები, რომლებიც ბიჭუნამ მოინახულა?
- რა მახასიათებლების გამო მიუსადაგეთ ფრაგმენტი მოჩუქურთმებულ შენობას?

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა) ჟღერდა აღმავალი ინტონაციები, რომელიც ისეთივე შელამაზებული იყო, როგორიც შენობის ჩუქურთმა;

ბ) ჟღერდა ნახტომები დიდ ინტერვალებზე, რომელიც მივუსადაგეთ ძველებურ შენობას.

- რა მახასიათებლების გამო მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი მაღალ შენობას?

ა) ჟღერდა აღმავალი სვლა, რომელმაც შენობის სიმაღლე გამახსენა;

ბ) ჟღერდა ამბლლებული, დიდებული განწყობის მუსიკალური ფრაგმენტი.

- რა ინსტრუმენტი ამოიცანით? შემოხაზეთ ორი სწორი პასუხი:

ა) ჩასაბერი;

ბ) სიმებიანი;

გ) აკუსტიკური;

დ) ელექტრონული.

- რა ნიშნით დააკავშირეთ ფრაგმენტი ფეხბურთის სტადიონთან?

ა) ვიცოდი და მოსმენილი მქონდა;

ბ) განწყობისა და ხმა-ბგერების მიხედვით.

- რა ნიშნით დააკავშირეთ ფრაგმენტი მანქანებით სავსე ქუჩასთან?
- ა) საორკესტრო საკრავები ასრულებდნენ მანქანების სიგნალების ხმაბაძვას;
 - ბ) საორკესტრო საკრავები ასრულებდნენ მანქანის ძრავას ხმაბაძვას.
-
- რა ნიშნით დააკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტი სურათთან, რომელიც ბიჭუნას მარშრუტის დასასრულს აღწერს?
- ა) მუსიკა ისეთივე იდუმალია, როგორიც სურათზე გამოსახული გარემო;
 - ბ) მუსიკა ისეთივე დიდებული და ამაღლებულია, როგორიც სურათზე ასახული გარემო.

ნაბიჯი 3.

განმეორებით მოუსმინეთ კოლაჟს. ყური დაუგდეთ ბიჭუნას მუსიკალურ დახასიათებას და ქვემოთ მოცემული პორტრეტებიდან ერთ-ერთი შეუსაბამეთ მის ხასიათს.



მონყენილია



დამაჯერებლად მიაბიჯებს



შეშინებული მიიპარება

ნაბიჯი 4.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ კოლაჟს და უპასუხეთ კითხვას:

- რით უკავშირდება მოცემული კოლაჟი მუსიკალურ ფორმას, რომელსაც რონდო დავარქვით?

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1) კოლაჟში ერთი და იგივე მუსიკალური ფრაგმენტი (ბიჭუნას მუსიკალური დახასიათება) უცვლელად მეორდება, გამეორებულ ფრაგმენტს კი ყოველთვის თან მოსდევს განსხვავებული მუსიკალური ფრაგმენტი.

2) მეორდება მუსიკალური ფრაგმენტი, მაგრამ ოდნავ სახეშეცვლილია.

თემა 3: ჩემი ცხოვრების ერთი დღე

თემის ძირითადი მიზანია მუსიკალური მაგალითებითა და მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებებით მოსწავლის რამდენიმე ჩვეულებრივი დღის აღწერა, სადაც გამოყენებული იქნება რიტმული და მელოდიური ოსტინატო, სხვადასხვა ემოციის გადმოცემა ინტონაციებით. ერთი და იმავე მოქმედების დროს გამოცემული ხმისთვის განსხვავებული ემოციური დატვირთვის მინიჭების მიზნით მოსწავლე შეარჩევს სხვადასხვა მუსიკალურ თანხლებას, შექმნის და კომპიუტერულ პროგრამაში ჩაწერს ხმებისა და მუსიკალური თანხლებისგან შედგენილ კოლაჟს, რომელიც მის ერთ გატარებულ დღეს ასახავს. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- ერთი და იმავე მოქმედების დროს გამოცემული ხმისთვის განსხვავებული მუსიკალური თანხლების შერჩევით, ამ ხმას სხვადასხვა ემოციურ დატვირთვას მისცემს;
- რიტმული და მელოდიური ოსტინატოს ფონზე, მელოდიაში სხვადასხვა ემოციის გადმოცემა ინტონაციებით, გარკვეული მოქმედების დამახასიათებელ განწყობას გადმოსცემს;
- სიმღერით, მოძრაობით, მუსიკალური კომპოზიციის შექმნითა და ინტერპრეტაციით თავის შესაძლებლობებსა და შემოქმედებით უნარებს ავლენს;
- ჯგუფური მუშაობის პროცესში ხელს შეუწყობს ჯგუფის წევრთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებას;
- საუბრისა და მუსიკალური თანხლებისგან კომპიუტერულ პროგრამაში შექმნის კოლაჟს, რომელიც მის ერთ გატარებულ დღეს აღწერს;
- მეტყველებისა და მელოდიის მოძრაობის ამსახველ ინტონაციებს შესაბამისი სიმბოლოებით ასახავს;
- მკაფიოდ გამოთქვამს საკუთარ აზრს და თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად ასაბუთებს.

50. დილა არის ცა ლაჟვარდი

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე განსაკუთრებული და საინტერესოა. დიდებს თავიანთი საქმე-საკეთებელი აქვთ, პატარებს თავიანთი გეგმებისა და მიზნების მისაღწევად უწევთ შრომა. ზოგჯერ ბევრის გაკეთება და მოსწრაფა გვინევს. ზოგჯერ დაღლილები ვისვენებთ, ვსეირნობთ, ექსკურსიებზე დავდივართ.

- თქვენ რისი გაკეთება გიყვართ ყველაზე მეტად?
- როგორი დღეები გამახსოვრდებათ?
- რას დაგეგმავდით და გააკეთებდით ყოველთვის სიამოვნებით?

მას შემდეგ, რაც ბავშვებს გაესაუბრებით, მოასმენინეთ ორი სიმღერა:



1) გერმანული სიმღერა Danke für diesen guten Morgen,
კომპოზიტორი მარტინ გოთჰარდ შნაიდერი.



2) What A Wonderful World,
კომპოზიტორი ბ. ტილი და ჯ. ვაისი.

მიმართეთ მოსწავლეებს: მოუსმინეთ და იმსჯელეთ.

- როგორია სიმღერების განწყობა?

სავარაუდოდ, ბავშვები ასე დაახასიათებენ:

ხალისიანი, ალერსიანი, თბილი.

- რომელ სიმღერაშია ელექტრონული საკრავებით შესრულებული ინსტრუმენტული თანხლება?
- რომელ სიმღერაში – აკუსტიკური?
- რომელი საკრავის ხმა გეცნოთ?

ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი სიმღერის მოსმენას ისურვებდნენ განმეორებით.

მას შემდეგ, რაც ბავშვები შეარჩევენ სიმღერას, მოასმენინეთ და იმავდროულად სთხოვეთ, რვეულში ჩახატონ სანატრელი დღე.



უჩვენეთ ვიდეოჩანაწერი, სადაც ლუი არმსტრონგი ასრულებს სიმღერას „რა მშვენიერია სამყარო“ და განუმარტეთ:

ლუი არმსტრონგი გამოჩენილი ამერიკელი მუსიკოსია. იგი შესანიშნავად უკრავდა საყვირზე. ლუი არმსტრონგი ჯაზის¹ საუკეთესო მომღერალია.



აქტივობა 2

სთხოვეთ ბავშვებს წაიკითხონ მოცემული სიმღერის „დილა“ ვერბალური ტექსტი და იმსჯელონ:

- როგორი მელოდია ექნება ამ სიმღერას: ხალისიანი, სევდიანი, მშვიდი?



¹ ჯაზი მუსიკის სახეობაა, რომელიც ამერიკაში, აფროამერიკულ თემში წარმოიშვა.

სთხოვეთ დააკვირდნენ ცხრილს და შემოხაზონ შესაბამისი მუსიკალური მახასიათებელი.

სანოტო ტექსტი ჩაწერა რ. ჯულაყიძემ

დი - ლა ა - რის ცა ლა - ვარ - დი და შვი - სა სხი - ვით
 დი - ლა ა - რის ცა ლა - ვარ - დი და შვი - სა სხი - ვით
 ი - ფე - რე - ზა და და ქურ - დუ - ლად ში - ზა -
 ი - ფე - რე - ზა და და ქურ - დუ - ლად ში - ზა -
 12
 ლუ - ლა თვით შთვა - რე და ვარსკვ - ლავთ კრე - ზა და
 ლუ - ლა თვით შთვა - რე და ვარსკვ - ლავთ კრე - ზა და

დღით მზე ნათობს, ღამით მთვარე,
 დღე ღამეს სცვლის, ღამე-დღესო!
 თუ სიბნელე არ გინახავს,
 ფასს ვერ დახდებ სინათლესო.

ან, მშვიდობით მთვარე
გარსკეჟავთ,
ქებად ქება მნათობ მზესო,
ვაშა, ვაშა ბუნების წესს,
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო.

იადონი ველს გაჰყავის,
 ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,
 ვარდს ნაშს აფრქვევს კლდის ჩანჭქერი,
 მოცეცქობს და მონავარდობს.

ტემპი ნელი სწრაფი ცვალებადი უცვლელი	რიტმი მდორე მარშისებური	მელოდიის სახეობა მღერადი არამღერადი ნახტომისებური	მელოდიის ხასიათი იდუმალი სევდიანი საზეიმო მშვიდი ჯადოსნური	ტემპრი თბილი ხავერდოვანი ჰაეროვანი მკვეთრი მჟღერი დახშული რბილი	სიძლიერე ჩუმი ხმამაღალი ახასიათებს თანდათანობით შღერადობის გაძლიერება. ახასიათებს შღერადობის შესუსტება
---	-------------------------------	---	--	--	---

51. საბავშვო სიმფონია

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

დააკვირდით და აღწერეთ ორი სურათი. მოუსმინეთ ხმების კომპოზიციას.

- შეგიძლიათ მოსმენილი ხმებისა და კოლაჟისგან რაიმე ამბავი გამოიგონოთ?
- ვინ მოჰყვება პირველად თავის გამოგონილ ამბავს?



აქტივობა 2

მიუთითეთ ორი განსხვავებული შინაარსის ტექსტზე და სთხოვეთ ნაიკითხონ. მოასმენინეთ მუსიკალური ფრაგმენტი და სთხოვეთ დაასახელონ ის ტექსტი, რომელსაც მოსმენილი ფრაგმენტი შინაარსობრივად მიესადაგება.

„თომა და ნანიკო მეცადინეობენ“. თომასა და ნანიკოს გუნდის მასწავლებელმა დაგეგმილი ექსკურსია უამინდობის გამო გადადო. ბავშვები სახლში დარჩნენ, გულმოდგინედ მეცადინეობდნენ, თან იმედი ჰქონდათ, რომ მომავალ უქმეებზე გამოიდარებდა და ექსკურსიაზეც წავიდოდნენ.

„ნანიკო, თომა და მეგობრები“. ნანიკო, თომა და მეგობრები გუნდის მასწავლებელმა ექსკურსიაზე წაიყვანა. ბავშვებმა თან წაიღეს სათამაშო მუსიკალური ინსტრუმენტები: ფლეიტა, საყვირი, დაირა, დოლი, სამკუთხედი, კლარნეტი. კარგად მოილხინეს. სათამაშო მუსიკალური საკრავების „ორკესტრანტები“ შეთანხმებულად უკრავდნენ და ტყის ბინადარ ჩიტებს ხმას უწყობდნენ. ბავშვებმა მოლზე დაჭერობანაც ითამაშეს. ხალისიანები და ლაღები დაბრუნდნენ ექსკურსიიდან.



ი. ჰაიდნი, ლ. მოცარტი. „საბავშვო სიმფონია“

აქტივობა 3

განუმარტეთ მოსწავლეებს:

ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტი იოზეფ ჰაიდნის-ლეოპოლდ მოცარტის „საბავშვო სიმფონიიდან“. როგორც ხედავთ, სიმფონიის ავტორად ორ კომპოზიტორს ვწერთ.

არსებობს მოსაზრება, რომ „საბავშვო სიმფონია“, რომლის ავტორობას წლების განმავლობაში ავსტრიელ კომპოზიტორ იოზეფ ჰაიდნს მიაწერდნენ, სინამდვილეში ლეოპოლდ მოცარტს (ვოლფ-განგ ამადეუს მოცარტის მამას) ეკუთვნის. იმასაც ამბობენ, თითქოს სიმფონია უკავშირდებოდა ბერხტესგადენში არსებული სათამაშოების წარმოების ცენტრს (საბავშვო სათამაშოების ქარხანას) და სათამაშოების რეკლამისთვის იყო შექმნილი. სიმფონიაში, საკრავებთან ერთად, მუსიკოსები უკრავენ სათამაშო საყვირებზე, ჩიტებზე, სამკუთხედებზე, დოლებზე.



ლეოპოლდ მოცარტი



იოზეფ ჰაიდნი

ნახეთ ვიდეოჩანაწერი და მოისმინეთ სიმფონიის I ნაწილი.

სთხოვეთ მოსწავლეებს უპასუხონ კითხვებს:

- რამდენი „სათამაშო“ ჩართული ამ ნაწარმოების შესრულებაში?
- რომელი შემადგენლობა ასრულებს: ორკესტრი, გუნდი, დუეტი, კვარტეტი?

მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს და რვეულში შემოხაზეთ იმ საკრავების ფოტოები, რომლებმაც მიიქცია თქვენი ყურადღება.

- რომელი საკრავი ქმნის მოწოდების ინტონაციას?



აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს: მინდა, ერთი ახალი ამბავი გითხრათ. თომასა და ნანიკოს დაიკო შეეძინათ. გახარებული ბავშვები თავიანთ საქმიანობებს რომ მოითავებდნენ, პატარა დაიკოს ეთამაშებოდნენ, დედას ეხმარებოდნენ და ზოგჯერ აძინებდნენ კიდეც პატარას. დააკვირდით სურათებს, აღწერეთ და შეეცადეთ გამოიცნოთ, როგორ ატარებენ დღეს ბავშვები. დანომრეთ სურათები მოქმედებების თანამიმდევრობით (დილიდან დაღამებამდე). მოუსმინეთ ფრაგმენტებს და სურათებთან ხაზებით დააკავშირეთ. უპასუხეთ კითხვებს და შეაფასეთ ცხრილი.

- ჩანაწერებში მხოლოდ მუსიკალური ფრაგმენტები ჟღერდა თუ ხმებიც?
- მოსმენილი ჩანაწერებიდან რომელი იყო ყველაზე ხალისიანი?

ინფორმაცია მასწავლებელს:

კომპოზიციებში ჩანაწერებთან ერთად ჟღერს ფრაგმენტები შემდეგი ნაწარმოებებიდან:

- ლ. ვ. ბეთჰოვენი. „გერმანული ცეკვა“
- ლ. ვ. ბეთჰოვენი. „კონტრდანსი“, I ფრაგმენტი
- ბ. ფლისი. „დაიძინე, ჩემო უფლისწულო“
- ლ. ვ. ბეთჰოვენი. „კონტრდანსი“, II ფრაგმენტი



ნაიკითხეთ ცხრილში ნაწარმოების ქვემოთ გამოწერილი მახასიათებლები და შემოხაზეთ.

მუსიკის მახასიათებლები	მუსიკალური ფრაგმენტების სახელწოდებები			
	ლ. ვ. ბეთჰოვენი „გერმანული ცეკვა“	ლ. ვ. ბეთჰოვენი „კონტრდანსი“ ფრაგმენტი 1.	ბ. ფლისი „დაიძინე, ჩემო უფლისწულო“	ლ. ვ. ბეთჰოვენი „კონტრდანსი“, ფრაგმენტი 2.
მელოდიის სახეობა	• მღერადი • არამღერადი	• ტალღისებური • მღერადი • ნახტომისებური	• მღერადი • არამღერადი	• ნახტომისებური • ტალღისებური • მღერადი
რიტმი	• ტეხილი • მარშისებური • საცეკვაო	• განმეორებადი • არაგანმეორე- ბადი	• მდორე • მოძრავი	• თანაბარი • არათანაბარი
ტემპი	• ცვალებადი • არაცვალებადი	• ნელი • სწრაფი	• აჩქარებით • შენელებით	• ზომიერი • ნელი • სწრაფი

ინფორმაცია მასწავლებელს!

ბერნარდ ფლისის სიმღერა „დაიძინე, ჩემო უფლისწულო“ საოცრად მღერადი, მელოდიური იავენანაა. ბავშვების დასაძინებელი სიმღერა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ბერნარდ ფლისის „ნანას“ დიდხანს შეცდომით მოცარტს მიაწერდნენ. საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს მუსიკა ბერნარდ ფლისმა შექმნა სპექტაკლისთვის „ესთერი“.



ბ. ფლისი. „დაიძინე, ჩემო უფლისწულო“

აქტივობა 2

მოასმენინეთ ფრაგმენტები ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „კონტრდანსებიდან“ და განუმარტეთ ბავშვებს: კონტრდანსი ინგლისური ხალხური ცეკვაა. ამ ცეკვისგან წარმოიშვა სხვა ინგლისური და ნაწილობრივ ფრანგული ცეკვებიც. კომპოზიტორები ხშირად თავიანთ ნაწარმოებებში იყენებენ ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ინტონაციებს.

- გაიხსენეთ, სად მოგისმენიათ აქ მოცემული ფრაგმენტები?
- იქნებ ჩვენს გაკვეთილზე? რა ემოციას უკავშირდებოდა?



აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს: კვლავ დააკვირდით ფოტოებს და აღწერეთ. მოუსმინეთ ფრაგმენტს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „ბაგატელი“¹ და ინტონაციის მიხედვით დააკავშირეთ ერთ-ერთ ნახატთან.



ლ. ვ. ბეთჰოვენი. „ბაგატელი“

აქტივობა 4

მოუსმინეთ ფრაგმენტებს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოებიდან. კვლავ დააკვირდით სურათს.

- დღის რა ეპიზოდია აღწერილი?
- დილა, შუადღე თუ საღამო?

იმსჯელეთ:

აქ მოცემული რომელი პერსონაჟების/პერსონაჟის განწყობა შეიძლება დავაკავშიროთ მოცემულ მუსიკალურ ფრაგმენტებთან და რომელი მუსიკალური ფრაგმენტის განწყობა არ უკავშირდება ნახატის არცერთ დეტალს?

¹ **ბაგატელი** ფრანგული სიტყვაა და პატარა, დახვეწილ, მსუბუქ ნივთს ნიშნავს. მუსიკაში ეს არის პატარა პიესა.

- რის მიხედვით დაუკავშირეთ მოსმენილი ფრაგმენტი სურათს?
- ისეთივე მშვიდი და ლალი იყო, როგორიც ნახატის განწყობა?



ვ. ა. მოცარტი. სონატა №15 ვ. ა. მოცარტი. სონატა №14

54. დღის ყველაზე კარგი ეპიზოდი

აქტივობა 1

ჰკითხეთ ბავშვებს:

დღის რომელ მონაკვეთში გრძნობენ ყველაზე კარგად თავს:

- მაშინ, როდესაც თამაშობენ?
- როდესაც გაკვეთილების სწავლას დაასრულებენ?
- როდესაც სკოლაში არიან?
- მაშინ, როდესაც დასაძინებლად ემზადებიან?
- სადილის ან საუზმის დროს?
- შემდეგ სთხოვეთ დააკვირდნენ სანოტო ტექსტს, მოუსმინონ აუდიოჩანაწერს და აჰყვენ სიმღერით.
- რომელ სავარჯიშოში უფრო მეტი ბგერაა?

მას შემდეგ, რაც იმღერებენ, სთხოვეთ ორი შეთავაზებული სახელწოდებიდან თითოეულს მორგონ შესაბამისი და სათაურისთვის გამოყოფილ გრაფაში ჩაწერონ.



თეკლა გარბოდა სწრაფად, ვერ ვენოდი.

მე და ბებო ვსეირნობთ.

- დღის რომელ ეპიზოდს შეიძლება მივუსადაგოთ ეს ორი სავარჯიშო?

აქტივობა 2

აღწერეთ სურათები და დაადგინეთ:

- რომელ სურათშია გადმოცემული ყველაზე დადებითი ემოცია?
- რომელი პერიოდია ბავშვებისთვის ყველაზე სასიამოვნო?

მოასმენინეთ ბავშვებს ჩანაწერები არეული თანმიმდევრებით და მიმართეთ: – მოუსმინეთ ჩანაწერებს და მოცემულ ნახატებთან ხაზებით დააკავშირეთ:



ეს ანაა



აქაც ანაა



ეს ნანიკოა



აქ ანა, თომა და ნანიკო არიან



ვ. ა. მოცარტი. „ექვსი გერმანული ცეკვა“, ლენდლერი



ი. ბრამსი. „ნანა“



ს. კახიძე. „იავნანა“



ბავშვების დიალოგი

ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტებისგან შექმნილ კომპოზიციაში გამოყენებულია ფრაგმენტები იოჰანეს ბრამსის ძილისპირული „ნანადან“ და ჯანსუღ კახიძის მუსიკა ფილმისთვის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ – „იავნანა“. მოუსმინეთ ამ ნაწარმოებებს და მიღებული შთაბეჭდილებით შექმენით ნახატი, ან გამოიგონეთ რაიმე ამბავი.



იოჰანეს ბრამსი გერმანელი კომპოზიტორია. ბრამსის „ნანა“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია მსოფლიოში.



ვ. კახიძე



ჯ. კახიძე


ვახტანგ კახიძე ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტია. ვახტანგ კახიძემ ჯანსუღ კახიძესთან ერთად შექმნა მუსიკა ფილმისთვის „იავნანამ რა ჰქმნა?!“.

აქტივობა 1

დააკვირდით სურათებს. აღწერეთ, დაარქვით სახელები და მიუწერეთ ქვემოთ. შემდეგ დანობრეთ რიგითობით. მოუსმინეთ ფრაგმენტებს. დაადგინეთ, რომელ სურათს რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეესაბამება.

რეკომენდაცია მასწავლებელს: მოცემული მუსიკალური ფრაგმენტები არეული თანმიმდევრობით მოასმენინეთ და მიმართეთ ბავშვებს: – დააწყვილეთ სურათები და მუსიკალური ფრაგმენტები. მაგ.: სურათი 1 = (ა) ფრაგმენტს.

შეავსეთ გრაფა.



1 = ა; 2 = ბ; ა.შ.

მიმართეთ მოსწავლეებს: დაასაბუთეთ, რა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით დააკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტები და სურათები ერთმანეთთან?

ტემპი: ნელი, სწრაფი, ცვალებადი, უცვლელი.

რიტმი: მდორე, მკვეთრი, მარშისებური, თანაბარი, არათანაბარი.

მელოდია: მღერადი, არამღერადი, რბილი ტალღისებური, ნახტომისებური მოქნილი, მდორე.

ტემბრი: თბილი, მსუყე, ხავერდოვანი, ჰაეროვანი, მძიმე, ხისტი, მკვეთრი, მკვეთრი, მჟღერი, დახშული.

სიძლიერე: ჩუმი, ხმამაღალი, ახასიათებს ჟღერადობის თანდათანობით გაძლიერება, ახასიათებს ჟღერადობის შესუსტება.

მაგ., დაძინების სცენასთან დავაკავშირე ფრაგმენტი, რომელსაც მღერადი, მშვიდი მელოდია ჰქონდა. ამ მელოდიამ „იავნანა“ მომაგონა.

ასე იმსჯელეთ ფრაგმენტების შესახებ.

აქტივობა 2

ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტებისგან შექმნილ კომპოზიციაში გამოყენებულია ნაწყვეტები:

ს. პროკოფიევისა და ს. რაიხის ნაწარმოებებიდან მოუსმინეთ ფრაგმენტებს.



ს. პროკოფიევი. „დილა“
საორკესტრო სიუიტიდან „ზაფხულის დღე“

გაიხსენეთ კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი. მან სპეციალურად ბავშვებისთვის დაწერა სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“, საორკესტრო სიუიტი „ზაფხულის დღე“, საფორტეპიანო პიესების ციკლი „საბავშვო მუსიკა“, რომელშიც 12 პატარა პიესაა გაერთიანებული, მათ შორისაა „დაჭეობანა“, „ძიძის ზღაპარი“, „მარში“ და სხვა. მოგვიანებით ამ კრებულში შემავალი შვიდი პიესისგან შექმნა საორკესტრო სიუიტი „ზაფხულის დღე“.

სტივ რაიხი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორია.



ს. რაიხი. „ოქტეტი რვა ხაზი“,
II ფრაგმენტი

აქტივობა 3

მოუსმინეთ ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტებისგან შედგენილ კომპოზიციებს, წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და ამის მიხედვით დაადგინეთ: რომელი ჩანაწერი აღწერს ნანიკოს დღის განრიგს და რომელი თომას დღის განრიგს?

თომასა და ნანიკოს დღის განრიგი

ნანიკოს და თომას შთაბეჭდილებებით სავსე დღე ელოდებათ. დილით სკოლაში წავლენ, დაჭერობანას თამაშსაც მოასწრებენ, შემდეგ სკოლის გაკვეთილებს მოამზადებენ, წრეებზე წავლენ. ნანიკო სამეფლისო ცეკვებს სწავლობს, ასევე ბავშვთა გუნდში მღერის, სადაც ქართულ ხალხურ სიმღერას ასწავლიან. თომა ქართული ხალხური ცეკვის წრეზე დადის. საღამოს ყველანი ერთად სუპერმარკეტშიც შეივლიან.



წაიკითხეთ მუსიკის მახასიათებლები. ცარიელ გრაფაში აღწერეთ ის მთავარი მუსიკალური ფრაგმენტი, რის მიხედვითაც განსაზღვრეთ, რომ ეს კოლაჟი თომას დღის განრიგს აღწერს.

დაიწყეთ ასე: მე დავადგინე, რომ ეს კოლაჟი თომას განრიგს აღწერს, რადგან...

მუსიკისა და ბგერის მახასიათებელი	მთავარი მუსიკალური ფრაგმენტი – 1
ტემპი: სწრაფი	
რიტმი: ტეხილი, მკვეთრი	
ტემბრი: ჟღერადი	
მელოდიის ხასიათი: საცეკვაო ენერგიული	

ნაიკითხეთ მუსიკის მახასიათებლები. ცარიელ გრაფაში აღწერეთ ის მთავარი მუსიკალური ფრაგმენტი, რის მიხედვითაც განსაზღვრეთ, რომ ეს კოლაჟი ნანიკოს დღის განრიგს აღწერს.

დაიწყეთ ასე: მე დავადგინე, რომ ეს კოლაჟი ნანიკოს განრიგს აღწერს, რადგან...

მუსიკისა და ბგერის მახასიათებელი	მთავარი მუსიკალური ფრაგმენტი – 2
ტემპი: ზომიერი	
რიტმი: თანაბარი	
ტემბრი: წკრიალა, ნათელი	
მელოდიის ხასიათი: ხალისიანი	

უპასუხეთ კითხვებს:

- ეს ფრაგმენტები შინაარსის აღსაქმნელად ყველაზე მნიშვნელოვანია?

როგორც გახსოვთ, მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვთ თავისი დრო. ერთი ნაწარმოები შეიძლება ჟღერდეს და აზრი გადმოიცემოდეს მცირე დროის განმავლობაში. სხვა ნაწარმოებში კი აზრის გადმოცემა ხანგრძლივად დიდი დროის განმავლობაში ხდება. ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, განვითარება (შუა ეპიზოდი) და დასასრული. ხშირად ნაწარმოების შუა ეპიზოდში ხდება აზრის, იდეის ყველაზე მწვავედ გადმოცემა, რასაც მუსიკოსებმა კულმინაცია დაარქვეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსიკალურ ნაწარმოებში განვითარების ყველაზე დაძაბულ მომენტს/ადგილს **კულმინაცია** ჰქვია.

განმეორებით მოუსმინეთ რომელიმე კომპოზიციას (თომას ან ნანიკოს დღის განრიგს) და დაადგინეთ:

- რომელი ადგილი იყო ამ კომპოზიციის კულმინაცია?

კიდევ ერთხელ გაშიფრეთ კომპოზიციის ის ეპიზოდი, რომელმაც გაპოვნინათ სხვაობა ამ ორ კომპოზიციას შორის.

აქტივობა 1

აქტივობის აღწერა

დაიწყეთ გაკვეთილი სახალისო აქტივობით.

მოსწავლეები წრეს შეკრავენ. კლასი ირჩევს ერთ მოსწავლეს, რომელიც მოიფიქრებს საცეკვაო მოძრაობებს. ეს მოძრაობები ერთმანეთის მსგავსი არ უნდა იყოს, მოსწავლე თავად უნდა ცვლიდეს.

ერთი მოსწავლე გადის კლასიდან, მან არ უნდა ადევნოს თვალი, თუ ვის შეარჩევნებთ მთავარ ქორეოგრაფად ჯგუფში. ყველა ბავშვი აკვირდება მთავარი ქორეოგრაფის მიერ შესრულებულ მოძრაობებს და იმეორებენ, როდესაც ის ცვლის მოძრაობას, ბავშვები კვლავ იმეორებენ მის მოძრაობას. კლასიდან გასული მოსწავლე შემოდის, დგება წრეში და აკვირდება მეგობრებს. მან უნდა ამოიცნოს მთავარი ქორეოგრაფი (ვინ იყო მთავარი ქორეოგრაფი). ასე გრძელდება ეს აქტივობა...

ასეთი ტიპის აქტივობას შემოაქვს ხალისი, ყველა მოსწავლე ჩართულია, უსმენენ მუსიკას, გრძნობენ რიტმს, უკავშირებენ მოძრაობებს, აკვირდებიან ერთმანეთს, ახდენენ ყურადღების კონცენტრაციას.

ავტორთა ჯგუფი მასწავლებელს სთავაზობს ორ განსხვავებულ ფრაგმენტს. მასწავლებელმა თავად უნდა შეარჩიოს ის ფრაგმენტი, რომელზეც მოსწავლეები ააგებენ აქტივობას. ასევე მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს რაიმე მუსიკალური ფრაგმენტი.



1. Earth, Wind & Fire - Boogie Wonderland

აქტივობა 2

ბედნიერი დღე, სიურპრიზებით დაწყებული დღე, ყველაზე მეგობრული დღე თუ სხვას მოიფიქრებთ?

დააკვირდით სურათებს და აღწერეთ, შემდეგ კი ხაზებით დაუკავშირეთ მოცემულ სიტყვებს.



გასეირნება



მუზეუმში



სიურპრიზი



კონცერტზე
დასწრება



ექსკურსიაზე

აქტივობა 3

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ სურათებს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც გაჟღერდა ჩანაწერი. სწორი ნუმერაცია ჩანერეთ ცარიელ უჯრებში.



დ. შოსტაკოვიჩი. „თოჯინების ცეკვები“, „ვალსი“



გ. კუხიანიძე. „დავაგროვოთ ლიმონები“



პ. ჩაიკოვსკი. „ტრეპაკი“ ბალეტიდან „მაცნატუნა“



ი. ს. ბახი. „მენუეტი“



ო. თაქთაქიშვილი. „სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის“

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ამოიცანით ის ფრაგმენტი, რომელიც ექსკურსიაზე გატარებულ დღეს მოგაგონებდათ?
- რამ მიიქცია თქვენი ყურადღება, მოძრაობა რიტმმა, სწრაფმა ტემპმა თუ მოქნილმა და ხალისიანმა მელოდიამ?
- რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ყველაზე ენერგიულად?
- რომელ დღეს დაუკავშირეთ მშვიდი მელოდია?
- რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ყველაზე სწრაფ ტემპში?
- რომელი ფრაგმენტი მოგეწონათ? ახსენით, რატომ?

58. ხალისიანი მუსიკალური ფრაგმენტი

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:



მოდით, ყველამ ერთად შევასრულოთ სახალისო აქტივობა, რომელიც მოგვაცოცხლებს ერთ განსაკუთრებულ დღეს.

აქტივობა 2

ახლა ნახავთ სურათებს, რომლებზე გამოსახული ბავშვები სხვადასხვა საქმით არიან დაკავებული. დააკვირდით ამ სურათებს და აღწერეთ. შემდეგ მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. თუ მუსიკალური ფრაგმენტი ხალისიანია, წრე გააფერადეთ წითლად, ხოლო თუ მოწყენილია – ლურჯად. შემოთავაზებული ფრაგმენტებიდან ერთი ზედმეტი. თუ ამოიცანით, გადახაზეთ.



ფ. ტარეგა. „ვალსი“



პ. ჩაიკოვსკი. „ოქტომბერი“



ო. პიტერსონი. კომპოზიცია



ფ. უილიამსი. „ბედნიერი“




- რა განწყობის მუსიკა შეურჩიეთ პირველ სურათს?
- რით ამოიცანით განწყობა, რიტმით თუ მელოდიით?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს აწყვებით ტაშით?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტის რიტმია უფრო სახალისო და მოძრავი?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუხადავით იმ განცდას, რაც ძალიან ბევრი და მოსაწყენი მეცადინეობის შედეგად გეუფლებათ?
- აბა, მოიფიქრეთ, შესტეებით როგორ გადმოსცემდით იმ მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელიც ენერგიულად ჟღერდა?

59. დილა

აქტივობა 1


ხშირად დილით მოსმენილი ხმები მთელი დღის განწყობას განაპირობებს. დღის განმავლობაში საკმაოდ ბევრ ხმას ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ რამდენად წარმოგვიდგენია ჩვენი დღე ამ ხმების გარეშე? შეიძლება ხმებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით დღის განრიგის აღწერა? სწორედ ამ ხმებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით ვისწავლით ჩვენი დღის აღწერას.

- რა თანამიმდევრობით დაალაგებდით დილის ხმებს? ჩაწერეთ ხმის ნომერი სათანადო უჯრაში.



აქტივობა 2

თქვენ დაალაგეთ გარკვეული თანამიმდევრობით ოთხი ხმა. მოუსმინეთ კიდეც ხმებს და მოიფიქრეთ, რომელი იქნება მათგან მეხუთე. ჩაწერეთ ციფრი 5 სათანადო უჯრაში.



- რისი ხმა შეარჩიეთ?
- როგორ ფიქრობთ, ხმებით შეიძლება მიხვდეთ, როგორი დილაა, მხიარული თუ მონყენილი? მოდი, ვცადოთ.

აქტივობა 3

- ალბათ უკვე მიხვდით, რომ ყველა ეს ხმა შეიძლება მუსიკალური ხერხებითაც გადმოიცეს. მოუსმინეთ ნაცნობ ხმას. რისი ხმაა ეს?

ახლა კი მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გადმოსცემს იმ ხმას, რომელიც მოისმინეთ? შემოხაზეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი:



მ. რაველი. „უნდინა“ ნ. გაბუნია. „საღამო“ კომპოზიცია „მზის ამოსვლა“

- რომელი ნომერი შემოხაზეთ?

უპასუხეთ კითხვებს:

- რა დაგეხმარათ ნომრის შერჩევაში, რიტმი თუ მელოდია?
- როგორ ფიქრობთ, ეს მელოდია მხიარულია თუ მონყენილი?
- დღის რომელ მონაკვეთს დაუკავშირებდით თქვენ მიერ შემოხაზულ მუსიკალურ ფრაგმენტს, დილას, შუადღეს თუ საღამოს?

- დააკვირდით ცხრილებს. რომელ ცხრილსა და რომელ უჯრაში ჩაწერდით ამ მუსიკალური ფრაგმენტების ნომერს?

60-61. პრეზენტაცია

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა


დააკვირდით არეულად დალაგებულ სურათებს, დანომრეთ და დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით. მოიფიქრეთ სახელი დღის თითოეული მონაკვეთისთვის.

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ფრაგმენტის ციფრობრივი და სურათების ანბანური აღნიშვნა მიუსადაგეთ ერთმანეთს და შეავსეთ ცხრილი, შემდეგ დაწერეთ პატარა ამბავი და წარუდგინეთ თანაკლასელებს.

საკითხი: მუსიკით თხრობა

ნაბიჯი 1

დააკვირდით სურათებს და მოიფიქრეთ სახელი დღის თითოეული მონაკვეთისთვის. მაგ.: საუზმე, გასეირნება და ა.შ. სახელწოდება დაწერეთ შესაბამისი სურათის ქვეშ.



ნაბიჯი 2

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და განწყობის მიხედვით სურათებთან დააკავშირეთ. ფრაგმენტის ციფრობრივი და სურათების ანბანური აღნიშვნა ჩაწერეთ ცხრილში.



ე. ენგლუნდი.
სიმფონია N4.
I ნაწილი



ს. პროკოფიევი.
„დილა“ საბავშვო
საორკესტრო
სიუიტიდან
„ზაფხულის დღე“



ი. ს. ბახი.
პრელუდია
და ფუგა
დო მაჟორი



ნ. გაბუნია.
„მოსწავლის
რვეული“,
„სკოლისაკენ“



ლ. პრიმა.
„სინგ სინგ
სინგ“



ი. შტრაუსი
(მამა).
„რადეცკის
მარში“

სურათების ანბანური აღნიშვნა	ფრაგმენტების ციფრობრივი აღნიშვნა

ნაბიჯი 3

განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს. უპასუხეთ კითხვებს. მოცმულ უჯრაში ჩაწერეთ შე-
საბამისი ფრაგმენტის ნომერი.

- მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი იყო ყველაზე ხალისიანი?
- ყველაზე მშვიდი?
- რომელ ფრაგმენტში იქცევს ყურადბას მღერადი ტალღოვანი მელოდია?
- რომელი ფრაგმენტის ჟღერადობა გამოირჩევა განმეორებადი რიტმით?
- რომელი ფრაგმენტის ჟღერადობა იქცევს ყურადბას მაჭახე ტემპრით?

ნაბიჯი 4

მოუსმინეთ კოლაჟს. ამის მიხედვით გამოიგონეთ რაიმე ამბავი და ჩაწერეთ ცარიელ ჩარჩოში.
მოიფიქრეთ სახელწოდება, როგორ სახელს დაარქმევდით ასეთ დღეს?

ლექსიკონი

ა

ადაჯიო (იტალ. *adagio*) – მუსიკალური ნაწარმოების ნელი ტემპი.

აკაპელა (იტალ. *acappella*) – სიმღერა თანხლების გარეშე.

აკომპანემენტი – ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდიის მუსიკალური თანხლება.

აკორდი – ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა.

ალეგრეტო (იტალ. *allegretto*) – მუსიკალური ნაწარმოების ცოცხალი ტემპი, მაგრამ შედარებით ნელი, ვიდრე ალეგრო.

ალეგრო (იტალ. *allegro*) – მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი.

ალტერაცია (ლათ. *alteratio* — შეცვლა) – ბგერის ამაღლება ან დადაბლება ერთი ან ნახევარი ტონით ბგერის სახელწოდების შეუცვლელად.

ალტი – ქალის ან ბავშვის სასიმღერო დაბალი ხმა.

ანდანტე (იტალ. *andante*) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, მშვიდი ტემპი.

აპლოდისმენტი (ფრანგ. *plaudere*) – მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით. ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა წარმოდგენაზე (თეატრში, კონცერტზე, ცირკში). ხშირად აპლოდისმენტებს თან ახლავს შეძახილები (ოვაციები) „ბრავო“, „ბრავისიმო“, რაც იტალიურად ნიშნავს „შესანიშნავია“.

აპოთეოზი – რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება; სპექტაკლის ან კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა.

აფიშა – მიზნად ისახავს, შეატყობინოს მაყურებელს, თუ სად, როდის, რა სანახაობა გაიმართება. არსებობს აფიშა-პროგრამები და ე.წ. მოკლე ფურცლები.

აჩელერანდო (იტალ. *accelerando*) – მუსიკაში ტემპის აჩქარება.

ანონსი (ფრანგ. *Annonce* – წინასწარი შეტყობინება) – წინასწარი შეტყობინება მომავალი სპექტაკლის, კონცერტის, სატელევიზიო გადაცემის შესახებ.

ბ

ბაგატელი (ფრანგ. *Bagatelle* – წვრილმანი, პატარა ნივთი) – პატარა მუსიკალური პიესა ფორტეპიანოსთვის.

ბალეტი – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი გმირები ცეკვავენ ორკესტრის თანხლებით და ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს.

ბანი – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

ბარიტონი – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.

ბეკარი – ნიშანი, რომელიც აბათილებს დიეზს და ბემოლს.

ბემოლი – ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერას ნახევარი ტონით.

ბის! – მაყურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს გარკვეული ნომრის გამოკრების თხოვნას.

გ

გამა – ოქტავის ფარგლებში ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანამიმდევრობა.

გასტროლი (გერმ. *gast* – სტუმარი, *rolle* – როლი ანუ „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.

გლისანდო (იტალ. *glissando* – სრიალი) ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან ტალღისებურ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე.

გუნდი – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა).

დ

დეკორაცია (ლათ. decoratio – ვრთავ) – სცენის გაფორმება ფერწერის, გრაფიკისა და სხვა საშუალებებით.

დიეზი – ნიშანი, რომელიც ბგერას ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.

დიმინუენდო (იტალ. diminuendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან შესუსტება.

დირიჟორი – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.

დისკანტი – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.

დუეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ე

ეტიუდი – პიესა, რომლის შესწავლისა და შესრულების მიზანი შემსრულებლის დაოსტატებაა.

ვ

ვალსი – ძველებური გერმანულ-ავსტრიული წყვილთა ცეკვა, რომელიც თანამედროვეობაშიც პოპულარულია. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4, იშვიათად, 3/8 ან 6/8.

ვარიაცია (ლათ. variatio – სახეცვლა) – პირველად გადმოცემული მასალის სახეშეცვლილი გამეორება.

ვირტუოზი – ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას.

ვოკალური მუსიკა – ადამიანის ხმით შესრულებული მუსიკა.

ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკა, რომელიც ადამიანის ხმითა და მუსიკალური საკრავებით სრულდება.

ი

იმიტირება — მიბაძვა. პოლიფონიურ მუსიკაში მუსიკალური აზრის გამეორება სხვადასხვა ხმაში.

ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

ინტერვალი (ლათ. Intervallum – მანძილი, შუალედი) – მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი – შემავალი საფეხურების რაოდენობას.

ინტონაცია – მუსიკალური ბგერების თანამიმდევრული ორგანიზაცია.

იოდლი – შვეიცარიულ სიმღერებში „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმა.

კ

კანონი (ბერძნ. kanon – წესი) – პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკის სახეობაა, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში დაგვიანებით იწყება. კანონი შეიძლება იყოს ორხმიანი, სამხმიანი და მეტხმიანი.

კანტატა (იტალ. cantare – სიმღერა) – რამდენიმე ნომრისგან შემდგარი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის, უფრო მცირე ზომის, ვიდრე ორატორია. შინაარსის მიხედვით, მკაფიოდ განასხვავებენ რელიგიურ და საერო კანტატებს.

კარნავალი – სახალხო დღესასწაული ნიღბებით.

კილო – მუსიკალურ ბგერებს შორის გარკვეული დამოკიდებულება, ურთიერთკავშირი.

კვარტეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ოთხი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

კლავიატურა – თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა კლავიშიან საკრავებზე (ფორტეპიანო, როიალი, კლავესინი და ა. შ.).

კოლაჟი – საკუთარი ან სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტისგან აწყობილი ერთგვარი კომპოზიცია. კოლაჟის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხმითაც.

კომპოზიტორი – ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის.

კონკურსი – სხვადასხვა დარგში გამართული შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა.

კონტრალტო (ან ალტი) – ქალის დაბალი სასიმღერო ხმა.

კონტრაპუნქტი (ნიშნავს ნოტი ნოტის წინ, წერტილი წერტილის წინ) – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ართდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

კონტრდანსი – ინგლისური ხალხური ცეკვა. ამ ცეკვიდან წარმოიშვა სხვა ინგლისური და, ნაწილობრივ, ფრანგული ცეკვებიც.

კონცერტი (იტალ. concerto – შეთანხმება; ლათ. concertare – შეჯიბრება) – 1. მუსიკის სახალხო შესრულება. 2. დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ერთ ან რამდენიმე სოლო ინსტრუმენტზე, ორკესტრის თანხლებით.

კრეშენდო (იტალ. crescendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან გაძლიერება.

კრიმინალური – დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებით, ორნამენტიკით.

კულმინაცია (ლათ. culmen – მწვერვალი) – მუსიკაში ნაწარმოების ემოციურად ყველაზე მნიშვნელოვანი, უმაღლესი დაძაბულობის მომენტი, სადაც იდეის გადმოცემის სიმძაფრე მწვერვალს აღწევს.

ლ

ლაიტმოტივი (გერმ. leitmotiv – წამყვანი მოტივი) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობას ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას, დროდადრო მეორდება. გვხვდება ოპერებში, ბალეტებსა და პროგრამულ მუსიკაში.

ლეგატო (იტალ. legato) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

ლეზგინკა – კავკასიელი ხალხების – ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვა.

ლეიბლი (ინგლ. Label – ქაღალდის ეტიკეტი) – ხმის ჩამწერი ლეიბლი (Record label), ან უბრალოდ, ლეიბლი – ამა თუ იმ კომპანიის მიერ შექმნილი ბრენდი ან საგაფრო ნიშანი, რომელიც აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოებით, გავრცელებითა და პოპულარიზაციით არის დაკავებული.

ლენდლერი – ავსტრიულ-გერმანული ხალხური წრიული ცეკვა სამწილად ზომაში.

ლოტბარი – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

მ

მაზურკა – პოლონური ცეკვა. ცეკვის მუსიკალური ზომია 3/4.

მაჟორი (ფრანგ. majeur – დიდი) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხნე, მხიარული ელფერი.

მარში (ფრანგ. marche – სიარული, წინსვლა) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სამხედრო, სპორტული და სამგლოვიარო მარშები.

მელოდია (ბერძნ. melodia – მღერა, ჰანგი) – ბგერების თანამიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

მენუეტი – ძველებური ფრანგული ცეკვა სამწილად ზომაში.

მეტრი (ბერძნ. metron – ზომა) – რიტმულ სურათში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

მეცო სოპრანო – ქალის საშუალო სიმაღლის ხმა.

მიმიკა – ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს. სახის ნაკვეთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვხატოთ სხვადასხვა განცდა – სიხარული, სევდა და ა.შ.

მინორი (ფრანგ. mineur – პატარა) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი, სევდიანი ელფერი.

მოდერატო (იტალ. moderato) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, თავშეკავებული ტემპი, ანდანტესა და ალევროს შორის.

მუსიკალური თემა – მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

6

ნაწარმოები – ნებისმიერი მუსიკალური თხზულება.

ნოტები – ბგერის სიმაღლისა და ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ნიშნები.

ნევმები – მუსიკალური ბგერების აღმნიშვნელი ძველებური ნიშნები. აჩვენებდნენ მელოდიის მიმართულებას, არ იყო განსაზღვრული არც ბგერის სიმაღლე, არც მისი გაჟღერების ზუსტი დრო.

ო

ოპერა – მუსიკალური სპექტაკლი, სადაც მომღერლები, ორკესტრის თანხლებით, შინაარსს სიმღერით გადმოსცემენ. ოპერაში შესაძლებელია საცეკვაო ნომრებიც იყოს ჩართული.

ორატორია (ლათ. oratorium – სამლოცველო) – ძირითადად, რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკრავზე შეთანხმებულად უკრავს.

ოსტინატო (იტალ. ostinato – დაჟინებით, ჯიუტად) – რამდენიმე ბგერის ან რიტმული ფიგურაციის მრავალჯერადი გამეორება.

პ

პანტომიმა (ბერძნ. pantomimos – რაიმეს მიბადვით განსახიერება) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

პარტია – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დაწერილი მუსიკა.

პაუზა – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით. იზომება ისევე, როგორც ცალკეული ბგერის გრძლიობა.

პარტიტურა – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერი, რომელიც შეიცავს ყველა ინსტრუმენტული თუ ვოკალური პარტიის სანოტო ტექსტს.

პენტატონიკა – ხუთი ბგერისაგან შემდგარი კილო ნახევარტონების გარეშე.

პიანო (იტალ. piano) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

პიესა – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

პიქტოგრამა (ლათ. pictus – დახატული, ბერძნ. grapho – ვწერ) – პირობითი ნიშანი, ნახატი.

პიციკატო (იტალ. pizzicato) – სიმებიან-ხეშიანი საკრავების სიმებზე თითის გამოყენებით დაკვრა.

პოლკა – ჩეხური ნაციონალური ცეკვა, რომელიც წყვილებში სრულდება. ცეკვის მუსიკალური ზომაა 2/4.

პოლონეზი – პოლონური წარმოშობის საზეიმო ცეკვა-სვლა, სრულდება ზომიერ ტემპში. პოლონეზით, ამაღლებული და სადღესასწაულო განწყობის შექმნისათვის, როგორც წესი, იწყებოდა მეჯლისები.

პოპური (ფრანგ. pot-pourri – სხვადასხვა საჭმლის შერევა) – სხვადასხვა პოპულარული მუსიკალური თემებიდან შემდგარი მუსიკალური პიესა.

პოლიფონია – მრავალხმიანი მუსიკის ნაირსახეობაა, რომელიც აგებულია დამოუკიდებელი, თანაბარმნიშვნელოვანი ხმების ერთდროულ ჟღერადობაზე.

პორტამენტო (იტალ. portamento – გადატანა) – შესრულების ხერხი ლეგატოსა და სტაკატოს შორის.

პროგრამული მუსიკა – ინსტრუმენტული მუსიკა, რომელსაც აქვს „პროგრამა“, ე.ი. კონკრეტული სიუჟეტი.

პუბლიკა – ხალხი, რომელიც კონცერტს ან რაიმე წარმოდგენას ესწრება.

ჟ

ჟანრი – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა.

ჟესტიკულაცია – არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმაა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

რ

რაგა – კლასიკური ინდური მუსიკის სახეობა.

რეგისტრი (ლათ. registrum_ სია) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჯგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

რიტენუტო (იტალ. ritenuto)) – მუსიკის ტემპის შენელება.

რიტმი – მუსიკის ორგანიზაცია დროში; ბგერების გრძლიობების თანამიმდევრობა.

რონდო – (ფრანგ. – wre) – მუსიკალური ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მთავარი უცვლელი (რეფრენი) და ახალ-ახალი თემების (ეპიზოდები) მონაცვლეობაზე.

ს

სამხმოვანება – ტერციებად დალაგებული, სამი სხვადასხვა ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

სერენადა – სატროფოსადმი მიძღვნილი სიმღერა, რომელსაც გამთენიისას, შეყვარებული მამაკაცი თავის რჩეულს ფანჯარასთან უმღერის. ტრადიციულად, სერენადებს, ესპანეთსა და იტალიაში, გიტარის თანხლებით ასრულებდნენ.

სიმფონია (ბერძნ. symphonia – შეთანხმება, შეწყობა, კეთილხმოვანება) – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. სიმფონია რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

სიმღერა – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან.

სინკოპა – აქცენტის გადატანა ძლიერი დროიდან სუსტ დროზე.

სიუიტა (ფრანგ. suite – თანამიმდევრობა) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე კონტრასტულ ნაწილს ან პიესას მოიცავს.

სიუჟეტური მუსიკა – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე ასახავს პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტეპიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით. ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა.შ.

სკეტი – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმა.

სოლისტი (იტალ. solo – ერთი, ერთადერთი) – შემსრულებელი, რომელიც ნაწარმოებს დამოუკიდებლად ასრულებს ან ნაწარმოებში სოლო პარტიის შემსრულებელი; მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი.

სონატა – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც იწერება ფორტეპიანოს ან რომელიმე სხვა საკრავისა და ფორტეპიანოსათვის; შედგება ერთი ან რამდენიმე ნაწილისაგან.

სოპრანო – ქალის მაღალი სასიმღერო ხმა.

სტაკატო (იტალ. staccato) – წყვეტილად სიმღერა ან დაკვრა.

სტილი – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით გადმოიცემა ნაწარმოების შინაარსი.

ტ

ტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების ერთეული, რომელიც იქმნება სხვადასხვა სიძლიერის ნილების მონაცვლეობით და იწყება ყველაზე ძლიერი ნილით. ტაქტები ერთმანეთისგან გამოიყოფიან ვერტიკალური ხაზით.

ტემბრი – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის ჟღერადობის შეფერილობა.

ტემპი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

ტენორი – მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

ტონალობა – კილოს ბგერების ზუსტი სიმალღებრივი განლაგება და მდებარეობა.

ტონიკა – კილოს ან ტონალობის ძირითადი საყრდენი, რომელიც გამოსახულია ერთი ბგერით, ან აკორდის სახით. ტონიკისკენ მიიზიდებიან კილოს დანარჩენი საფეხურები და აკორდები.

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და „ხმოვან გზას“ ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში კი – „ტრეკებზე“ განლაგებულ ადამიანის ან საკრავის ხმას.

ტრიო – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება სამი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ტრიუმფი – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს უწყობდნენ. 2. დიდი წარმატებით, გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი.

ტუში – რამდენიმე ბგერისაგან შემდგარი მოკლე მუსიკალური სადღესასწაულო მისალმება.

უ

უვერტიურა – ოპერის ან ბალეტის შესავალი, რომელშიც კომპოზიტორი მოკლედ მოუთხრობს მსმენელს ნაწარმოების შინაარსისა და გმირების შესახებ. უვერტიურას ორკესტრი ასრულებს. XIX საუკუნიდან გაჩნდა ე.წ. საკონცერტო უვერტიურები – დამოუკიდებელი საორკესტრო პიესები, რომელთაც ხშირად პროგრამული ხასიათი აქვთ.

უნისონი – (იტალ. unisono – ერთი ბგერა) ერთსა და იმავე სიმალღეზე ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა.

ფ

ფაბულა (fabula – არაკი, ზღაპარი) – მხატვრულ ნაწარმოებში ფაბულა იგივეა, რაც ამბავი, სიუჟეტი.

ფაქტურა (ლათ. Facture – დამზადება, დამუშავება, აგებულება) – მუსიკალური ნაწარმოების ქსოვილი, რომელშიც გაერთიანებულია მუსიკის ყველა გამომსახველობის ხერხი: მელოდია, რიტმი, მეტრი, აკორდიკა, ტემპი, ტემბრი, რეგისტრი და ა.შ. ფაქტურა შეიძლება იყოს ერთხმიანი და მრავალხმიანი. ფაქტურის დასახასიათებლად ხშირად იყენებენ ასეთ განსაზღვრებებს: შემჭიდროებული ფაქტურა, აკორდული ფაქტურა, გამჭვივალე და ა.შ.

ფესტივალი – ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკის, კინოს, თეატრის) მიღწევათა ჩვენება. ეწყობა პერიოდულად.

ფინალი (იტალ. finale – დასასრული) – ოპერის, ბალეტის, ასევე სონატის და სიმფონიის დასკვნითი ნაწილი.

ფოლკლორი (ინგლ. folklore – ხალხური სიბრძნე) – ხალხური შემოქმედება, რომელიც მოიცავს პოეზიას, სიმღერას, ცეკვას და ა. შ.

ფორტე (იტალ. forte) – ხმამაღლა სიმღერა ან დაკვრა.

ფრაზა – რამდენიმე მოტივისგან შემდგარი მუსიკალური ნაგებობა.

ქ

ქორალი – საეკლესიო გალობა. ძირითადად, ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოები. არსებობს საორგანო და საფორტეპიანო ქორალები. (მაგ., იოჰან სებასტიან ბახის საორგანო ქორალები, რობერტ შუმანის საფორტეპიანო პიესა „ქორალი“).

ქრონომეტრაჟი – რაიმე პროცესების და მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

ც

ცეკვა – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

ციკლი (ბერძნ. kyklos – წრე) – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანამიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

ჯ

ჯაზი – მე-20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ-ში; ჯაზის საფუძველს წარმოადგენს აფროამერიკელების ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

ჰ

ჰანგი – სიმღერა, მელოდია.

ჰომოფონია – მრავალხმიანი მუსიკა, სადაც წამყვანია მელოდია, რომელსაც დანარჩენი ხმები თანხლებას უწევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე ე., ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. განათლების, კულტურის და სულიერების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“. თბ., 2011
2. ერქომაიშვილი ა., გზები, ადამიანები, სიმღერები. თბ., 2011
3. ქართული გალობა. ანთოლოგია. თბ., 2016
4. გოგებაშვილი ი., დედა ენა. გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2016
5. მარუაშვილი ლ., მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბ., 2016
6. Nitsche Paul, Die Pfleger der Kinder-und Jugendstimme. Stimm-bildung am Lied. B. Schott's Sohne. Mainz, 1970
7. Metzler. Komponisten Lexikon. Herausgegeben von Horst Weber. Verlag J. B. Metzler Stuttgart. Weimar, 1992

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუსიკის ექსპერტის მიერ მოწოდებული მასალები გამოყენებულია საგაკვეთილო სცენარებში.